



ტექსტების და  
ხელნაწილების

ფენიანი

№ 9 (27) სექტემბერი, 2015 წელი

ფასი 2,5 ლარი  
შეზღვევა

1970  
2015

ნომრის ავტორები :  
ალექო შულთაძე & ვანო პროშვილი

ინტერვიუ  
ლათო ბარბაქაძესთან

კოეფიციენტი  
ლია სტურუა  
ლელა სამნიაშვილი  
ნენე გიორგაძე

პროზა  
ჯაბა ზარქუა

საქართველო

საქართველო

HANS PROMWELL



პროზა  
ლევან ბრეგვაძე  
ლელა კოძაძე  
საბავშვო თარგმანები  
ვალერი სტეფანოვი  
გიტარა კალაშნიკოვი  
ინტერვიუ ბახმანი  
ნორა გომრინიანი

**ინო**  
*print* **STUDIO**

**ციფრული, ოფსეტური ბეჭდვა**

მაისურებზე, უნიფორმებზე ბეჭდვა

სავიზიტო ბარათები

ჩანთები, კალმები

ჭიქებზე ბეჭდვა

ეტიკეტები, სტიკერები

ბლანკები, კონვერტები, ბლოკნოტები

ავტომობილების გაფორმება

პოსტერები, ბანერები

ნიგნების გამოცემა

სავიზიტო ბარათები; მოსაწვევები და მისალმებელი ბარათები; სერტიფიკატები; ბროშურები; ფლაერები; ბუკლეტები; კატალოგები; მენიუები; კალენდრები; პოსტერები ბლანკები; კონვერტები; ბლოკნოტები; CD/DVD შებენი ნებისმიერი სირთულის ყველა სახეზე; ყველა სირთულის გრაფიკული და სხვა თვითნებური პროდუქტები; ბილბორდები, ბანერები, გიტრები და ავტომობილების გაფორმების საათების ბრენდინგები; ბეჭდვა ოქროს და ვერცხლის ფოტოგრაფიული ნატურალური ტონებით; პლასტიკური ბარათებზე ბეჭდვა; მაისურებზე, ჩანთებზე, კალმებზე

ქუთათელაძის 8. ტელ.: 597 39 55 87; 2 39 55 87; 2 14 12 14 innostd@gmail.com



შურნალი გამომცემის საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით



**წიგნების ავტორები**

**ალეკო შულაძე**

- ქაბ ქაქანიშვილი – 15 წლის წინ გამქრალი (ალეკო შულაძე) 3
- ამონარიდი (შოთა იათაშვილი) 9
- ალეკო შულაძე – გამოუვალობის ინსტალაცია (მოთხრობა) 10

**ჰანს პრომველი**

- ჰანს პრომველი – რომანტიული ბუკოვსკი (ბლიც-ინტერვიუ) 22
- პაატა შამუგია – ჰანსი არაა! 23
- ჰანს პრომველი – ლექსები  
(ინგლისურიდან თარგმნა გიორგი პროლეტარი-შონიამ) 23

**ინტერვიუ**

- ეს უხმობს ზარი? (დათო ბარბაქაძეს ესაუბრა ნინა მაჩაიძე) 32

**პოეზია**

- ლია სტურუა 37
- ლელა სამინაშვილი 40
- ნინო გიორგაძე 43

**პროზა**

- ჰაბა ზარქუა – 8.2.1 47


1

2

3

4

38



პროექტის ავტორი:  
ვაჟა წონაკოლაური

მთავარი რედაქტორი:  
შოთა იათაშვილი

რედაქტორი-სტილისტი:  
ლელა კოდლაშვილი

დიზაინი და დაკაბადონება:  
ნიკა ხვედელიძე

სარედაქციო კოლეგია:  
დავით ანდრიამიძე  
ბია ეძვერაძე  
დათო ტურაშვილი  
ეკა ქვენიშვილი  
ზაზა შათირიშვილი  
დავით ჩიხლაძე  
ბია ხალაძე

ნომერზე მუშაობდნენ:  
ეკა ქვენიშვილი  
ალექო შულაძე  
პაატა შამუგია  
გიორგი შონია  
დათო ბარბაქაძე  
ლია სტურუა  
ლელა სამინაშვილი  
ნენე გიორგაძე  
ვაჟა ზარქუა  
ლელა კოდლაშვილი  
ლევან ბრიგაძე  
ნორიკ ბაღოიანი  
თამარ ჟღენტია  
მანა ლიპარტიანი  
ნანა ჭილაძე

5

6

**კრიტიკა**

ლევან ბრიგაძე – ორჯერადი გართმევა 56  
ლელა კოდლაშვილი – სარკასტული ლიმბის  
გაკვეთილი დათო ქარდავასეულად 60

**ახალი თარგმანები**

ველიმირ ხლუბნიკოვი – ლექსები  
(რუსულიდან თარგმნა ნორიკ ბაღოიანმა) 63  
იტალო კალვინო – ბოლოს ყორანი მოფრინავს  
(იტალიურიდან თარგმნა თამარ ჟღენტმა) 65  
ინგოგორგ ბახმანი – ლექსები  
(გერმანულიდან თარგმნა მაია ლიპარტილიანმა) 68  
ნორა მომრინგენი – გამოძიება  
(გერმანულიდან თარგმნა ნანა ჭილაძემ) 73

გამომცემლობა – „საუნჯე“  
მის.: ალ. ყაზბეგის 32/34  
ტელ.: 2141214, 2395587, 2397188  
Skype: saunje-saunje  
ელ-ფოსტა: saungeo@gmail.com  
Facebook: გამომცემლობა საუნჯე/Saunje publishing <http://www.facebook.com/saunje>  
[www.saungeo.ge](http://www.saungeo.ge)

# 1 ნომრის ავტორები


## 15 წლის წინ გამქრალი (ალეკო შულაძე)

ეკა ქევანიშვილი

### ბაქცივის შიშველი მცდელობა

თქვენი არ ვიცი და ჩემს ცხოვრებაში მე ყვეს რამდენიმე ადამიანი, რომლისწაირსაც მარტო ერთს ვიცნობ. ყველა სხვადასხვა წიშნით გამოირჩევა. მაგალითად, ერთი ძალიან მაღალია, უფრო მაღალი, ვიდრე თქვენ წარმოგიდგენიათ, თორემ მაღლები, გასაგებია, რომ არსებობენ. მეორეს უცნაური აჩემება აქვს – ტანსაცმელი მხოლოდ ერთი ფერისა უნდა ეცვას, წერტილისხელა რამეც რომ ეხატოს, გვერდზე გადადებს... ზოგი არც თუ ისე მეგობარია, უბრალოდ კარგი ნაცნობია ან არც ისე, მაგრამ სულ რომ გახსოვს და რაღაც უხილავი ძაფი გაკაუშირებს მასთან. ალექო შულაძეც ასეთი კაცია – ორი რამით გამოირჩეული. ის ერთადერთი ვაიშნავია, ვისაც ვიცნობ და ერთადერთი ადამიანი, რომელიც 15 წლის წინ გაქრა და ამ ორი კვირის წინანდელ პარასკევამდე აღარ მიხახავს. სწორედ მასზე მინდა მოგიყვეთ.

ვისაც 15 წლის წინანდელი ქართული ლიტერატურული პერიოდიკა ახსოვს, იმ დროის ლიტერატურული პროცესები, შეხვედრები, სარდაფში ჩატარებული საღამოები და პერფორმანსები, მოკლედ, 90-იანების მიწურული – არ არსებობს, ალექო შულაძეც არ გახსოვდეთ. რამდენიმე მოთხრობა („პასუხები ერთ-ერთი მცირეტირაფიანი ჟურნალისთვის“, „გაქცევის მცდელობა“) და ერთიც რომანი („სამსარა“) გამოაქვეყნა, უცებ მიიქცია მკითხველების და მწერლების ყურადღება და მერე აორთქლდა.



„ინკოგნიტოდ ცხოვრება ყოველთვის სჯობს. ყველაფერს თუ ამოთქვამ, რაღაცწაირად იმიფრები თითქოს“, – ამბობს ამ 15 წლის შემდეგ, როცა თემქაზე, მის სახლში ვსხედვართ. ყვავილოვანი კომბოსტოს რაღაც ვეგეტარიანულ კერძს მთავაზობს და მართალია, დიდად ახლო მეგობრები არ ვყოფილვართ, მაგონია, რომ არც არსად ნახულა.

მე კი მაინც ერთი მთავარი კითხვა მაქვს დასაწყისისათვის – მაინც სად გაქრა იმ 15 წლის წინანდელ რომელიღაც დღეს და რატომ?

„ჩემი ბოლო რომანის, „სამსარას“ შემდეგ, რომელიც ალბათ, რაღაც ისე არ მიიღო მკითხველმა, როგორც მინდოდა და რომელშიც აღმოსავლურ ფილოსოფიას შევეხე, მალევე წავედი. ამ 15 წელში აღმოვაჩინე, რომ ადამიანი ჯერ უნდა დაიშუბტო, შეივსო და მერე გადმოსცე შენი აზრი, მერე თქვა შენი სათქმელი. თუმცა, მაშინ წერა აღარც მინდოდა – როდესაც აღმოსავლურ რელიგიას და ფილოსოფიას ეცნობი, მერე

ფიქრობ, რომ რა უნდა დაწერო ისეთი, რაც არ დაწერილა – ასე ბევრს დამართნია. ეს 15 წელი სულიერი ცხოვრების გზით წავიდა. თითქოს ასე ცხოვრება და მწერლობა ერთმანეთს ხელს არ უნდა უშლიდეს, არა? მაგრამ თურმე უშლიდა. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ წერისას ჩემი სპეკულაციები უნდა მეტ-რიალებინა. მე ასე მგონია. და თუ მკითხველს პასუხებს აწვდი, სვამ კითხვას და იქვე პასუხობ, ეს მას არ მოსწონს. „სამსარაც“, ვფიქრობ, ეს იყო – პასუხები კითხვებზე, რომელიც მკითხველთა მხოლოდ ნაწილმა მიიღო“.

ნასვლის სხვა, უფრო დიდი მიზეზიც იყო. რალაც მომენტში წყალგამყოფი გაჩნდა – რელიგია. ზოგს ეგონა, რომ ის ძალიან „გადავარდა“ თავის ახალ რელიგიაში. ზოგს, შესაძლოა, ის აღარ ესმოდა, რატომ აღარ სვამდა მეგობრებთან ერთად ან ხორცზე რატომ თქვა უარი. იქნებ მეგობრები შემინდნენ? უფრო კი – ამბობს ალეკო. და ამაზე თავის ახალ რომანში, „გადაამალვამიც“ დაწერს წლების მერე.

„ეს ხალხი, ვინც ჩემ გვერდით იდგა, თანამედროვე მსოფლიო ხელოვნება მოსწონდა, უცებ, აღმოჩნდა, რომ რელიგიის კუთხით ძალიან სტერეოტიპულად ხედავდა რალაცებს. ისინი რომ შემინდნენ, მე კიდევ უფრო შევშინდი და იძულებული გავეხდი, ნავსულიყავი. იმასაც მივხვდი, რომ თუ მე დავინყებდი ტექსტებში იმ პასუხების წერას, რაც ინდოეთში ვიპოვე, აქაურ მკითხველს ეს არ დააინტერესებდა. იმ დასკვნამდეც მივედი, რომ ადამიანებს ხშირად არ სურთ ეს პასუხები. თითქოს, აღარ იციან მერე რა ქნან. და როდესაც მე კარმისა და რეინკარნაციის პრინციპით დავინყე რალაცის ახსნა, თქვეს, რომ ეს არ არის ჩვენი, და საერთოდაც, არ ვიცით არის თუ არა და არც გვაინტერესებსო. ასე იყო“.

წლები გავიდა. ძებნის და კითხვებზე პასუხების მოძებნის დროც შეიძლება მაგ დროს დავაქვით. და მერე მოვიდა ახალი დრო, როცა, როგორც თვითონ ამბობს, პატარა მწერლური სპეკულაციებისათვის ისევ მზად აღმოჩნდა. ამ დრომ მოიტანა ახალი იუმორისტული მოთხრობები, რომლებიც უცებ მოედო სოციალურ ქსელს. ხალხს ძალიან მოეწონა. ვაა, ვინ არის ეს ალეკო შულაძე? ბევრმა ეს სახელი პირველად გაიგო, ბევრმა თავიდან აღმოაჩინა, ნაწილს კი უბრალოდ გულში გაეღიმა – ალეკო დაბრუნდა, გაიფიქრეს მათ. მეც მათ შორის ვიყავი.

„ამ მოთხრობებში ყველაფერი ცხადია, შენ შენს თავს დასცინი, ყველას დასცინი, ყველაფერი გასაგებია, ეს მიღებული სტილია – ეს მოთხრობები წიგნადაც იქცევა“.

### პირველი შეხვედრა სხვა ღმერთთან

ვაიშნავების (სხვანაირად, კროშნაიდების) ჯგუფი პირველად წლების წინ, მოსკოვში, არბატზე ნახა. ნახა და ნახა. არც არაფერი, მაშინ ვერაფერი გაუგო. ყურადღება კი მიაქცია. ამ დროს ალეკო შულაძეს გავლილი აქვს ათეიზმის, მერე ეგზისტენციალიზმის შემოტევები, კამიუ და სარტრი – დიდი ბუნტია მოკლედ მასში. გადის ცოტა დრო და არც ეგ ყოფნის.



პირველ შეხვედრებულთან

როცა აღმოაჩინა, რომ ქრისტიანული სამყარო უპირისპირდებოდა მუსლიმანურ სამყაროს. ის კი – პირიქით, და არც ერთს ერთმანეთი თვალში აღარ ჰქონდა გადარჩენის შანსი, ი კრიტიკული კითხვაც მაშინ გაჩნდა – კი, მაგრამ როგორ? როგორ ჩააყენა ამ რელიგია მთელი ახლო აღმოსავლეთი და ნაწილობრივ აფრიკა ასეთ მდგომარეობაში და განირა ან დენი ხალხი? რატომ არ გაუწინდით კითხვებში, მაგალითად, ირანელები, რომლებიც ირანელებად დაიბადნენ, უცებ აღმოჩნდა რომ განწირულები ყოფილან. ასევე პირიქით

„და ეს კითხვა ხმამაღლა დავსვი. მერწვედი ქრისტიანული და მუსლიმანური სამყაროს წარმომადგენლებს ვკითხე იგივე. პასუხს არცერთ მხარეს არ ჰქონდა. მითხრეს, ნად ილოცე და გაიგებო. სად მომეძებნა ამაზე პასუხი? წავედი, ვიპოვე კარმა და რეინკანაცია, მოვედი და ვთქვი, უი, ვიპოვე! ეს იყოს სანყისი. მერე გავეცანი ვაიშნავიზმს, ავიყვანე მასწავლებელი, წავედი ინდოეთში...“

ეს უკვე 2004 წელი იყო. მაინც რა იპოვე მეთქი, ვკითხე.

„რომ ღმერთი არის პიროვნება და ძალიან ვგავართ მას, რომ აღარ მეშინია მისი და მეგობ

ბრულად ვარ მასთან. რომ ბევრმა შიშმა გაი-  
 არა და ბევრი რაღაც ჩამოვიფერებო. მე ვერა-  
 ნიარად ვერ ვკმაყოფილდებოდი მატერიალური  
 ცხოვრებით, სულ იმედგაცრუებები მქონდა.  
 ერთხელ თუ ვიყავი კარგად, დანარჩენი ათი  
 – იმედგაცრუება იყო. მილიონი მიზეზია ამის  
 – ის, რომ ვბერდები, ადრინდელივით სიამ-  
 ოვნებებს ვეღარ ვიღებ, ჯანმრთელობამ შე-  
 მანუხა – ავად ვარ, ფული შეიძლება გქონდეს,  
 მაგრამ ბედნიერი კი იყო და ა.შ. ღმერთთან,  
 ჩემს შემთხვევაში კი კრიშნასთან მიმართებამ  
 მაგრძნობინა, რომ სიამოვნებას ვგრძნობდი  
 მასთან ურთიერთობაში. აღმოვაჩინე, რომ მას-  
 თან ურთიერთობაა ჩემი მთავარი არსი“.

შეიძლება ამ თემებზე მაშინ ძალიან ბევრს  
 ვლაპარაკობდი და ყველას თავი მოვაბზერეო,  
 ამბობს. თუმცა რა ვიცი, რაც გიყვარს და გაინ-  
 ტერესებს, იმაზე ყველა ყველაზე ბევრს ვლაპა-  
 რაკობთ. რა, ასე არ არის? მერე ალექოს სული-  
 ერი მოძღვარი გარდაიცვალა (ეს ჩვენი ენაზე,  
 ხოლო ვაიმშავეების ენაზე – დატოვა სხეული)  
 და „აქაურობისთვის“ მეტი დრო დარჩა. დრო  
 კი დარჩა, მაგრამ გაჩნდა სიცარიელე.

„ეს სიცარიელე კი უნდა ამოვავსო და სხვა  
 რითი, თუ არა ხელოვნებით, მწერლობით?“

### ინდოეთი ნისლი

სულ პირველი, რაც ინდოეთიდან ახს-  
 ოვს, ნისლი და უცნაური, სპეციფიკური სუ-  
 ნია, რომელიც დელიში ჩასვლისას შემოეგება.  
 ღამე იყო. ღამითვე განაგრძეს გზა პატარა  
 ქალაქ ვრინდავანამდე. იქ რომ ჩავიდა, სურა-  
 თი კიდევ უფრო გამძაფრდა – დაინახა უამრა-  
 ვი მორწმუნე ადამიანი, რომლებიც მიდიოდნენ  
 და მიდიოდნენ ერთი მიმართულებით. თურმე,  
 ქალაქს უვლიდნენ წრეს ფენშიშველები. ამ  
 ქალაქში ზუთიათასამდე ტაძარია თავისი ღე-  
 თაებებით. ენით აუნერელი სანახაობა იყო –  
 დღეს იხსენებს ალექო შულაძე.

„მე, ჩემი მეუღლე და ჩემი ბიჭი, სან-  
 დრო ვიყავით, რომელიც მაშინ რვა წლისა  
 იყო. ჩვენს რელიგიაში ერთობლივ სიმღერას  
 ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს: როცა მი-  
 დიხარ და ჰარე კრიშნა მაჰამანტრას მღერი.  
 ასე სიმღერით ჩამოიარა ჩვენმა ჯგუფმაც,  
 სადაც ამერიკელებიც იყვნენ, ევროპელებიც,  
 აფრიკელებიც. ეს ჩვენი გურუს დამსახურება  
 იყო, რომ მსოფლიო ნაკრები შექმნა. ეს ჯგუ-  
 ფი ძალიან მკვეთრად მახსოვს იმ დღიდან“.



ინდოეთში

ინდოეთში ჩასვლას თავისი დანიშნულება ჰქონდა. გუ-  
 რუს ლექციებიდან ბევრი რამ ისწავლა. ბევრი და მათ შორის  
 – მარტივად ცხოვრება. მას მერე ინდოეთში კიდევ ბევრჯერ  
 წავიდა. კიდევ ბევრჯერ უნდა დაბრუნდეს.

„ეს არის ქვეყანა, სადაც ცდილობენ, ვაჭრობის დროს  
 მომატყუონ, მაგრამ ვერჩევი და არ ვნერვიულობ, რადგან  
 ეს აზიური ქვეყნებისათვის ჩვეულებრივი ამბავია. ჭუჭყი,  
 რომელიც ქრება – ეს მისტიკური მომენტია, ჩადიხარ და მს-  
 ოლოდ ერთი დღე ხედავ ჭუჭყს... ცხადია, გააჩნია, რისთვის  
 ხარ ჩასული. ვისთვისაც არ გაქრა, უკან გამოიქცა. მოდის  
 შეიცარი და გგონია, რომ თეთრი ქუდი ახურავს, მაგრამ  
 ისიც ნაცრისფერია და გგონია, სადღაც დაჭრილი მეზღვაუ-  
 რივით სისხლაც ჩამოსდის. მკლაფზე გადაფენილი პირსახოცი  
 – ზოლებად ჭუჭყიანია, მაგრამ ეს ყველაფერი ქრება, როდესაც  
 შენ სულიერების მომენტს ეხები“.

ალექო დიდი მოგზაური არ არის, ამ ბოლო დროს  
 ფიქრობს უფრო ირლანდია-შოტლანდიაში წასვლაზე. ესეც  
 იმიტომ, რომ ბოლო დროს კელტურ მუსიკას უსმენდა. აფ-  
 რიკაში თავის თავს მაინცდამაინც ვერ ხედავს, დიდად ვერც  
 ნიუ იორკზე ეფიქრება: „ამბობენ, მშობლიური განცდა გიჩ-  
 ნდება, მაგრამ რა ვიცი, ჩვეულებრივად როცა აღარ ცხოვ-  
 რობ, რესტორანში არ დადიხარ... ჰოთ დოგი, რამე. მგონი,  
 არ მინდა“.

მის ვეგეტარიანელობასაც 21 წელი შეუსრულდა.

### ფეხბურთი ჭადრაკის ფიგურებით

კი, ეს ახირება ჰქონდა – უცნაური თამაშების გამოგო-  
 ნების. მაგალითად, ჭადრაკის ფიგურებით ფეხბურთის თა-  
 მაში – თან მთელი გზებით. მოგება-წაგების სტატისტიკის  
 ჩაწერით. ამან მოუგო ამას, იმან ამას. დიდხანს, დიდხანს  
 თამაშობდა ასე. იმ ძველ ტახტზე, სადაც ადრე ბეზოს ეძი-

ნა, ფეხებს მიაწვენიებდა და გამოთავისუფლებულ ადგილზე მიდიოდა დარტყმები. მერე პლასტელინის თოჯინების ძერწვა დაიწყო. ბალეტი არ უყვარდა. არც ოპერა. ერთხელ მივიდა, ნახა, მოუსმინა, ვერ გაიგო, წამოვიდა. და ამით დასრულდა.

„გეპეიში“ სწავლაც რაღაც გაუგებრად დაიწყო – ერთხელ დასხდნენ ოჯახის წევრები, რაღაცები გამოთვალ-გამორიცხეს და დარჩა „გეპეი“.

„მივედი თუ არა, ეგრევე მივხვდი, რომ არასწორად მივედი, ეს ჩემი ადგილი არ იყო. – ელექტრომექანიკის ფაკულტეტი. მოკლედ, დავიცავი იქ დიპლომი, რაღაც სისულელები ვაკეთე და მორჩა“.

ვაჟა-ფშაველას გამზირზე გაიზარდა. საბჭოთა კავშირში. რაღაცნაირი დაშინებული ტიპი ვიყავიო, იხსენებს.

„სკოლაც კი არ გამიცდენია. სულ კარგად ვსწავლობდი. სულ რაღაცის მეშინოდა. მეშინოდა, რომ მშობლებს არ სწყენოდათ. თითქოს სხვების გამო ვცხოვრობდი. მერე ნელ-ნელა მივხვდი, რომ ეს ასე არ უნდა ყოფილიყო. ერთი და მყავს, ბავშვობიდან ავად იყო – ოლიგოფრენია-შიზოფრენია. მე მგონი, ჩემს დაზე დაკვირვებებმაც იმოქმედა, პატარა რომ ვიყავი, სულ ვფიქრობდი, რატომ გაჩნდა ასეთი. სირცხვილის მომენტები იყო – სახლში ასეთი ადამიანი? საშინელი სტერეოტიპებით ვცხოვრობდით. ამიტომ წარსულის გახსენება ყოველთვის ტკივილს მაყენებს. არც იმდროინდელი ჩემი თავი მიყვარს, მრცხვენია რაღაც-რაღაცები და ვცდილობ ისეთი რამეები დავნერო, რომ ნელ-ნელა გავიცინო ჩემ თავზე. დრო რომ გავიდა, ცხადია, ეს შიშები გადავლახე და ვთქვი, რომ ასე ყოფნას სიკვდილი და ჩხუბი და თავგატეხილობა სჯობია-მეთქი“.

წავიდა და იჩხუბა. თავიც გაუტეხეს.

### ბოთლზე ეტიკეტის მიმკრალი და სხვა უცნაურობები

სულ თავიდან სცენარებს წერდა. ეს უკვე მეორად ფაკულტეტზე ხდება, კინომატოგრაფიულზე. სადაც ის და შოთა იათაშვილი შეხვდნენ ერთმანეთს. ეს ის დრო იყო, ორივეს ერთი გოგო რომ შეუყვარდა და ერთმანეთს რომ არ უმხელდნენ. ბოლოს მაინც გაენდნენ ერთმანეთს. ის გოგო კი ბოლოს სხვასთან წავიდა. მერე ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ფილმები იყო, „კავკასიურ სახლში“ მუშაობდა. ოპერის წინ იდგნენ და ძველ წიგნებს ყიდდნენ. „ზემეკაზე“ ბოთლებს აკრავდნენ ეტიკეტებს, თავიდან მეტიკეტედ ვმუშაობდი, მერე კი მეტიკეტე ქალების შუბდამხედველად, იხსენებს. ჰოდა, დანერა იმ დროს ერთი სცენარი:

„დავწერე და შოთამ რომ წაიკითხა, მკითხა, დიურენმატი თუ იცი, შვეიცარიელი პროზაიკოსიო. ზუსტად იგივენაირი მოთხრობა დაუწერია. ოღონდ იქ მატარებელში ხდება მოქმედება და ჩემთან მეტროში. იდეა ის არის, რომ მატარებელი არ ჩერდება. შედის გვირაბში და გვირაბიდან ვეღარ გამოდის. დიურენმატი უფრო კლასიკურად ამთავრებდა – მისი მატარებელი დედამიწის შუაგულისკენ წავიდა, დაცხა და დაცხა გვირაბში, ჩემთან კი, ვითომ კინოს იღებდნენ, ბო-



ლოს რეჟისორი შემოდის. მოკლედ, ჩემი ფინალი უფრო ბანალური იყო და მეორე დღესვე გადავაგდე ეგ ნაწერი. მაგის მერე დაიწერა „გატყვევის მცდელობა“. იმ კრებულში სულ ოთხი მოთხრობა შევიდა. ახლა ვფიქრობ იქნებ რეპრინტი გაკეთდეს, რადგან დაიკარგა ის მოთხრობები“.

ეს ის პერიოდია, როცა ქართულ ლიტერატურაში აკა მორჩილადე გამოჩნდა. გამოჩნდა და, კარგი გაგებით, ყველაფერი ნალეკაო იხსენებს ალექო შულაძე. „სამსარაც“ აკას რომანთან ერთად მოხვდა „საბაზე“, მაგრამ...

„არ მინდოდა ეს შეჯიბრი. გახვიდე მოედანზე ბარსელონასთან სათამაშოდ, ნიშნავს დამარცხებული ხარ. აბსოლუტურად სხვა დასხვა თემატიკა იყო და მაშინ მე და ზაზა ბურჭულაძემ ჩვენი წიგნები კონკურსიდა მოვხსენით. ეგეც იყო და თან რაღაც ანდერგრაუნდის ტიპი უფრო მეგონა თავი. დღეცოტა სხვანაირად ვფიქრობ, საჭიროა, ლიტერატურულ კონკურსებში მონაწილეობა, რადგან მე, მაგალითად, არ მივეუუთვნები მწერლების იმ ტიპს, ვინც თავისთვის წერს“.

თუ მკითხველმა არ წაიკითხა, დიალოგ ვერ შედგება. ახლა სწორედ ის მომენტია როცა ალექო შულაძეს ეს დიალოგი სჭირდება. ამიტომაც ისევ წერს.

კიდევ, იმ დროს „მარგო კორაბლიოვა პერფორმანსის თეატრი“ იყო. ასე მგონია, ყოველთვის არსებობდაო.

„იმ პერიოდში ხელოვნებაში ავანგარდული მიმართულების ფუძემდებლად (მეტწილად



თეატრში) დავით ჩიხლაძე გვევლინებოდა. სწორედ მისი ინიციატივით მოხდა ჩვენი გაერთიანება ამ თეატრში 1994 წელს. სხვადასხვა მიმართულების ადამიანები შეიკრიბნენ მაშინ ლესელიძის 4-ში. აქ იყვნენ: პოეტები, პროზაიკოსები, მუსიკოსები, მხატვრები და უბრალოდ, პოეტური სულის მქონე ადამიანები. ეს იყო ექსპერიმენტული ლაბორატორია და სრულიად ახლებური ხედვა სწორედ იქ იბადებოდა. არავის ვბაძავდით და მეტწილად ორიგინალური ნამუშევრებით გამოვიჩრქოდით. ალბათ ქართულ თეატრალურ სივრცეში მანამდე ამ კუთხით არავის უმუშავია და ეს იყო ძალიან საპასუხისმგებლოც და ძალიან საინტერესოც. არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ პერფორმანსის თეატრმა წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა თითოეული ჩვენგანის ცხოვრებაში. ბევრი მათგანი აღარ გაჰყოლია ავანგარდის რთულ და ღრმა მიმართულებას, მაგრამ თითოეულის შემოქმედებას ნამდვილად საოცარი დაღი დაასვა ამ პერიოდმა. ჩვენი შემოქმედება უფრო ნატიფი გახდა, დასერიოზულდა და რამდენიმე ნაბიჯით მაღლა აიწია. ჩვენ აღარ ვკმაყოფილდებოდით „უბრალო“ პერფორმანსებით და სტატიკური ინსტალაციებით, ჩვენ დავინწყეთ ცხოვრება თეატრში. სპონტანურობა და თავისუფლება იყო ჩვენი მთავარი იარაღი, თუმცა იმავდროულად სპექტაკლებში ვიყენებდით მაქსიმალურად დაზუპირებულ ქმედებებს და ფრაზებს... ჩარჩოები არ გვეკონდა... მთავარია, უგემოვნობაში ან დაშტამპულ ქმედებაში არ გადავსულიყავით და სათქმელი ახლებური კუთხით მიგვეწოდებინა მაყურებლისთვის. პრინციპში, ამას ვახერხებდით. მთავარ იდეას და მიმართულებას დათო ჩიხლაძე გვანვდიდა და მერე თითოეული ჩვენგანი მას ზეწავდა. ხანდახან რომელიღაც თემა მიმართულებას იცვლიდა და სხვა რალაცაში ვლინდებოდა, სხვა ფორმად, თუ შინაარსად ყალიბდებოდა. ჩვენ გვეჯეროდა დათოსი და ამ წლების განმავლობაში არასდროს უღალატია მისთვის ვემოვნებას“.

ცოცხალი თვითკრიტიკა და ირონია – ძალიან იცინეს. თვითონაც დაუძაბავად წერს. ადვილად. თითქოს რალაც დაგროვილმა დაიწყო დინება. იუმორი კი ნაწილობრივ მისმა დღევანდელმა სამსახურმაც მოიტანა – ალექო წიგნებს ყიდის, მისგან რომ ხალხმა წიგნები იყიდოს, მათი გაცინება, გამხიარულება, მათთან საუბარი უწევს.

„გადამალვას“ წინ სხვა ამბავი უძლოდა, არც თუ ისე იუმორისტული. პირიქით. ალექოს დედა გაუხდა ავად. თვითონ უვლიდა. სწორედ იმ პერიოდში, როცა იჯდა და ელოდა, როდის გახდებოდა უარესად ან უკეთესად, გადანყვიტა ეს ამბავი დაეწერა:

„სხვადასხვა თემებს შევეხე ამ რომანში. იმ ეგზისტენციალიზმს, რომელსაც ახლა მინდა რომ დავცინო. ცოცხალი ჩემს ავადმყოფ დედას შევეხე, ცოცხალი ბრევიკებს, ცოცხალი უაზრო რიტუალების და სინამდვილის დაპირისპირებას ვეცადე. მაგრამ მანამდე პატარა ნოველებს დავებეჭდავ და იქნებ პოპულარულიც გავხდე? ჰაჰააა. არა, პოპულარობა არ მინდა, მხოლოდ ის მინდა, რომ ცოცხალი ჩემი მოთხრობები გავქაჩო“.

### წარის ვნება

ალექო შულაძის პროზაში 90% ნამდვილი ამბებია. ასეთი ამბები ხანდახან იმაზე მეტად ფანტაზიით სასესე გამოდის, ვიდრე ის, რასაც შენ გამოიგონებო. თუ გაფანტულია,



### დაბრუნება „გადამალვით“

„გადამალვა“ ახალ რომანს ჰქვია – თუმცა, ის ჯერ მხოლოდ რამდენიმე ადამიანმა ნაიკითხა. განსხვავებული თემატიკის და ფანტაზიისა ის მოთხრობები, რომლითაც მკითხველთა უფრო დიდ ნაწილს შეახსენა თავი. იუმორი,

გადამალვა



პერფორმანსის თეატრი

ვერაფერს დანერს. ზის, წერს, ბევრს ასწორებს. წერა დილიდან იწყება, როგორც რიტუალი და ხანდახან რამდენიმე საათი გრძელდება. თუმცა მანამდე შეიძლება ფიქრი თვეების განმავლობაში გაგრძელდეს – რომ დადისარ და თავი გაძევილი გაქვს იდეებით, ფრაზებით, გმირებით, სახეებით, დილოგებით.

ხანდახან მეტროში იწყებს წერას. თუ სასაცილო გამოუვიდა, თავადაც იცინის. რაზეც თავად ეცინება თუ იმას დანერს, სხვებსაც აიყოლიებს ხოლმე. რაც თავადაც არ ჰგონია სასაცილო, ის არც მოთხრობაში ამართლებს. თუ საწერად დაჯდა, სანამ არ მორჩება, არ ადგება – ეს მოთხრობების შემთხვევაში. „სამსარას“ სამი წელი ვწერდი და სუფთა ჯოჯოხეთი იყო, მეუბნება.

როგორი გმირები გყავს-მეთქი, ვკითხე, როგორი ადამიანები – გმირებად:

„მე ჩემს თავს გავაიგივებდი იმ ხალხთან, რომლებიც ჩემს მოთხრობებში ჩნდებიან. რალაცნაირი, ცოდოები არიან. სულ იბრძვიან. ეს ის ადამიანები არიან, რომლებსაც, საერთო ჯამში, უფრო მეტად უჭირთ, ვიდრე ულხინთ“.

ისეთი ლიტერატურა უფრო მომწონს, რომელიც გადამარჩენსო – ამბობს.

„ძალიან მომწონს ფენტეზი. „ჰარი პოტერმა“ და ტოლკინმა ძალიან იმოქმედა ჩემზე. აი, მაგათმაც გადამარჩინეს. „ოსტატმა და მარგარიტამაც“ გადამარჩინა თავის დროზე. ამერიკელებიც მიყვარს, რალაცნაირები არიან, ლოთები და შფოთები და ისე წერენ, არაფერზე უკან არ წავლენ. ჩემთვის ასეა – თუ წიგნი ან ფილმი მეც მიბიძგებს შესაქმნელად, საწერად, ესე იგი, კარგია. გინდება, დგები და აუ, აუ, აუ, ხელები გექავება და უნდა დანერო. ეგაა – ხელოვნება გიბიძგებს ხელოვნებისკენ და კიდევ, მგონია, რომ წერისას გარდა

სიტყვებისა, ნაწერში შენი ძალაც უნდა ჩადო, ცნობიერება. ის გადამდებია“.

### საკონტროლო კითხვა

ალეკო შულაძე ამასწინათ 50 წლის გახდა. ორმოცდაათი. თქვა წმამალა. ორმოცდაათი – გაიმეორა. რალაც უცნაური ზღვარიო. არა, ნახევარი არა, მეუბნება. უფრო ფინიშის დასაწყისი.

„სიამოვნებით დავტოვებდი სხეულს მანამდე, სანამ ავად გავხდებოდი. მაგრამ ვიცი, ისევ დავიბადები ოდესმე. სანამ აქედან არ გავალწევ, მაგრამ ერთ დღეს აუცილებლად გავალწევ“.

ბოლო, საკონტროლო შეკითხვის უფლებას მასვე ვუტოვებ. რამდენიმე ვერსია აქვს და ბოლოს მაინც ისე ხუმრობს, როგორც ის ალეკო შულაძე, 15 წლის წინ, „კავკასიურ სახლში“ რომელიღაც ლიტერატურულ საღამოზე რომ ვნახე:

როდის შეეშვები მაიმუნობას?

როდის გახდები მაქსიმალურად მიზანმიმართული?

ან: როდის არ მოიხიბლები?

როდის მორჩება ეს? როდის გინდა გააღწიო აქედან? რალაც ასეთი კითხვა უნდა იყოს წესით...

ააა. არა. ასეთი კითხვა იქნებოდა:

როდის გახდები წმინდანი?

# ალეკო შულაძის აღმოსავლურ-დასავლური დივანი

ტომას ვულფის რომანის – „სახლში ვერ დაბრუნდები“ – უმარავ პერსონაჟთა შორის არის ერთი – მწერალი, რომელსაც ავტორი ასე ახასიათებს: „მისი წიგნები ყველას ჰქონდა ნაკითხული, თუმცა, არავის ჰქონდა ნაყიდი“. ვინაიდან არა მაქვს ილუზია, რომ ალექო შულაძის წიგნებს უახლოეს მომავალში ვინმე იყიდის, ამ წერილით უბრალოდ შევეცადები ხელი შევუწყო უკვე დაწყებულ პროცესს, რომელიც ცოტა ადრე, თუ ცოტა გვიან აუცილებლად დასრულდება იმით, რომ მისი წიგნები „ყველას“ ექნება ნაკითხული.

წიგნებით, პირობითად ვამბობ, თორემ დღეისათვის ალექო შულაძის მხოლოდ ერთი წიგნია გამოცემული: „გაქცევის მცდელობა“ („მეიანი“, 2001), შიგ შესული ოთხი მოთხრობით. მათ შორის არის ჯერჯერობით ყველაზე წარმატებულიც: „პასუხები ერთ-ერთი მცირეტირანო-ფიანი ჟურნალისთვის“. მან 1997 წელს თბილისის მერიისა და წიგნის მიყვარულთა საზოგადოება „ბესტსელერის“ კონკურსზე მესამე პრემია აიღო (შუბი ხალთაში ვერ დამიშალ!), შემდეგ კი ჟურნალ „აფრას“ მე-6 ნომერშიც გამოქვეყნდა, თუმცა ეს ყველაფერი რა მოსახსენებელია იმასთან, რასაც იგი სინამდვილეში წარმოადგენს – სინამდვილეში კი იგი 90-იანი წლების ერთ-ერთი საუკეთესო პროზაული ნაწარმოებია, ხოლო მე კიდევ ერთხელ თუ მკითხავთ, ანუ სულ ოდნავ თუ ჩამაცივდებით, გეტყვით, რომ იგი უბრალოდ შედეგია და მორჩა!

ამ მოთხრობას ვინაო ლიტერატურულ წრეებში საკმაო გამოხმაურება ჰქონდა, ხოლო სხვათა შესახებ ყველაზე დანტერესებულმა მკითხველმაც კი ბევრი არაფერი უნყვი. [...]

მისი პირველი მოთხრობები სათაურიდანვე ღიმილის-მომგვრელი იყო: „ნახე, ნახე, როგორ ქანაობს“, „ჰოპ... და ზურგზე გადავტრიალდი“, „ამბავი იმ კაცის შესახებ, რომელიც ასე გაიძახოდა: „უჰ, უჰ, უჰ“... შეიძლება ითქვას, რომ ისინი მოთელვა იყო იმისათვის, რასაც შულაძე სამომავლოდ აპირებდა. თუმცა აი, ისეთი ოსტატური მოთელვა, მატჩის დაწყების წინ სიამოვნებით რომ უმზერ ხოლმე სტადიონზე მჯდომი. ამ მოთხრობებში უკვე იყო ის შინაარსით დატვირთული იუმორი, რომელიც არავის იუმორში არ აცერვავ, ის სხარტი ენა, რომელიც ბანალური, არაფრითგამორჩეული მეტყველების ბენჯის ხიდზე გადის, მაგრამ ძირს არაფრით ენარცხება დაბტურა მუშაითივით, ნაწარმოების კომპოზიციურად გააზრებისა და აწყობის ის ალლო, რომელიც შემდგომში განსაკუთრებით გამოადგა მის უფრო მასშტაბურ ტექსტებს.

ამ პირველი მოთხრობებიდან რამდენიმე 1991 წელს „ცისკარში“ დაიბეჭდა ალექსანდრე შულაძის სახელქვეშ. პანაშუა ქართული ლიტერატურული სამყარო მაშინ ვერ კიდევ არ იცნობდა ალექო შულაძეს – იგი ალექსანდრე შულაძისაგან უნდა გამოჩეკილიყო – ისევე, როგორც მისი „პასუხების“ გმირი მანუელი – დანიელისაგან. მანუელი და დანიელი ალექო შულაძის ნაწარმოებების

მუდმივი გმირები არიან. ისინი ტექსტიდან ტექსტში მოგეზაურობენ, ათასნაირ ტრანსფორმაციებს განიცდიან, ხან დამოუკიდებლად არსებობენ, ხან ერთმანეთის მეგობრები არიან, ხანაც სულაც ერთ არსებას წარმოადგენენ... შეიძლება ვილაყამ თანამედროვე დონ კიხოტად და სანჩო პანსადაც კი დანიახოს ისინი – უკვე სამყაროს კი არა, საკუთარი თავის, საკუთარი სულის გადასარჩენად რომ იბრძვიან, ან სულაც თანამედროვე ტარტარენ ტარასკონელად, რომლის ერთ ტყავშიცაა მოქცეული ორივე მათგანი და ხან ერთი სძალავს ხოლმე, ხანაც მეორე.

მუდმივი გმირი კი ალექო შულაძეს მხოლოდ ეს ორი როდი ჰყავს: მანუელისა და დანიელის გარდა მის ტექსტებში დახეტიალობენ და გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად საიდანაც გაქცევას ცდილობენ (იქნებ ტექსტიდანაც?) ემილი და ქრისტინე, ფოტოგრაფი და ანა-მარია... სხვათაშორის, არის კიდევაც ორი პერსონაჟი, რომელთაც თითქოს უკვე გააღწიეს შულაძის ტექსტებიდან: მისი ადრეული მოთხრობის „ნახე, ნახე, როგორ ქანაობს“ მთავარი პერსონაჟები – დაბალი და ქერათმიანი. ისინი რიგითი პერსონაჟები იყვნენ „ექსპოზიციოში“, „პასუხებში“ კი დამწვარი ზბლითთვის გვერდით, BMW-ში მსხდომებმა ჩაიქროლეს და იმის მერე აღარ გამოჩენილან...

ზემოთქმულით შეიძლება ისეთი შთაბეჭდილება შეგექმნათ, რომ შულაძის ტექსტებში სრული ქაოსი სუფევს და ავტორიც კი ვეღარ აკონტროლებს, ვინ სადაა და ვის საით გაუწევია. პირიქით, ეს ყველაფერი სრულიად გააზრებულად ხდება და ამის დამადასტურებელი მისი ჯერჯერობით ერთადერთი წიგნი „გაქცევის მცდელობა“. დაკვირვებული მკითხველისთვის კრებულიდან ცხადი ხდება, რომ მან თავისი ცხოვრების წიგნის წერა დაიწყო და „გაქცევის მცდელობა“ მხოლოდ I ტომია ამ ცხოვრების წიგნისა. იგი კი ნაწარმოების განვითარების კლასიკური მოდელით იწერება, სადაც არის პროლოგი, ექსპოზიცია, კვანძი, პერიპეტეიები, კულმინაცია, კვანძის გახსნა, ფინალი და ეპილოგი. აქაც ასეა: პირველი მოთხრობა პროლოგია, მეორე – ექსპოზიცია, მესამე – კვანძი და ა. შ. ამიტომაცაა, რომ კომპოზიციურად რაც არ უნდა მოწონებულ იქნება ჩანდეს მისი ცალკეული ტექსტი, მაინც რჩება განცდა, რომ რაღაც ბოლომდე ვერ არის მიყვანილი, ვერ არის მომთავრებული. ალექო შულაძის მომავლო მკითხველო – გაითვალისწინე! – ვერა კი არა – არ!

და ამიტომაც, თუ ღმერთმა ქნა და მისი სულ ცოტა ხნის წინ დამთავრებული რომანი „სამსარა“ მალე გამოიცა და ის ხელში ჩაგივარდათ (ანუ, ჩვენი სცენარის მიხედვით, თქვენ მას არ ყიდულობთ, თქვენ მას ვილაყ გათხოვბთ!), გირჩევთ, მაშინვე ნუ ეცემით მას, ჯერ შულაძის პირველი წიგნი მოიძიეთ, ის ნაკითხეთ და მხოლოდ ამის შემდეგ მეორე, მესამე და ა. შ. [...]

შოთა იათაშვილი  
„ალტერნატივა“ №№2 (42), 2002 წელი

# გამოუვალოვის ინსტალაცია

ალეკო შულღაძე

ქედნება ლუის ბუნუელს

„თავადი ერთბაშად წამოდგა, მთელი ტანი უკანკალებდა.  
– ნასტასია ფილიპოვნა სად არის, როგოჟინ? – ჰკითხა ჩურჩულით.  
– იქ, – ჩურჩულითვე უპასუხა როგოჟინმა და თავი ფარდისკენ გააქნია.“

დოსტოევსკი, „იდიოტი“.

– რა უცნაურია, არა, ქალის სახელი რომ გქვიათ, – თქვა ინსტალატორმა.

– მესუთე შვილი ვარ, წინა ოთხიცი ვაჟები იყვნენ. მამას გოგო უნდოდა ძალიან. მე რომ გავჩნდი, იმედგაცრუებისგან ცოფები ყარა და საკუთარი ბედისწერის ჯინაზე, ქალის სახელი დამარქვა, – თქვა სოფიმ.

– ვფიქრობ, ტყუილის თქმა არ გეხერხებათ. ეგ ხომ სინამდვილეს არ შეესაბამება: ოჯახში ერთი ვაჟი ხართ, დედისერთა. თქვენს ანკეტაში წერია ყველაფერი... დაგავინყდათ?

სოფი შეცბა, თავი დახარა.

– ბოდიშს გიხდით, – ჩალიაპარაკა, – ეს მოგონილი ისტორიაა. ასე თავს ვიმართლებ ხოლმე. უფრო სწორად, მამაჩემის სულელურ საქციელს ვამართლებ. მაპატიეთ, მექანიკურად წამომცდა.

– არ გიცდიათ, სახელი შეგეცვალათ? – ჰკითხა მშვიდად ინსტალატორმა.

– რთული აღმოჩნდა. სკოლის დამთავრებამდე ჩემი ცხოვრება ინერციით მიდიოდა. დაცინვებს შევეჩვიე კიდეც. ძირითადად, ყველა ერთნაირად დამცინოდა და მეც გამოვიმუშავე თავდაცვის ჩემეული ხერხები. ვუძლებდი და ვუძლებდი. რა თქმა უნდა, სახელის გადარქმევა ყველაზე კარგი გამოსავალი იქნებოდა, მაგრამ ასეთი ალტერნატივა თავში არ მომსვლია.

– ჰო, ზოგჯერ უბრალო რამ ისეთი რთული გასაკეთებელი ხდება...

– ჰო, ახლაც მიკვირს, რატომ არ გადავირქვი სახელი.

– სკოლის მერე თუ შეიცვალა რამე?

– უნივერსიტეტში, გაცნობისას, ჩემს სახელს სხვანაირად ვამბობდი: „ფ“-ს მაგივრად უფრო „ბ“-ს, და რაც მათ ესმოდათ, ის აღარ იყო ქალის სახელი. იქ მარტო გაკვირვებას ვანყეუბოდი, დაცინვას აღარ. მასხარად მხოლოდ ის მივღებდა, ჩემს პირადობის მონუმბაში ვინც ჩაიხედავდა.

– ნამდვილად სულელური ქცევაა მამათქვენის მხრიდან. ბოდიშს გიხდით პირდაპირობისთვის. იმის თქმა მინდოდა, რომ მამები სიცოცხლეში ვერ აფასებენ საკუთარ ვაჟებს. მათი წასვ-

ლის შემდეგ კი ნანობენ და ნანობენ.

– სად წასვლის შემდეგ?

– არსად. პირადულია... ისე ვთქვი.

– არა მგონია, მამის მხრიდან უბრალო ხუმტური იყოს: ქალები უყვარდა სიგიჟემდე, ჭკუა ეკეტებოდა. უტიფრად შეეძლო ტრაკზე მიმტერებოდა რომელიმეს. მერე სექსუალური ჟინი უფრო გაუნატიფდა და ქალის ხატი შეუყვარდა, მათი ბუნება. თითქოს ვაჟი უნდა სდომებოდა, სიბერეში საკუთარი თავი მასში რომ ეგრძნო და იქიდან დამტკბარიყო, მაგრამ საბოლოოდ, პირდაპირი ხედვა არჩია, ყველაში ქალის დანახვას ნატრობდა.

– არა მგონია, სახელმა ორიენტაციაზე იმოქმედოს, – ჩალიაპარაკა ინსტალატორმა.

– ორიენტაცია რამ გაგახსენათ?

– რალაც ასოციაციურად მომივიდა თავში. მე მაშინებს... არა, უფრო სწორად მაფრთხობს ადამიანი, რომელიც გარედან კაცია, შიგნიდან კი ქალი.

– მესმის.

– თქვენ?

– ცოლი მყავს და 10 წლის ქალიშვილი.

– თქვენ რამდენის ხარ?

– უკვე 45-ის, – უპასუხა სოფიმ.

მოკლე მაგიდასთან ისხდნენ, ერთმანეთისკენ სახით, მანძილი მათ შორის – ორ მეტრამდე, მეტი არა. ინსტალატორი დაუძაბავად საუბრობდა, თუმცა, სოფის ადგილზე, სხვას, შეიძლება, დაენახა კიდეც ინსტალატორის უბრალო „მოშვებულობის“ უკან დამალული გულგრალობა მისი ბიოგრაფიისადმი.

სოფი ცდილობდა, კითხვა-პასუხში არ ჩაჭრილიყო. თან მარჯვენა ფეხი უკანკალებდა,

რალცნაირად, ნერვულად.

- ანკეტაში ასევე წერია, რომ 20 წელი გაგიტარებიათ ერთ სამსახურში, ერთ თანამდებობაზე.

- დიახ, ძრავების საამქროში ვმუშაობდი, უფროს ტექნოლოგად.

- რა გვეუბნობდით?

- ქალები ზეთს ასხამდნენ ძრავებს, რომლებიც ლუმელში მაღალ ტემპერატურაზე განიცდიდა დამუშავებას. თვალყურს უნდა მედევნებინა: არც მეტი უნდა დაესხათ და არც ცოტა.

- ოც წელი ამ საქმით იყავით დაკავებული? - დიახ.

- კი, მაგრამ, ხატვას როდის ახერხებდით?

- ქარხანაში ჩანახატებს ვაკეთებდი. მაშინ ცოტას ვხატავდი. სამსახურიდან რომ წამოვედი, ფერწერაში მხოლოდ მერე გადავევი სერიოზულად. ვნანობ, რომ დიდი დრო დავკარგე უაზროდ.

- პერსონალური გამოფენა ხომ არ გქონია სადმე?

- ერთი. სამი წლის წინ. არა მგონია, ახლა ვინმეს ახსოვდეს ის გამოფენა.

ინსტალატორი ანკეტის ახალ ფურცელს იღებს.

- აი, აქ თქვენ ჩანერეთ, რომ გალიზიანიბთ...

სოფის ელიმება:

- დიახ, დიახ...

- ...სანტიქნიკა და სანტიქნიკოსები? - ინსტალატორი თითქოს ამოწმებს.

- დიახ, ეგრეა. მათი ატანა არა მაქვს... მე მემუინა მათი.

- გულზე არც მე მეხატებოდნენ, მაგრამ შიში...

- სანტიქნიკის მემუინა, არავინ იცის, როდის რა გასკდება და სად წაგვლევკავს. ხოლო სანტიქნიკოსები კი მეზიზღებიან, რადგან მათი წასვლის მერე, მალევე ყველაფერი ისევ ფუჭდება. ანუ მათი იმედი ვერასოდეს გექნება, ეს ცრუ იმედია, მათ არსებობას ძალიან ცოტა აზრი აქვს.

- ვფიქრობ, ამას ამდენ ყურადღებას არ უნდა ვუთმობდეთ. ხომ მართალი ვარ?

- იცით...

- სინამდვილეში, რა გალიზიანიბთ ყველაზე მეტად?

- უნიჭო მხატვრები, რომლებსაც აპიარებენ. მალიზიანიბთ უგემოვნო მასა, რომელიც ამ გაპიარებულს ყლაპავს და ყლაპავს.

აქ ინსტალატორს შინაგანი გამოფენილება დაეტყო. ის უცბად გამოცოცხლდა,

ფურცლები ერთად მოაგროვა და ეს დასტა მაგიდაზე რამდენჯერმე დარტყმით მისწორ-მოსწორა. გასწორებული მოშორებით გადადო... მერე სწრაფადვე აიღო და გადახია, ერთ-მანეთს დაადო და კიდევ გადახია... ისევ გადახია, რაც უფრო ქუცმაცდებოდა ქალაღი, მით უფრო ჭირდა მათი დახვევა.

- არ გეგონოთ, ეს ანკეტა ჩემი შედგენილი იყოს, - თქვა ინსტალატორმა, რომელიც ანკეტის დაქუცმაცებისას სოფის თვალს არ აშორებდა.

სოფიმ მხრები აიჩეჩა. მისთვის სულერთი იყო, ვინ ჩამონერა კითხვები. ამ ეპიზოდში უფრო მნიშვნელოვანი ის იქნებოდა, თუ როგორ განვითარდებოდა დამკვეთის მიერ მისი მოულოდნელი მხარდაჭერა და თანაგრძობა.

- მე თანამშრომლის დაკითხვა არ მჭირდება, - თქვა ინსტალატორმა და დაქუცმაცებული ფურცლები მაგიდის ქვეშ ურნაში ჩაყარა. მაგრამ იქ ურნა არ აღმოჩნდა და ისინი იატაკზე დაიყარა.

- ვის სჭირდება ჩვენი დაკითხვა? - იკითხა სოფიმ, რომელიც თან იატაკზე დაყრილ ნაგლეჯებს დასცქეროდა.

- მხოლოდ ფორმალური მხარეა ახალი მუშაკის ასაყვანად...

- გეთანხმებით, ჩვენც ვიძაბებით ხოლმე.

- არ მინდა, რომ ჩვენს საქმეს ავცდეთ.

- არც მე.

ინსტალატორმა პატარა პაუზა გააკეთა და თქვა:

- აი, ის ოთახია, თქვენს უკან.

- რომელი? - სოფი არ განძრეულა.

- მიტრიალდით და დაინახავთ.

- მერე შევხედავ...

- მერე შეხედავთ? როდის, მერე?

- მალე, ახლავე...

- კეთილი.

ფარდები იყო ჩამოფარებული და ოთახში ნახევრად ბნელოდა. სინათლე ზემოდან, მხოლოდ მოგრძო სარკმლიდან შემოდოდა. ოთახი დიდი: რვა - ათზე. თითქმის ცარიელი.

ოთახი, რომლის შესახებაც სოფიმ აქ მოსვლამდე იცოდა, მის ზურგსუკან იყო. ზურგი მიმღებია და სწორედ ამიტომ იკუნტება ადამიანი თავდასხმისას და ზურგს უხვედრებს საფრთხეს. თავდასხმა ზურგიდან საოცრად გაცლის ძალას.

- ასე არ შემიძლია, - თქვა სოფიმ და ოდნავ მოიკუნტა, - უნდა შევხედო.

და სწრაფად მიტრიალდა.

მან დაინახა კარი. თვალი წამის მეთაფებში დააფოკუსირა და უფრო ახლოდან დაინახა კარი... სულ ახლოს, პირდაპირ სახესთან. უნდოდა, მზერა გადაეტანა რაღაც სხვაზე. მაგრამ იმ კედელზე სხვა არაფერი იყო - მხოლოდ კარი.

- ეს ის კარია? - იკითხა სოფიმ.

- დიახ.

- ჩვეულებრივი კარია, - თქვა ჩუმად.

- ჩვეულებრივია, მაგრამ ყველა ვერ შედის.

- რა აქვს გადაკრული?

- რბილი მასალაა, ხმაურსაც იჭერს.

სქელი ყავისფერი მასალა, სადაც, შორეული წარსულიდან, დამყავებული ეპოქიდან. სოფიმ შეწყვიტა ფეხის კანკალი.

- რატომ ხმაური? - იკითხა სოფიმ.

- ყოველი შემთხვევისთვის, - ჩაილაპარაკა ინსტალატორმა.

- ყვირიან?  
 - ვინ?  
 - არ ვიცი. იქნებ ვინმე ყვირის, - სოფი ისევ კარისკენ იყურებოდა, თვალს ვერ აშორებდა.  
 - არა, ყვირილს რა აზრი აქვს, არავითარი.  
 ინსტალატორის ხელები მაგიდაზე. ინსტალატორი გამხდარა, გრძელი კისერი აქვს.  
 - კარი სუნსაც იჭერს.  
 - სუნი საიდან? - სოფი მასპინძელისკენ მიტრიალდა.  
 - ოთახიდან.  
 - რა არის იმ ოთახში?  
 - ვინც აქ მოდის, ყველამ იცის, რა არის ოთახში. რატომ მეკითხებით?

- თქვენგან მინდოდა გამეგო... იქნებ ჭორია-მეთქი, - მოჩვენებითი გულგრილობით იკითხა.  
 ისევ აუთამამდა ფეხი. ოდნავ წინ რომ გასწიოს, ინსტალატორის ფეხს შეეხება. ოთახში სიჩუმე და სიბნელეა.  
 - ოთახში გარდაცვლილია, - უთხრა ინსტალატორმა.  
 სოფის შეუძლია, ქვემოდან წიხლი ჰკრას ინსტალატორს და გადააყრავოს. არა, რა სისულელეა! სპონტანური პირველი რეაქცია... ცხადია, ის ამას არ იზამს. წარმოდგენითაც კი ვერ წარმოიდგენს. მითუმეტეს, ახლა, როცა აზრი სულ გაეფანტა.  
 - მართალი ყოფილა, რასაც ამბობდნენ, - ჩაილაპარაკა სოფი.

- ხომ არ შეშინდით?  
 სოფი ისევ კარისკენ იყურება, მოკლე კისერი აქვს, თავი მხრებში უფარდება. ის პუტკუნაა:  
 - სუნი მცემს თითქოს.  
 - გეჩვენებათ, სუნი ვერ იქნება, ცხედარი დამუშავებულია.  
 - აბა, სუნიო? თუ გვამს ამუშავებთ, სუნი საიდან?  
 - ალბათ დიდ სიცხეში. ახლა არ ცხელა.  
 - ოთახში გვამია?  
 - „გვამს“ ნუ ამბობთ! ამ სიტყვას ნუ ამბობთ, უხერხულია...  
 - ბოდიშს გიხდით.  
 - არა უშავს.  
 - ვინ არის?  
 - ამჯერად ახალგაზრდა კაცია, 20 წლის.  
 - როგორ მოკვდა?  
 - ავტოსაგზაო შემთხვევა. მთელი ოჯახი დაიღუპა: მამა, დედა, ქალიშვილი და ეს ბიჭი.

სოფი თავს ხრის. სუნთქვა უჭირს. რატომ ემართება ხოლმე ასეთი უკმარისობა? ზედმეტი წონის ბრალია, მეტი არაფერი.  
 - ესე იგი, ოთახშია?  
 - ჰო, ტახტზე წევს.  
 - რას აკეთებს იქ?  
 - ტახტზე წევს, ზემოთ იყურება. რა გჭირთ, ცუდად ხართ?  
 - არა... კარგად ვარ.

მის გონებაში, ბავშვობაში ჩანწეხილი, ამოუცნობი სცენები ვლინდება. ავადმყოფობის განმეორებას ხშირად მისი უბრალო გახსენებაც კი იწვევს.

სახეზე ხელს ისევამს. ოფლია, თუ რა არის?

- ცხედარს მოძრაობა შეუძლია, - თქვა ინსტალატორმა.  
 - როგორ, მოძრაობა?

- ჰო, მინიმალური გადაადგილება შეუძლია. მაგალითად, თავის მობრუნება.

- რატომ? ის ხომ მკვდარია? რატომ მოძრაობს? არ არის ბოლომდე მკვდარი?

- ბოლომდე მკვდარია. უბრალოდ, მე მოვანყე ისე, რომ, თუ შეხვალ, ცოტათი ამძრავდება, შენკენ გამოიხედავს... მეტი არაფერი.

- რატომ აკეთებთ ასე? ცოტა მარტივად არ შეიძლება?

- მარტივად აღარ გამოდის, ხალხის დაინტერესება ჭირს.

- ვინ ხალხის?

- მნახველის.

- ჰო, მაგრამ, თავს თუ აბრუნებს, შეიძლება, სხვაც შემიძნეს.

- ხომ გაგაფრთხილეთ. ყველანი გაფრთხილებულნი ხართ. ვინც აქ მოდის, ყველას ვაფრთხილებ, სიურპრიზებს არავის ვუმზადებ.

ინსტალატორის პროფილი: ჯერ მარცხენა, მერე მარჯვენა. ზემოთ იყურება, ჭერში. ოდნავ ნაწყენია.

- მომისმინეთ, იქნებ, არ არის ბოლომდე მკვდარი? - იკითხა სოფიმ, - ბავშვობაში მე ვნახე მკვდარი, რომელიც ტახტზე იწვა და საუბრობდა. ის მკვდარი იყო, მაგრამ საუბრობდა.

- ეგ თქვენი სიზმარია, სოფი.

- თქვენ რა იცით, რომ სიზმარია?

- სხვა რა უნდა იყოს?

სოფი წამოდგა სწრაფად, თითქოს წასვლას აპირებსო... და ისევ დაჯდა.

- სიზმარი არ იყო, გვერდულად იწვა. მკლავი ჰქონდა თავვეშე ამოღებული, - თქვა სოფიმ, - როცა შევედი, ამომხედა და ოდნავ განაწყენებულმა რალაც გაუგებარი ჩაილაპარაკა თავისთვის. ვერ მივხვდი, რა ენაზე მითხრა. გაჩუმდა და დაელოდა, რას ვუპასუხებდი. ვერაფერი ვთქვი. თვალეში არ მიყურებდა. ძალიან ჩაფიქრებული მეჩვენა, თითქოს საკუთარ მომავალზე დარდობდა. მერე ბედს შეეგუა და ზურგზე დაწვა. გარდაცვლილის პოზა მიიღო ნებაყოფლობით. მე ოთახიდან გავედი და მხოლოდ მერე შევიტყე, რომ უკვე რამდენიმე საათის გარდაცვლილი ყოფილა.

- საოცრად საინტერესო იქნებოდა, ისინი რომ მოძრაობდნენ, მაგრამ ეს შეუძლებელია. ნამდვილად სიზმარს ჰგავს.

- იქნებ, გადაწონილება სურდა, მართლა მკვდარი იყო, თუ არა.

- რამე გსმენიათ ნეკროფობიის შესახებ?

- არავითარი ნეკროფობია, მკვდრების შიში ავადმყოფობა არ არის.

- ვფიქრობ, ავადმყოფობაა.

სოფი ჩუმადაა. აბა, რას უნდა ელოდოს



გადაღებაზე

აქედან კარგს?

- რაც ახლა გითხარით, ადრე არავისთვის მითქვამს. ამ წუთას წარსული ძალზე რეალურად ვიგრძენი: ის ოთახი, ის გარდაცვლილი, ის ფერები მის ოთახში... - თქვა სოფიმ.

- თქვენც გემინიათ? - ჰკითხა ინსტალატორმა.

- ცოტათი.  
- მაშინ, არ უნდა მოსულიყავით. ეგ შიში პრობლემას შეგიქმნით ჩვენთან.

- სხვა გამოსავალი არ მაქვს.  
- ყველა ასე ამბობს.  
- მე მართლა არ მაქვს.  
- იქნებ, სანამ გვიანი არ არის, ადგეთ და სახლში დაბრუნდეთ.

- ეს შეუძლებელია.  
- ჰოდა, თუ შეუძლებელია, კეთილი ინებე და თავი ხელში აიყვანე! - ხმას აუწია ინსტალატორმა.

- ბოდიშს გიხდით, იქნებ, სხვანაირად გამოვიდეს... მეც გამიგეთ...

- სხვანაირად ვერ გამოვა.  
- უბრალოდ, კართან მივალ. შიგნით არ შევალ. იქნებ საკმარისი იყოს.

- რა სისულელეს ამბობთ! სხვანაირად ვერ გამოვა! ოთახში უნდა შეხვიდეთ. ამისთვის ხართ აქ.

- გამონაკლისი დაუშვით რა... რამე სხვას გავაკეთებ.

- რატომ მევაჭრებით? მგონი, გასაგებად

ვთქვი: ოთახში უნდა შეხვიდეთ.

ძარღვი ინსტალატორის ყელზე. გაპარსული და თხელი სახე. რამდენიმე წლით სოფიზე დიდი. დათმობაზე არ წავა.

- ოთახში უნდა შეხვიდეთ, გესმით!

სოფიმ სიმწრისგან მუშტი შეკრა... მაგიდაზე ჩამოსდო, მარცხენა მუშტი მარჯვენას დაადო და ზემოდან შუბლი დააყრდნო. ამ წუთას არაფერი არსებობს, ოთახის გარდა.

- მე არ გაჩქარებთ. მაგრამ უკვე ნახევარი საათია, რაც აქ ხართ. ერთ საათში ყველაფერი უნდა მოესწროს.

ბოლოს და ბოლოს რა არის საშიში? ერთი პატარა ბიჭის გვამი. შევა და უცბად გამოვა. არა, უცბად როგორ გამოვა?

- მომიყევით, რა ხდება შიგნით, დაწვრილებით მომიყევით, - თქვა სოფიმ ისე, რომ თავი არ აუნევიდა.

ინსტალატორი დგება და სიარულს იწყებს ოთახში.

- შეხვალ თუ არა, პირდაპირ ტახტი დგას. მასზე მამაკაცი წევს, თავით მარჯვნივ, გულალმა და ღია თვალებით. თუ ახლოს მიხვალ, დაინახავ, რომ მის თვალებში მზერა ჩამქრალია. პრინციპში, ახლოს მისვლა არც გინდა, ამას შესვლისთანავე იგრძნობ. მისი მარჯვენა ხელი უხილავი ჭუათი მივამაგრე ჭერში და ისე ჩანს, რომ ზემოთკენ აქვს ანეული. თუ ძუას მოადუნებ, გარდაცვლილი ხელს დაბლა უშვებს. მარცხენა ფეხი იატაკისკენ აქვს ჩამოგდებული. მეორე ფეხი მუხლში მოუკეცავს. თუ საჭირო გახდა, გაშლის კიდევ. მარცხენა ხელი მუცელზე უდევს. როცა მნახველი შედის, თავს მისკენ აბრუნებს. მნახველი გაფრთხილებულია და წესით, არ უნდა შეშინდეს. ოთახს კიდევ ერთი კარი აქვს, ამ კარის მოპირდაპირე მხარეს - ცენტრალური შემოსასვლელი. მაყურებელი სწორედ იმ მხრიდან შემოდის.

- სიბნელეა?  
- არც ისე.

- სუნი?

- კონდიციონერია ჩართული, საკმაოდ გრილა, სუნს ვერ იგრძნობ. მალე თუ შეხვალ, სუნს ვერ იგრძნობ. იქვე, ცხედრის ფეხებთან, სანოლის ბოლოში, სავარძელია. მოპირდაპირე კედელთან კი მაკალი, ძველებური, ზამბარებიანი სანოლი დგას.

- იცის, მკვდარი რომ არის?

ინსტალატორი ჩერდება. თითქოს გაფითრდაო. არადა, ისე-დაც დაკარგული ჰქონდა უკვე ფერი.

- მკვდარმა როგორ უნდა იცოდეს, მკვდარი რომ არის? - ჰკითხა ინსტალატორმა, - არ იცის, ცხადია.

- მე რომ ვნახე გარდაცვლილი, მგონი მან იცოდა, მკვდარი რომ იყო. გაცნობიერებული ჰქონდა. რაღაც, ასე მგონია... თითქოს, კიდევ ცოტა დრო მისცეს, რომ ელაპარაკა. მაგრამ რადგან მკვდარი იყო, გაუგებარს ამბობდა, და თან უკვირდა, რატომ ვერ მიგებენო. დაბნეული ჩანდა, თავისი სიკვდილით შეშინებული.

- დაივწყით ის თქვენი მკვდარი. რაც გითხარით, ის თუ გაიგეთ? მისმენდით?

- დიახ. შევადებ თუ არა, იქვე ნეცს.

ინსტალატორი ახლოს მივიდა სოფისთან.

- დავინწყით. ადექით. თავი ხელში აიყვანეთ.

სოფი წამოდგა. მაგიდას ჩაებლაუჭა, ველარ მოშორდა.

- დიახ, ერთი წამით... ახლავე.

- მოშორდით მაგიდას... ცოტა თამამად.

- ერთი წამით, ერთი წამით...

- ცოტა სწრაფად! მოშორდით მაგიდას, გადადგით ნაბიჯი...

- დიახ, ახლავე... ფეხი აღარ მემორჩილება... დამიბუჟდა მგონი...

- ნერვები მეშლება სოფი! გადადგით ნაბიჯი, ახლავე!

- ხელი არ მახლოთ, მე თვითონ! - წამოიყვირა.

- ასე რამ შეგაშინათ სოფი, ნუთუ ლაჩარი ხართ?!

ნაბიჯი. კიდევ ერთი ნაბიჯი. ინსტალატორი თვალს აყოლებს, წყობილებიდან უკვე გამოსულია.

- პირველ რიგში, კართან მიდით. ჯერ კართან მიდით და იქ გაჩერდით. ნუ შეხვალთ, უბრალოდ, იდექით.

გაიწელა მისვლის სცენა. არაბუნებრივად გაიწელა.

- ხელი დაადეთ კარს. იგრძენით კარი... ძალიან კარგი.

ახლა ტანით მიეკარით, უფრო მეტად იგრძენით... ყოჩაღ, სოფი. ახლა მიაწეკით კარს და შეაღეთ. ის ისედაც ღიაა, ცოტა მიწოლა უნდა და თავისით გაიღება.

- ასე პირდაპირ არ შემიძლია.

- დროს ნუ ჭიპავთ, მაინც თქვენი გასაკეთებელია, მაგდენს ვერ ხვდებით?!

- გასაღების ჭურჭრუტანაში შევიხედავ ჯერ... ის თუ პირდაპირ წეცს, ასე მირჩენია.

- შეიხედეთ, მალე!

სოფი იხრება და ჭურჭრუტანაში იყურება... ძარღვები სოფის კისერზე, აბურძგნული თმა, თხელი თმა, თმის ნარჩენი...

- რას ხედავთ?

სოფი არ პასუხობს.

- თვალი გაახილეთ, სოფი! - ყვირის ინსტალატორი. - რას უყურებთ დაბუჭული თვალით, სულ გასულელდით! მეორე თვალი გაახილეთ სოფი!

ინსტალატორი ახლოს მიდის და ხელს ქეჩოში ავლებს.

- თვალი გაახილეთ და შეიხედეთ! - ყვირის, - ნუ გამომიყვან წყობილებიდან!

ინსტალატორი ხელებით სოფის თავს ჭაჩავს და წინ უბიძგებს. სოფი უძალიანდება, ხელით სახელურს ებლაუჭება და ცდილობს, კარი არ გაიღოს, თავისკენ სწევს.

- ნუ იჭერ კარს! - ყვირის ინსტალატორი, - კარს ნუ იჭერ!

სოფი თავს ითავისუფლებს და ინსტალატორს ხელიდან უსხლტება. შემოსასვლელი კარისკენ გარბის. იქ ჩერდება. გული რომ აქვს მამაკაცს ცუდად, სწორედ ისე სუნთქავს.

- გეხვეწებით, დრო მომეცით, სულ ცოტა დრო...

კარს აღებს და გარეთ გარბის.

ქუჩაზე გადარბის, თან მობილურიდან რეკავს. პიცერიაში შედის. მაგიდასთან ჯდება.

ფიქრობს: „რა სირცხვილია, რა დამემართა, როგორ ვერ შევედი? ერთი საწყალი გარდაცვლილი. რატომ შეგშინდი? წარსულის შიშები თავს არ მანებებს. თუნდაც, დედის გარდაცვალებს ავიღოთ. დედის სხეულსაც კი ვერ შევეხე, და სხვის მკვდარს როგორ შევეხო? მახსოვს, მაშინ მეტალზე მოვიდა და მამა ეხმარებოდა. დავინახე, როგორ მოჰქონდა მამას ტაშტი, შიგნით რაღაც სითხით და რომ არ დამენახა, რა ესხა - ჩავეჯექი, ჩავიმუხლე. მამა ჩემკენ წამოვიდა და ახლოს თუ მოვუშვებდი, დავინახავდი, რა ესხა იქ. სანოლზე გადავწექი, ვითომ ცუდად ვიყავი. ტაშტზე დაბალი სიმაღლე იყო საჭირო. მამას ვუთხარი, არ მოხვიდე, მამა, ახლოს. მანდ დარჩი... ანდა, იქით წადი, სადაც მიდიოდი და გადაღვარე ეგ ტაშტი. ცხადია, მიმიხვდა სილაჩრეს, მაგრამ ეს ის მომენტი იყო, როცა სჯობს, ლაჩარი იყო, ვიდრე შიშისგან ენაჩაფარდნილი. მკიდეა, რაც მოხდა.“

ათ ნუთში პიცერიაში ქალი შემოვიდა. ეს მისი ცოლი იყო - ლიკა.

ლიკა სოფის წინ დაუჯდა. სოფის თავი ჰქონდა დახრილი.

ოფიციალტი იქვეა:

- აბა, რას შეუკვეთავთ?

- ნოთელი ღვინო, - თქვა ლიკამ.

- არ ვიცი, რამე სხვა... მარტინი, - თავი გააქნია სოფიმ.

- პიცა გინდა? - ჰკითხა ლიკამ სოფის.


- არა, რა პიცა.

ოფიციალტი მიდის.

- რა ქენი? - ჰკითხა ლიკამ.

სოფი არ პასუხობს, გვერდით იყურება.





- სობი, რა ქენი?  
 ლიკა ხედება, რომ ვერ შევიდა.  
 - თვალეში რატომ არ მიყურებ?! - ხმას უწევს, - თვალეში მიყურე, როცა გელაპარაკები!  
 - რა გინდა?  
 - რა ქენი-მეთქი?  
 - ვერ შევედი.  
 - რატომ ვერ შეხვედი?  
 - იცი, რატომაც.  
 - რატომ, შეშინდი?  
 - ჰო.  
 - სობი! - ყვირის ლიკა.  
 ყველა მათკენ იყურება.  
 - უნდა შესულიყავი, - ხმადაბლა ამბობს ლიკა, - ხომ მოვილაპარაკეთ, რომ უნდა შესულიყავი.  
 - არ გამომივიდა. იქ ყველაფერი სხვანაირად არის, ზნელა და რა ვიცი, სხვა გარემოა... ეგრე ადვილი არ არის.  
 - შენ დამპირდი, რომ შეხვიდოდი. რაც არ უნდა დამიჯდეს, შევალო, ასე თქვი.  
 - მაპატიე, შეგშინდი, არ მეგონა, თუ შევშინდებოდი.  
 - უნდა გამოასწორო. მალე უნდა გამოასწორო. სანამ გადაუფიქრებიათ, მანამდე უნდა გამოასწორო. მისმენ? თავი ანიე, გვერდით ნუ იყურები! სობი!  
 - ნუ ყვირი, მესმის!  
 - შენ თუ არ შეხვალ, სხვა მხატვარი შევა, ასე ეწერა კონტრაქტში. ხვდები, სირთულეს?  
 - მითლად დარწმუნებული არ ვარ. აქ ადვილია ამაზე საუბარი, იქ სულ სხვაა, იქ სიბნელე... ის კაცია.  
 - რას ბოდილობ!  
 - უნდა გამიგო, ლიკა, არც ისე ადვილია.  
 - რამე სხვა იყო ოთახში? მკვდარი არ იყო?  
 - მკვდარი იყო.  
 - მერე?  
 - რა, მერე...  
 - შე ლაჩარო, შენა, შე ჩამჯგელო!  
 - გინდა, აგარტყა ახლა, შე ნაბიჭვარო!  
 - მიდი აბა, მიდი აბა! მე თვითონ აგარტყამ!  
 ხალხი ისევ მათკენ იყურება.  
 ნაშთი ლიკა უკან ჯდება.  
 ოფიციალტი მოდის და სასმელი მოაქვს.  
 - ერთმა მკვდარმა როგორ შეგაშინა, შე დეგენერატო?  
 - არ ვიცი, ფეხები ამიკანკალდა. თავს ამოძრავებს ის მკვდარი.  
 - ეგ იმ ტიპის სრიკებია, გაფრთხილებული ვიყავით, რომ ეგეთ რაღაცეებს ჩალიჩობს. ხომ ვეშაბდებოდით.  
 - ჰო, რა ვიცი...

- ხომ შეიძლება, უფრო საშიში რამ ყოფილიყო?  
 - რა, მაგალითად? უფრო საშიში რა?  
 - მოჩვენება, ან რამე.  
 - სულელი ხომ არ ხარ, გაჩერდი რა, - სოფი ფიქრობს, -  
 იესე მართალი ხარ, იქნებ, უფრო საშიშია შიგნით რამე?  
 ლიკა წრუპავს ლვინოს.  
 - შენ არ დალიო! - ეუბნება სოფის.  
 - რატომ, ვითომ?  
 - კონტრაქტში წერია, სამუშაოზე მთვრალი არ უნდა იყო. სოფი ოდნავ წრუპავს მარტინის, ხელი უკანკალავს.  
 - მალე უნდა ადგე და წახვიდე, აქ ჯდომის დრო არ გვაქვს. სოფი არ პასუხობს.  
 - ჰა, გამოდებოდა?  
 - ხომ იცი, რომ შევალ... ეჭვი არ შეგეპაროს.  
 ლიკა ჯიბიდან მობილურს იღებს და ფოტოსურათს უჩვენებს:  
 - ხედავ, ამას? რა პასუხი გავცე შენს ბავშვს, მითხარი? რა ვუთხრა, თქვი.  
 - შევალ-მეთქი, გითხარი.  
 - შე ჩამჯგელო, შენა!  
 - არა ვარ ჩამჯგელი, ოდნავ შეგშინდი მხოლოდ, გამივლის.  
 - გინდა, მე შევიდე? გინდა, სობი, შენ მაგივრად მე შევიდე?  
 - არა, არ მინდა.  
 - შენ არ შეგრცხვება, მე რომ შევიდე შენ მაგივრად?  
 - შევალ-მეთქი, გითხარი, ნუ მაყვირებ აქ!  
 ხალხმა ისევ გამოიხედა. ერთ-ერთმა დაუყვირა ამათ:  
 - გარეთ იჩხუბეთ, რა!  
 - მიდი გააჯვი აქედან! - შეუბრუნა ლიკამ.  
 ის ვილაც ტიპი წამოიწია. სულერთი იყო ეტყობა მისთვის, ქალს მოადებდა თუ კაცს.  
 - მოდი, აბა, მოდი! - დაინივლა ლიკამ.  
 ვილაცეები ჩადგნენ შუაში და დააშოშმინეს მოჩხუბრები.  
 დასხდნენ, დაწყნარდნენ.  
 - თავი აიყვანე ხელში, - წაიჩურჩულა სოფიმ.  
 - მაგარი ნაბიჭვარი ხარ, სობი, მაგრად მივქარე, შენ რომ გამოგყევი.  
 - არ ინანო ეგ ნათქვამი, იცოდე.  
 - უკვე ვინანე, ქალაჩუნა ხარ.  
 ლიკას მობილურმა დაარეკა. ქალი ტელეფონს დააცქერდა, გაეღიმა.  
 - იცი, ვინ არის?  
 - არა. ვინ არი?  
 - მამაშენია.  
 - რა, იცის, რომ ერთად ვართ?  
 - აქ სანამ მოვიდოდი, მანამდე ვუთხარი.  
 - შე სულელო! ყურმილი არ აიღო, გესმის...  
 - ალო... ჰო... სად იქნება, აქ არის.  
 სოფის მობილური გაუწოდა:  
 - მიდი, ელაპარაკე.  
 - ალო, სოფი. ალო, სოფი, გესმის ჩემი? - თქვა იქიდან მამამ.  
 - ჰო, მამა.  
 - რა ქენი, სოფი?

- ვერ შევედი, მამა.  
 - რატომ, სოფი?  
 - ვერ შევედი და მორჩა.  
 - გინდა, რომ ყველა შეგვარცხვინო?  
 - არ მინდა.  
 - ვინ იყო ოთახში?  
 - ახალგაზრდა ბიჭი.  
 - ჩაიფვი, არა?  
 - მამა, წესიერად.  
 - გინდა, მე შევიდე შენ მაგივრად?  
 - არ მინდა, მამა.  
 - შენ არ შეგრცხვება, მე რომ შევიდე?  
 - ათ წუთში უკან დაბრუნდები და შევალ.  
 - ათ წუთში რომ დაბრუნდები, ხომ იცი, უკვე გართულე-  
 ბული დაგხვდება ინსტალაცია.  
 - ნუ მაშინებ, მამა.  
 - პირველსავე ცდაზე უნდა შესულიყავი, ასე ენერა კონტ-  
 რაქტში. ახლა გართულდება, უფრო გაგიჭირდება.  
 - პრობლემა არ არის.  
 - კარგად მომისმინე, სოფი. თუ ეგ ადგილი არ გაითავისე,  
 ისე ვერ შეხვალ. უნდა გაუშინაურდე, უნდა შეიყვარო, სხვანა-  
 ირად, ყოველთვის პრობლემა გექნება. ვერც წინ წაინევი.  
 - ეგ ადრეც გითქვამს.  
 - შენ თავისუფალი ხარ შენს მოქმედებაში. უნდა მიხვდე,  
 რომ არავინ არაფერს გაძალებს და ყველაფერს შენი სურვილით  
 აკეთებ. მაშინ მოგესხნება წნეხი.  
 - ვერ მოვასწარი ეგ.  
 - ადამიანს მოვალეობა აქვს, ვერსად გაექცევა. შენ შეგი-  
 ძლია, სხვა მიმართულებით წახვიდე, მაგრამ მოვალეობას რა  
 პასუხს გასცემ?  
 - ნელ-ნელა ვწყნარდები, მამა.  
 - ჰოდა, ძალიან კარგი. შენ თავისუფალი ხარ, სოფი. ამას  
 იმიტომ აკეთებ, რომ გინდა. შენ ეს გინდა, შენ ეს გინდა... გაიმე-  
 ორე გულში: მე ეს მინდა, მე ეს მინდა...  
 - სალაპარაკო არ გაგითავდეს, მამა.  
 - რა მითხარი?  
 - გავიმეორებ მეთქი... გავიმეორებ.  
 - თქვი, რომ აჯობებ შენს თავს.  
 - დიახ, მამა.  
 - თქვი, რომ აჯობებ შენს თავს!  
 - მე ვაჯობებ ჩემს თავს.  
 - გაიმეორე, სოფი!  
 - მე ვაჯობებ ჩემს თავს!  
 - ჰოდა, სწრაფად წადი, ინსტალაცია არ გართულდეს.  
 - მივდივარ უკვე.  
 - გეგონა, რომ ყვირილს დაგინწყებდი და მაგრად დაგირხ-  
 ევდი?  
 - შენგან ყველაფერია მოსალოდნელი.  
 - მე კი წყნარად გელაპარაკე, სოფი, არ ელოდი ალბათ.  
 ტუ-ტუ-ტუ...  
 მობილური მაგიდაზე დადო. დარჩენილი მარტინი გადაკრა.  
 სახე მოექქმუნა. გაიფიქრა: „რას ნიშნავს, აჯობო შენს თავს?  
 ორი ვარ, თუ რა არის? მე სხვა ვარ და თავი სხვაა? ვინ არის ის

მეორე, პირველს რომ უნდა აჯობოს?“  
 - მე მესმის შენი, - უთხრა ლიკამ, -  
 უბრალოდ, სხვა გამოსავალი არა გვაქვს.  
 - გესმის არა, ის, - ჩაილაპარაკა სოფიმ და  
 სახეზე ხელი მოისვა, - დავინწყებ მუშაობას და  
 მერე შენ დედას თუ არ შევცემ, აგერ, ნახავ!  
 - დედაჩემი მკვდარია, სობი.  
 - ნუ გაატარაკე, მართლა?  
 - კაცი უნდა მუშაობდეს, სობი. კაცი მთა-  
 ვარია ოჯახში.  
 - ერთი ჭიჭა მინდა კიდეც.  
 - მეტი არა.  
 სოფი გასასვლელისკენ იყურება. სულ  
 რაღაც ხუთ წუთში უნდა ადგეს და იქ და-  
 ბრუნდეს.  
 - ამას იმიტომ არ ვაკეთებ, გამოსავა-  
 ლი რომ არ გვაქვს. ასე უნდა იყოს, ეს მოვ-  
 ალებოდა... რაღაც კუთხით, ეს ჩემი მოვალეობაა  
 და მე უნდა მომწონდეს ჩემი საქმიანობა, - თქვა  
 სოფიმ.  
 - მამამ დაგარიგა?  
 - მეც ვგრძნობდი. მე ვაჯობებ ჩემს თავს.  
 - სობი, მე ეჭვი არ მეპარება შენში.  
 - მართლა?  
 - მართლა, მიყვარხარ.  
 - მეც მიყვარხარ.  
 - რატომ იჭმუნები, რამე ხომ არ გტკივს?  
 - გაზები დამიგროვდა მოულოდნელად,  
 გაკუება მინდა ძალიან.  
 - გააკუე, მერე.  
 - აქ როგორ გავაკუო?  
 - მიდი, გააკუე.  
 - გარეთ გავალ.  
 - გინდა, სალექი რეზინა? - ჰკითხა ლიკამ.  
 - მოიტა.  
 შემდეგ სოფი წამოდგა და პიცერიიდან გავიდა.

ქუჩა გადაკვეთა. ეშინოდა, ვინმე სხვას არ  
 დაეკავებინა მისი ადგილი და ამიტომ სწრაფი  
 ნაბიჯით იარა. 15 წუთში ისევ ინსტალაციის  
 შენობას მიაღწა. სანამ შევიდოდა, გვერდზე  
 გაიხედა და ლამაზი, პატარა ქუჩა დაინახა. ამ  
 ქუჩას რომ გაჰყოლოდა, ზღვამდე მივიდოდა.  
 ზღვა, გემები, თოლიები... ცას ახედავდა. იცით,  
 როგორ ახედავდა ცას? გულალმა დაწვებოდა  
 და ისე. დაიძინებდა. გარეთ, ბუნებაში, ჩიტ-  
 ების ჭიჭიკიში ჩასთვლემდა. ქალის მკლავზე  
 დაიძინებდა. გესმით, ქალის მკლავზე დაიძინებ-  
 და, ნამდვილი ქალის მკლავზე. არა, პირიქით,  
 ქალი დაიძინებდა მის მკლავზე. ეს კი, მერე,  
 გავლიძებულს, კალთაში ჩაუდებდა თავს.  
 ტყე გაასხენდა. რამდენი ხანია, ტყეში აღარ  
 უსეირნია ხეების ქვეშ. კინოშიც არ ყოფილა,

დიდი ხანია. თუმცა, არა, კინოში ახლახან იყო... ხომ ხედავ, არც კი ახსოვს.

ეს ყველაფერი იქნება, მომავალში, - გაიფიქრა, - როცა სტაბილურობას მივალწვევ, დაგმწვიდდები და გავისხენებ, რომ სიცოცხლე მშვენიერია.

ნაცნობ სახეს მოკრა თვალი. ოღონდ ვერ გაიხსენა, საიდან იცნობდა. ის ტიპი მიუახლოვდა. - რალაც მინდა, გითხრა, - დაიწყო ნაცნობმა.

- ვერ გიხსენებ, ვინ ხარ. მაგარი დაძაბული ვარ და თუ არ გინდა, ახლა ხელების ქნევა დავიწყო, შენი გზით წაიღო, რა.

ზურგი აქცია. კარზე დარეკა. - მხოლოდ ერთი რამის თქმა მინდოდა, - თქვა ნაცნობმა.

- მიდი, მითხარი ერთი რამ, ოღონდ სისულელე არ იყოს.

- ის კაცი, ვინც შენ ცოცხალი გგონია - მკვდარია.

- აჰა, ხომ ხედავ: ერთი შანსი მოგეცი და სირობა მითხარი.

კარს არ უღებდნენ. თვითონ მიაწვა, ღია აღმოჩნდა. შევიდა. მიიხედ-მოიხედა, თუმცა, ეს უფრო მეტანიკურად გააკეთა, შესასვლელში ისეთი სივინროვე იყო, მიხედ-მოხედვას აზრი არ ჰქონდა.

პატარა დერეფანივით რალაც გაიარა და იმ ოთახს მიაღდა, ინსტალატორს სადაც ესაუბრა. ოთახი ცარიელი იყო.

გაიფიქრა, უკან ხომ არ დაგბრუნდებო, მაგრამ უკან დაბრუნების შანსი არ იყო. ამიტომ წინ წავიდა, ინსტალაციის კარს მიაღდა. გაღება არც უფიქრია, მხოლოდ მიაყურადა. გაურკვეველი საუბარი მოესმა დაბალ ხმაზე, სიტყვები ვერ გაარჩია, ერთი ადამიანი ლაპარაკობდა, მეორემ რამდენიმე სიტყვა ჩაურთო მხოლოდ.

ეს დიდხანს არ გაგრძელებულა, სოფიმ ფეხის ხმა გაიგონა და უცბად დაიხია უკან. კარიდან ინსტალატორი გამოვიდა.

ის ოღნად შეყოვნდა, სახეზე არაფერი გამოხატვია.

- ჩემი ხმა გაიგონეთ? - ჰკითხა ინსტალატორმა.

- დაიხ... ცოტათი.

- ესე იგი, კარი ბოლომდე ვერ იჭერს ხმაურს, - ჩაილაპარაკა დაფიქრებულმა.

მერე სოფის მეგობრულად გაუღიმა და თქვა:

- ვიცოდი, რომ დაბრუნდებოდით.

- გარეთ გასვლამ მიშველა. თავისუფლება კარგია, რასაც გინდა, იმას იზამ. დაძალებას შედეგი არ მოაქვს, უნდა გინდოდეს გაკეთება, -

უპასუხა სოფიმ დაზეპირებული ტექსტი, - უნდა მოასწრო გავზრება, საკუთარი მოვალეობის დანახვა.

- გარეთ მყოფს უპირატესობა აქვს, მისთვის ყველა გზა ხსნილია, - თქვა ინსტალატორმა ისე, თითქოს პაროლზე პაროლით უპასუხაო.

- პატიებას გთხოვთ, გაუმართლებელი იყო ჩემი ქმედება.

- პირიქით, მე გთხოვთ პატიებას, - თქვა ინსტალატორმა და ცხვირსახოცი, რომელიც ხელში ეჭირა, ჯიბეში ჩაიღო, - სწორედ ძალადობაა გაუმართლებელი.

- მამაკაცი მარტო არ არის, მის უკან ოჯახია, სამშობლოა, მოვალეობაა.

- დაიხ! - წამოიყვირა ინსტალატორმა, - ოჯახი პირველია! ინსტალატორმა ხელი გაიშვირა. ისინი კვლავ მაგიდასთან მივიდნენ და შემოუხსდნენ.

- ჩაკეტილი სივრციდან გაქცევის ინსტინქტი ძალიან ძლიერია, და თანაც, ახსნადი ფენომენია, - თქვა ინსტალატორმა, - მაგრამ მე სხვა რამ მოცუბს: ადამიანების მანიაკალური სურვილი, ჩაკეტილი სივრცეში მოხვედრისა. განსაკუთრებით მაშინ, როცა მათ ეს არ სურთ.

- მართლაც, უცნაურია.

- რაც არ უნდა დაუფედეთ, მოხვდნენ იქ, სადაც არ უნდათ და სადაც, შეიძლება, არც არაფერი ესაქმებათ.

- ვხვდები...

- თანაც, მიაქციეთ ყურადღება, რაც უფრო უკრძალავენ სადმე შესვლას, მით უფრო ეტენებიან იქ.

- ამას რატომ ამბობთ? მე გვულისხმობთ?

- როგორ გეკადრებათ. რა თქმა უნდა, არა. თქვენი შემთხვევა თითქოს სანინაღმდეგო ხასიათს ატარებს: მე გეპატიუებით - თქვენ კი უარზე ხართ.

- მე არ ვარ უარზე.

- მაშ ასე: უკრძალავ - გეტენება, ეპატიუები - გაგირბის.

- რალაც ქალურს ვგრძნობ ამაში.

- ცდებით, მამაკაცებშიც ვაწყდებით ასეთ ტენდენციას.

- გეთანხმებით...

- და რადგან, როგორც წესი, უფრო ხშირად არ გვიშვებენ, ვიდრე გეპატიუებიან - პირდაპირ მასობრივ შეტენვასთან გვაქვს საქმე.

- ახლა მიჭირს ბოლომდე ამაზე ფიქრი.

- თქვენ გენიალურ პროექტში იღებთ მონაწილეობას. და ვფიქრობ, თქვენთან მიმართებაში ბოლომდე გულწრფელნი რომ ვიყოთ, მესამე კატეგორიას უნდა მიგაკუთვნოთ: ადამიანი, რომელიც ვერც ეტენება და ვერც გარბის.

- რა გამოუვალობაა! - წამოიძახა სოფიმ.

- საშინელი!

- შეიძლება, ასეთი კატეგორიაც იყოს: რომელიც ეტენება და თან გარბის?

- ო, რა საინტერესო კითხვაა. თუ დამცალდა, ვიფიქრებ ამ პარადოქსულ ფენომენზეც.

- ნულარ გადავდებთ, მალე დაიწყით, - თქვა სოფიმ, - იმედია ინსტალაცია არ გაგირთულებიათ.

ინსტალატორს მზერა გაექცა კარისკენ.

სოფიც მიტრიალდა, კარს შეხედა. ისევ იქ იყო, არავითარი ცვლილება. ცოტა ხანს უყურა და ინსტალატორს შეხედა.



- ჩემს მოვალეობაში რა შედის?  
 - უნდა გეშინოდეთ, მეტი არაფერი, - უპასუხა ღიმილით ინსტალატორმა.  
 - რას ამბობთ!  
 - კარგი იდეაა. აქედან რომ გაიქცეით, მაშინ მომივიდა თავში: მნახველი შემოდის ინსტალაციის სანახავად, სადაც ხედავს ერთ მკვდარს და კიდევ ერთ ცოცხალს, რომელი შიშისგან კანკალებს.  
 - ნუ დამცინით, სისუსტე ყველას აქვს.  
 - ანუ ოთახში მკვდარია, რომელიც მოძრაობს და ის ცოცხალივითაა. და არის ცოცხალი, რომელიც მკვდარია შიშისგან.  
 - აღარ შეგეშინდები და ეგ გეგმა ჩაგეფუშებათ.  
 - შეშინდებით, როგორ არა. ინსტალაციას ისე გადავანყო, რომ უეჭველი შეშინდებით.  
 - არ ღირს ამის გაკეთება... თუ მაინცდამაინც შიში გინდათ, მე მას უბრალოდ გავითამაშებ.  
 - ალბათ ფიქრობთ, სოფლის თეატრში ხართ, არა? არაფერი შეგეშალოთ! აქ ყველაფერი ნაღია. მკვდარი აქ მკვდარია, შემინებული - შეშინებული.  
 - არა, გთხოვთ, ნუ გაართულებთ ინსტალაციას, - თქვა სოფიმ ხმადაბლა და მორჩილებით, - ძლივს შევეგუე ჩემს როლს.  
 - უკვე გავართულე, - თქვა ინსტალატორმა.  
 - რას ნიშნავს, გაართულეთ!  
 - ხომ გახსოვთ, გითხარით, ამ ბიჭთან ერთად კიდევ მისი ოჯახის წევრებიც დაიღუპნენ-მეთქი.  
 - დიახ, - ჩაილაპარაკა სოფიმ.  
 - ისინი მოიყვანეს, დანარჩენი სამი. გაიქცეით თუ არა, ეგრევე მოვაყვანინე. ინსტალაცია შევცვალეთ: ოთახში ოთხი გვამია.  
 ამას არაფრით ელოდა: გვამებით სახე ოთახი. გული ძალიან აუჩქარდა, ტახიკარდია მექანიკურად დაეწყო. გულისცემას ყელში გრძნობდა. სახეზე განითლდა.  
 - ეს მეტისმეტია, - თქვა სოფიმ. ცოტაც და თავბრუსხვევა დაენწყებოდა.  
 - არც კი ვიცი, რა გირჩიოთ.  
 - რამე უნდა მირჩიოთ. მე მომზადებული მოვედი, მაგრამ ასეთი ცვლილებისთვის მოუმზადებელი ვარ.  
 - ვშიშობ, ვერაფერს შევცვლი.  
 - თქვენ შეიყვანეთ ისინი ოთახში? რატომ არ დამელოდეთ, ხომ მიხვდით, რომ დავბრუნდებოდი.  
 ინსტალატორმა მხრები აიჩეჩა.  
 - რა ამბავია, ოთხი მკვდარი?! - დაიყვირა მოულოდნელად სოფიმ.  
 - ნუ ყვირით!  
 სოფი წამოხტა. სკამი გადაყირავდა.  
 - აბა, ისტერიკის გარეშე! - დაიყვირა ინსტალატორმა.  
 სოფიმ მუშტი მოუღერა... მაგრამ ვის, ინსტალატორს, თუ მის მკვდრებს? იქნებ მამას, ან ცოლს?  
 - სკამი ააყენე, მალე! - დაიყვირა ინსტალატორმა, - ააყენე სკამი!  
 სოფიმ სკამი წამოაყენა და დაჯდა. ის მომწყვედულ მხეცს დაემსგავსა.  
 - რა ამბავია, ოთხი მკვდარი ერთ პატარა ოთახში? -

ჩაილაპარაკა გონებადაბინდულმა სოფიმ.  
 - ძველი თაობის მშობარა არსება ხართ, მკვდრის დანახვისას რომ კანკალებდნენ. ახალგაზრდებისგან აიღეთ მაგალითი, მათ არაფრის ეშინიათ. ასეთი პერფორმანსები მათ საოცრად ახალისებთ. მათ დაძლიეს შიში. ეს გოტიკის ხანაა. მე მათ მხარეზე ვარ. მე მათ ვთავაზობ გარდაცვლილთა ინსტალაციებს, რომლებიც მართალია, ჯერ პრიმიტიულად, მაგრამ მომავალში, უფრო რთულად იმოძრაებენ. ახლანდელმა თაობამ საოცრად გააფტიშა სიკვდილად ამით დაძლია შიში. ვფიქრობ, მომავალში სიკვდილის პირდაპირ რეპორტაჟებს ვიხილავთ რომელიმე გალერეიდან. საოცარი იქნება პირდაპირი ჩართვა სუიციდის არენიდან.  
 - ადრე მომისმენია, ვილაცა აკეთებდა ცუდ რალაცეებს და დაიჭირეს, - გაიბრძოლა სოფიმ.  
 - მაშ ასე, თქვენ ინსტალაციის ნაწილი იქნებით: შეშინებული ძველი თაობის წარმომადგენელი. მე არ მსურს თქვენი დანყნარება.  
 - რატომ არის შიში სირცხვილი? ყველას ეშინია, ყოველ წამს ეშინია. უამრავი რალაცის ეშინია. სამყარო ისეა მოწყობილი, შეუძლებელია არ შეგეშინდეს და ეს, ყველაზე ძლიერი ფენომენი, სირცხვილად არის მიჩნეული.  
 - დრო აღარ გვაქვს ფილოსოფიისთვის. ოთახში უნდა შეხვიდეთ.  
 სოფიმ შემოსასვლელი კარისკენ მიატრიალა კისერი.  
 - თუ კიდევ ნახვალთ, ველარ დაბრუნდებით, - გააფრთხილა ინსტალატორმა. სწრაფად ნაშოფდა და თქვა:  
 - ახალი ინსტალაციის მოყოლას ვინყებ.  
 სოფი ჩუმად იყო, კარს თვალი მოაშორა და მაგიდას დააცქერდა.  
 - გარდაცვლილი ბიჭის ადგილი უკვე იცი. ახლა, მომისმინე, დანარჩენები სად იქნებიან. მისი და, 17 წლის ქალიშვილი, იმ სავარძელში ჩავაჯინე, სანოლის ბოლოში რომ იდგა და ეს სავარძელი ფანჯრამდე მივაცურე. გოგონას თავი უფარდებოდა გვერდით და მე ის ფანჯარასთან, კედელზე ისე მივადებინე, რომ თითქოს ქუჩაში იყურება და ვილაცის მოლოდინშია. მათი დედა ზამბარებიანი სანოლის ქვეშ დავემალე. რომ შესვალ, ეგრევე ვერ დანახავ. სიღრმეშია შენეული და უნდა შეიხვდეს, რომ დანახო. თვალები ღია ექნება. ღიზები ჩავუდგი, თვალის გაყოლება შეუძლია, როგორც პორტრეტს. ოჯახის უფროსი მამაკაცი კი შესასვლელ კართან იდგება ფეხზე, როგორც კი შესვალ - შეეჩხები. ხელი ექნება გამონვდილი და თუ გინდა, ჩამოართვი, თუ გინდა - არა, შენი საქმეა.  
 - ვინ არიან ეს გარდაცვლილი ადამიანები,

როგორ ახერხებ მათ მოყვანას და მათი სხეულებიდან ასეთი საშობი კომპოზიციების გაკეთებას?

- ეს ის ადამიანები იქნებიან, სიცოცხლეში ვისაც არ გაუმართლათ. ისინი თანახმანი იქნებოდნენ, მათ სხეულებს სიკვდილის მერე მაინც მიეღოთ მონანილეობა რომელიმე გამოფენაში, რაიმე პეფინინგში. ადამიანები ჭკუიდან გადადნან, ისე სურთ პოპულარობა. ეს მათი ბოლო შანსია. „შანსი გახრწნამდე“ - მოგონოს, ასეთი ფორმულირება?

- თვითონ ხომ ვერაფერს გაიგებენ? მათთვის სულერთია.

- სამაგიეროდ, ახლობლები დატყბებიან. იტირებენ, იტირებენ და როცა მორჩებიან ტირილს და ვიშვიშს, მოვლენ აქ, გამოფენაზე და ხელოვნებას ეზიარებიან. აქ ფოტოებს გადაიღებენ, გაზეთებში დანერენ. ცოცხლები თავიანთი მკვდრებით იამაყებენ, რომლებიც ხელოვნების ისტორიაში ჩაენერებიან სამუდამოდ.

- მომიყევი მათი წარსულის შესახებ, მითხარი, რას აკეთებდნენ, რას წარმოადგენდნენ, რა უყვარდათ. იქნებ უფრო ადვილი იყოს მათთან ურთიერთობა.

- არაფერში წაგადგება. ხომ ხვდები, რომ არაფერში წაგადგება. სიკვდილთან ერთად მათი წარსულიც ქრება. უფრო სწორად, იმ წარსულს აღარ შეუძლია ამათი წარმოჩენა, ან გადარჩენა, ან პროტექე. დიდი-დიდი, საუკეთესო ადგილი რომელიმე პრესტიჟულ სასაფლაოზე, სულ ეს არის. გარდაცვლილი მანანწალასი ისევე ემინათ, როგორც მკვდარი პროფესორის, ან მსახიობის. მე ისინი ხელოვნების ნიმუშებად ვაქციე. შეიძლება, ბევრი აღარ დამცალდეს, მაგრამ ჩემს წამოწყებულ საქმეს ბევრი გააგრძელებს.

ინსტალატორი ზურგიდან დაადგა სოფის თავზე.

- მაინც გასურთ, მათი წარსული ცხოვრების შესახებ რამე დეტალი შეიტყუთ? - ჰკითხა.

- აღარ ვიცი.

ინსტალატორმა შარვლის ჯიბიდან მობილური ამოიღო. შიგნით ფოტო იპოვა უცბად და სოფის დანახვა.

- ეს ქალი ნევს სანოლის ქვეშ. წლოვანება 40 წელი. დღეს გადავუღე.

- აქ მხოლოდ სანოლი ჩანს, ქალს ვერ ვხედავ.

- გაადიდეთ... ქვემოთ, ხედავთ, სანოლის ქვემოთ მისი სახე ჩანს სიბნელიდან.

- თითქმის არ ჩანს...

- შეხედეთ, სახის ნაწილი უჩანს, აქეთ იყურება.

- თითქოს დავინახე: ნიკაპს ჰგავს და ქვედა ტუჩს.



- ის ცეკვადა... ახალგაზრდობაში ცეკვადა, საოცრად კობტა სხეული ჰქონდა. 50 კილოგრამს იწონიდა. მკაცრ დეტაზე იყო.

ინსტალატორმა მობილურში ახალ ფოტოს დაუნყო ძებნა და თან ლაპარაკს განაგრძობდა:

- მისმა ქალიშვილმა უცხო ენები იცოდა ძალიან კარგად, ბიჭს მათემატიკის ნიჭი აღმოაჩნდა. გოგონას ცისფერი თვალები ჰქონდა, ახლა კი ვეღარ გაიგებ, რა ფერისა აქვს. შეხედეთ.

ფოტოზე უკვე გარდაცვლილი გოგონას სახე ჩანდა.

- მართლაც, - ჩაილაპარაკა სოფიმ, - უცნაური გამოხედვა აქვს.

- კარგად ჩააცქერდით მის თვალებს.

უცბად, ოთახში, სადღაც კუთხეში ტელეფონმა დარეკა, სოფი შეხტა.

ინსტალატორმა ოთახი გადაჭრა და ყურმილი აიღო.

- ალო, თანამედროვე ხელოვნების გალერეა? - გაისმა ქალის ხმა.

- დიახ, - უპასუხა ინსტალატორმა.

- ალო!

- დიახ, გისმენთ...

- არ ისმის თქვენი ხმა.

- ალო, გესმით ჩემი?

- ალო... არაფერი მესმის.

- ილაპარაკეთ, მე მესმის თქვენი...

- არაფერი ისმის...

გათიშა.

- არ ესმოდა ჩემი ხმა რატომღაც, - თქვა ინსტალატორმა.

მერე სოფისკენ მიბრუნდა და უთხრა:

- მთავარ მაგისტრალზე მოდიოდნენ ძალიან სწრაფად, ბიჭი იჯდა საჭესთან. შემხვედრი ავტომობილი დაეტაკა... ნუ, როგორც ხდება ხოლმე. დიდი სიჩქარით მოძრავი ავტომობილებ-

ის დატაკება ჯოჯოხეთურ ხმას გამოსცემს. ეს რკინის ხმაა, სიკვდილის საუნდტრეკი. მანქანაში მყოფნი, შეიძლება, ასწრებენ კიდევ ახლობლების არაბუნებრივი მოძრაობების დანახვას. ისინი ინერციით წინ ვარდებიან და ტეხილი მოძრაობებით თავებს ურტყამენ სინქრონულად, ზოგი რას და ზოგი კიდევ რას.

სოფი ჩუმად იყო.

- აბა, დროა, მივიღოთ გადაწყვეტილება, - თქვა ინსტალატორმა.

- რა მევალება? - იკითხა სოფიმ.

ინსტალატორი ინსტალაციის ოთახში შევიდა და მალე ყუთით დაბრუნდა. კოსმეტიკის ყუთი სოფის წინ დაუდო და უთხრა:

- აი, ამ ყუთში ტონები, პომადები, თვალის ფანქრები და სხვა კოსმეტიკაა. როგორც მხატვარი, შენ მათ გაალამაზებ, მოხატავ, ცოცხლებს დაამსგავსებ.

- გახსოვთ, იმ მკვდარზე რომ გიყვებოდით, ლაპარაკობდამეთქი. გამახსენდა, უკვე კუბოში ჰყავდათ ჩანვენილი და სასაფლაოსკენ მიჰყავდათ, როცა ამ მკვდარმა წამოიწია და რალაც თქვა იმ თავის გაუგებარ ენაზე. შეწუხებული ჩანდა ძალიან. იცოდა, რომ მკვდარი იყო და არაფრის გაკეთება არ შეეძლო. გადმოიხედა ზემოდან, იმ ხალხს დააკცქერდა, კუბოს ვინც ედგა ქვემოდან. ისევ უკან გადაწვა... ისევ წამოიწია, ადგილს ვერ პოულობდა. არავის შეშინებია, არავინ გაქცეულა, თითქოს ჩვეულებრივი ამბავი ყოფილიყო, ისე აკვირდებოდნენ ცხედრის მოძრაობას.

- ცოტა დრო გეაქვს, მალე მნახველები მოვლენ, - გაანყვეტირა ინსტალატორმა.

- სიმართლე მითხრით: დანარჩენები ჩემი წასვლის მერა მოგიყვანიათ... თავიდანვე აქ იყვნენ და მიმალავდით, არა?

- რალა მნიშვნელობა აქვს?

- საკუთარ თავი რომ არ დავადანაშაულო, პირველივე ცდაზე უნდა შევსულიყავი-მეთქი. მაინც იქ დამხვდებოდნენ ოთხივენი.

- თუ ეს დაგანყნარებთ, მაშინ გეტყვით, რომ ეგრე იყო, - გიმალავდით, - თავიდანვე ოთხივე აქ იყო. უბრალოდ, კომპოზიცია არ იყო ბოლომდე დასრულებული და არ ვიყავი დარწმუნებული, ოთხივე თუ მიიღებდა მონაწილეობას. განსაკუთრებით, მამაკაცის ადგილის მოძებნა გამიჭირდა.

ინსტალატორი სოფისთან მივიდა და ხელი გამოსდო მკლავში.

- ადექით. მშვიდად. არაფერზე ინერვიულოთ.

კარისკენ წავიდნენ. ერთ ხელში სოფის კოსმეტიკის ყუთი ეჭირა.

გაჩერდნენ კართან. უკანკალებდა მუხლები მხატვარს და რა ექნა?

- თუ გინდა, შეიხედე, - ურჩია ინსტალატორმა, - ჯერ ჭურჭრუტანიდან შეიხედე.

სოფი დაიხარა და ჭურჭრუტანში შეიხედა.

იქ იყო... ბიჭი დაინახა, მკერდზემოთ, ჭერში იყურებოდა...

ინსტალატორიც დაიხარა და სოფის ყურში ჩასჩურჩულა:

- ჩემი შვილია ეგ.

სოფი უცბად გასწორდა და ინსტალატორს შეხედა.

- ჩემი ოჯახია შიგნით, - თქვა ინსტალატორმა.

სოფი კედელს მიეყრდნო.

- ახლა, როცა შეიტყვეთ, რომ იქ ჩემები წვანან, ალბათ უფრო დამშვიდდით, არა? გამიგეთ, ძალიან განვიცდი, როცა ხალხს ჩემი მკვდრების ეშინია.

- კარი გამიღეთ, რა, - თქვა სოფიმ

- მინდა, ისე გავაკეთო, რომ მათი არავის ეშინოდეს. ხომ გაალამაზებთ ჩემს ოჯახს?

- კარი გამიღეთ! - თითქმის დაიყვირა.

- ახლავე, - ინსტალატორი კართან მივიდა და გამოალო.

- ჩემი ფეხით ვერ შევალ, უკნიდან მომანეკით, არ გაგიძალიანდებთ.

ინსტალატორი სოფის უკნიდან მიანვა და ოთახში შეაგდო.

და სოფიმ დაინახა გარდაცვლილი ბიჭი ტახტზე... ბიჭმა თავი ნელა მოაბრუნა მისკენ და გულგატეხილმა თქვა:

- ყველაზე ძალიან კუბოში ჩაფენილი თეთრი ზენარი მაშინებს.

სოფიმ უცბად მოაშორა თვალი ბიჭუნას და დაინახა გოგონა ფანჯარასთან...

სადღაც ზამბარიანი საწოლის ქვეშ ქალი იმალებოდა.

მხოლოდ მამაკაცი არ იდგა შესასვლელში.

- აქ მამაკაცი არ დგას! - წამოიძახა ფერწასულმა სოფიმ, თითქოს ამ დეტალის აღმოჩენით ინსტალაციას დაანგრევდა და წამებისგან გათავისუფლდებოდა.

- ბოდიშს გიხდით, - ჩალიაპარაკა ინსტალატორმა, სოფი გვერდით გასწია და ოთახში შევიდა, - აქ მე უნდა ვიდგე.

ინსტალატორი შესასვლელში გაჩერდა და გაშუმდა. ხელი გამონეული დარჩა. თვალეში სიცოცხლის ნიშანწყალიც კი არ ემჩნეოდა. სახე გასთეთრებოდა. ოჯახის მამის ადგილი ეკავა უკვე. მეოთხე გარდაცვლილი იყო.

და ინსტალატორმა ბურტყუნი დაიწყო გაუგებარ ენაზე, უქმაცოფილო იყო, მონყენილი, დეპრესიული... სოფი ველარაფერს იგებდა მისი ნათქვამიდან, რადგან არაფერი ესმოდა იმ ბგერებისა და მარცვლებისა, ინსტალატორი რასაც გამოსცემდა. ოჯახის მამა თითქოს შესწიოდა, ნახე რა დაგვემართა, ახლა როგორ უნდა ვიცხოვროთო.



## HANS PROMWELL

ჰანს პრომველი დაიბადა 1986 წლის 6 მარტს, ნიუ-იორკში. მთელი ბავშვობა გაატარა ბრუკლინში. დადიოდა ებრაულ სკოლაში. სკოლის გუნდში წარმატებით თამაშობდა ამერიკულ ფეხბურთს და რომ არა უმძიმესი ტრავმა, პროფესიონალ ფეხბურთელობაზე სერიოზულად ფიქრობდა. 2008 წელს, ტრავმის მოშუშების შემდეგ აბარებს კოლუმბიის უნივერსიტეტში, იურიდიულ ფაკულტეტზე და საცხოვრებლად გადადის ბრუკლინიდან მანჰეტენში, რამაც მის ცხოვრებაში გარდამტეხი როლი ითამაშა. ორ წელიწადში, ხშირი გაცდენების გამო, უნივერსიტეტიდან რიცხავენ. სწორედ ამ პერიოდში იწყებს ლექსების წერას. მისი ლექსები ათამდე ენაზეა თარგმნილი. პრომველი გაურბის ჟურნალისტობას და ფოტოგრაფებთან ურთიერთობას და მისი მხოლოდ ერთი ფოტოა ცნობილი ფართო საზოგადოებისთვის. 2013 წელს გამოდის მისი პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი ლექსების კრებული „შემოდგომა მანჰეტენზე“.

## რომანტიული ბუკოვსკი

(ბლიც-ინტერვიუ. ესაუბრა გიორგი პროლეტარი-შონია)

- შენს ლექსებში ყველა დაკარგულია. მათგან უმრავლესობას მარტოობა აწუხებს და თითქოს უყვარს კიდევ. რატომ უყვარს მარტოობა ჰანს პრომველს?

- ჩემი ლექსების უმეტესობა მარტოობის დროს დაინერა. მანჰეტენური ცხოვრების რიტმი არ აძლევს სწორად ადამიანს მარტო დარჩენის საშუალებას. ამიტომ, როცა მარტო ვარ, მინდა, დრო ოპტიმალურად გამოვიყენო, ანუ მეტი ვწერო და ვიკითხო. ამ ბოლო დროს კითხვის საშუალება ნაკლებად მეძლევა, რაზეც ძალიან ვწუხვარ.

- სად მიდის დაკარგული ადამიანების გზა?

- რა თქმა უნდა, საკუთარი თავისკენ. საკუთარ თავში დაბრუნების გარეშე ვერცერთი ადამიანი ვერ იპოვის იმ ერთადერთ, სწორ, მისთვის განკუთვნილ გზას.

- რა არის შენთვის ამერიკული ოცნება?

- ამერიკული ოცნება სწორედ ისაა, რაც ჩვენ ყველას გვიჩნდა. ამერიკული ოცნება ერთუცნობიან განტოლებას ჰგავს და განტოლების ყველაფერ იმის კეთებაა, რაც სიამოვნებას განიჭებს.

- მოდი, ცოტა შენსა და ბიტნიკების კავშირზეც ვთქვათ. როცა შენი ლექსები წავიკითხე, დავრწმუნდი, რომ სამყაროს ზოგჯერ მართლა ერევა რაღაც და შენმა დაბადებამ დაიგვიანა. რომელია უკეთესი - გინსბერგისა და კერუაკის თანამედროვეობა თუ უკანასკნელი ბიტნიკობა?

- მე მომწონს ის როლი, რაც მერგო. ბოლომდე ვიღებ და ამით კმაყოფილი ვარ. თუმცა, სულაც არ ვთვლი თავს უკანასკნელ ბიტნიკად. მე უფრო რომანტიკული ბუკოვსკი ვარ, რომელიც ისევე მარტოა, როგორც ძია ჩარლზი, ოღონდ არ ლოთობს, არ ჩხუბობს და ბევრად უფრო მგრძნობიარეა. სამყაროსადმი აგრესიასაც საკუთარ თავთან დაპირისპირებაში გამოხატავს.

მე დიდ პატივს ვცემ კერუაკსა და მის მეგობრებს, მაგრამ 21-ე საუკუნის ამერიკაში ბიტნიკობა

კონტექსტიდან ამოვარდნილი მგონია. ახლა ამერიკა სხვა გამოწვევების წინაშეა, სულ სხვა პრობლემებია, ვიდრე ეს ორმოცდაათი წლის წინ იყო.

- რატომ არის ახლობელი შენთვის ბიტ. თათბის ლიტერატურა?

- პირველად ბიტნიკებიდან ჩემს ცხოვრებაში კერუაკი შემოვიდა, „მეხიკო სითის ბლუზით“. ამ წიგნმა ჩემზე რევოლუციური ეფექტი მოახდინა. წერის სურვილი სწორედ ამის შემდეგ გამიჩნდა.

- სანამ წერას დაიწყებდი...

- მთელი ბავშვობა ბრუკლინში გავატარე. წარმატებით ვთამაშობდი ამერიკულ ფეხბურთს და რომ არა უმძიმესი ტრავმა, ალბათ, სპორტსმენი გავხდებოდი. მერე იყო კოლუმბიის უნივერსიტეტი, იურიდიული ფაკულტეტი და მანჰეტენი. სწორედ აქ იწყება ჩემი ლიტერატურული ცხოვრება.

- როგორ აუწყო ფეხი რომანტიულმა ბუკოვსკიმ მანჰეტენური ცხოვრების რიტმს?

- ხანდახან მგონია, რომ მანჰეტენის გარეშე ჩემი ცხოვრება წარმოუდგენელია. ეს არის ერთადერთი ადგილი, სადაც ლექსების წერა შემიძლია. მიუხედავად მისი დაძაბული ცხოვრების რიტმის, რუტინისა და დამლელი ყოველდღიურობის, მაინც არ მბეზრდება აქ ყოფნა.

- „წმინდა არს მოგზაურობა საკუთარი თავი გარშემო“ - როგორია ეს მოგზაურობა?

- ეს არის ძალიან რთული და დამლელი, მაგრამ, ამავე დროს, სასიცოცხლოდ აუცილებელი. მხოლოდ ასე შეუძლია ადამიანს ბოლომდე გაიზაროს საკუთარი თავი, მიზნები და შესაძლებლობები.

- „ნუთუ ყველაფერი, რასაც ვგრძნობთ, ოდესმე მართლა გაქრება“?

- მინდა, რომ ეს ასე არ იყოს. ვიცო, ეს ძალიან რთულია, თითქმის შეუძლებელიც. მაგრამ იმედი დავიტოვოთ, რომ ჩვენი გრძნობებიდან ყველაფერი თუ არა, ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც არ გაქრება.




# ჰანსი არაა!

## პატა შამუგია

„არაპოპულარული ლექსების“ უკვე საკმაოდ პოპულარული ავტორი ჰანს პრომველი პირველად რამდენიმე წლის წინ წავიკითხე ქართულ სივრცეში, მერე ორიგინალსაც მივაკვლიე და ასე იქცა ის ჩემ სადესკტოპო (მძრ: სამაგიდო) პოეტად.

მისი პოეტიკა, როგორც არაერთი ამერიკელი პოეტისა, უიტმენის, კორსოსა და კერუაკის ესთეტიკის გავლით ყალიბდება. მაგრამ არც ესაა ზუსტი შეფასება: პრომველი იმდენად თვითმყოფადია, რომ ის უკვე საკუთარ თავსაც კი არ ჰგავს.

გარეუბნული გეტოებისა და ცენტრალურუბნური გლამურის კოიტუსით ავტორი სტილთა შერევის საინტერესო მოდელს გვთავაზობს, ხოლო სასაუბრო ენის სტილიზაციით პროლეტარული ელიტიზმის განცდას გვიქმნის. სულაც არ მინდოდა, პოლიტიკური საფანელით დამეტვირთა პრომველის პოეზია, მაგრამ, როგორც ჯონ ეშბერიმ ჩემთან საუბარში აღნიშნა, სერ ჰანსი ჰედონისტი პოეტიკა, ტკობობათა და სიამოვნებათა მომღერალია; სიამოვნება კი, მოგვხსენებათ, სერიოზული პოლიტიკაა. სადაც პოლიტიკაა, იქვეა ჰანსიც, ხოლო სადაც ჰანსი არაა, იქ ჰანსიც არაა.



## ჰანს პრომველი

### არაპოპულარული ლექსების ავტორი

მე არ ვარ პოპულარული ლექსების ავტორი  
და ამაზე გული ძალიან მწყდება  
ჩემს ლექსებზე გოგოები არასოდეს დასველდებიან  
მათ იაფფასიანი ლირიზმი და ყალბი არტისტულობაც აკმაყოფილებთ.

ჩემი ლექსები ყვირიან  
ჩემი ლექსები ჩხუბობენ  
ჩემი ლექსები სიყვარულს ითხოვენ  
ჩემი ლექსები ვერ იტანენ პუნქტუაციას  
და საშინლად ეგოისტები არიან  
ჩემი ლექსები ვერანაირ ლიტერატურულ ჩარჩოში ვერ ჯდებათ  
ჩემი ლექსები ხანდახან იგინებიან კიდევ.

რატომ არ უყვარს ხალხს ფიქრი?!  
ვამბობ მე საშინლად მთვრალი  
და იმედგაცრუებული.  
რატომ არ აქვთ მათ გემოვნება?!  
იქნებ მე არ მესმის მათი?!

მე ახლა ნიუ-იორკის რომელიმე სუპერთანამედროვე მუზეუმის  
პოლში უნდა ვკითხულობდე ლექსებს  
და ამბობებული ახალგაზრდების კერპი უნდა ვიყო  
მე კი ვზივარ სახლში  
ამ მოსაწყენი ზამთრის მინურულს  
ფუფურებ მანჰეტენის ცას  
და ვფიქრობ ვარსკვლავებზე  
პოეზიის ვარსკვლავებზე  
მკითხველებით განებივრებულ ონავარ პოეტებზე  
და მათ მოსაწყენ ლექსებზე და უფრო მოსაწყენ ცხოვრებაზე  
და ახლა ძალიან ძალიან მინდა  
ერთ-ერთი მათგანი ვიყო.

## მე გადავჩი

იყო დრო როცა მე ვიყავი ძალიან ლირიული  
და გოგოებს ვუხსნიდი სიყვარულს  
მიტაცებდა უოლტ უიტმენი  
სუნთქვაშეკრული ვკითხულობდი ტომას ელიოტსა  
და სკოტ ფიცჯერალდს  
და მჯეროდა დიადი ამერიკული ოცნების.  
მერე რალაც მოხდა ჩემში  
და მე შევიცვალე...  
მე მივატოვე სკოლა და მეგობრები  
მე ისინი აღარ მჭირდებოდნენ  
ისინი პატარები ჩანდნენ...  
ისინი იყვნენ ძალიან პატარები.

მე ახლა მეცინება ამ ყველაფერზე  
მაგრამ მაშინ ძალიან მტკიოდა.  
მე ვიყავი საშინელ დეპრესიაში  
მაგრამ გადავჩი  
და ამით ვამაყოფ  
და მივხვდი  
თუ მე სამყაროში ყველაზე სუსტმა ადამიანმა  
ჰანს პრომველმა შევძელი ბრძოლა  
და გადავჩი  
რათა ვაკეთო ის რაც მინდა  
ის რაც მჭირდება  
ის რაც სუნთქვის საშუალებას მაძლევს  
თქვენ ყველანი შეძლებთ ამას  
ჩემო მეგობრებო  
ჩემო პატარა კლასელებო.

ერთხელ მარბელ ჰილზე სეირნობისას  
ჩემი ყოფილი კლასელი ენი პრაიზი  
შემხვდა  
და მითხრა  
შენ ჰანს პრომველი არ ხარ, ჩემი კლასელი?  
და მე მას ვუთხარი  
– ჰანს პრომველი მოკვდა.  
ენიმ ვერ გაიგო  
ენის არაფერი ესმოდა  
პატარა საცოდავი ენი პრაიზი  
რომელსაც უფროსკლასელი მამიკოს ბიჭები ხმარობდნენ.  
ნეტავ სად არის ახლა?



## დაკარგულები

სად წახვალ შენ  
როცა გზები არსად მიდის  
აღბათ იქ სადაც  
იხვები მიფრინავენ ტბების გაყინვის შემდეგ.  
სად შეიძლება მიდიოდეს  
გზა იმისა  
ვინც დაკარგა გზა  
ვინც გზამ დაკარგა  
ვინც თავად იქცა გზად  
ვინც იქცა დიდ გამოცანად  
საკუთარი თავისთვის  
ვინც მიხვდა, რომ ამერიკული ოცნება  
მარტივია,  
როგორც ერთუცნობიანი განტოლება,  
და X – ყველაფერი იმის კეთებაა  
რაც სიამოვნებას განიჭებს  
და მოსაბეზრებელ ყოველდღიურობაზე მაღალ  
გაყენებს,  
რადგან ხანდახან მაინც  
ვიგრძნობთ  
რომ ადამიანად ყოფნა ბედნიერებაა.

ჩვენ ერთმანეთში დაკარგულები  
და ჩვენ სამყაროში დაკარგულები  
და ჩვენ მანშეტენზე დაკარგულები  
ჩვენ ვინც ვეძებთ სიმშვიდის ნაპირებს  
სანამ აურზაურის ტალღები გადაივლიან  
ჩვენ ვინც აუხდენელ ოცნებებზე ვწუხვართ  
რადგან ვგრძნობთ, რომ ყოველთვის  
რალაც გვაკლ

რადგან შეგუება რთულია  
რადგან შეგუება შეუძლებელია.

სანამ აურზაურის ტალღები გადაივლიან  
ხელს არ გაგიშვებ.

## შემოდგომა მანჰეტენში

მე მესმის ხეების სუნთქვა  
და მარტოობით დაღლილი ადამიანების კვნესა.  
„ყველაფერი რასაც ვგრძნობთ ოდესმე გაქრება“  
ამბობს ჩემი ბავშვობის მეგობარი დინ ლამბერტი  
და ლუდის ბოთლს ზეცისკენ იმყვებს.  
ის ფატალისტი და უყვარს მეტაფორებით ლაპარაკი  
განსაკუთრებით მას მერე რაც მეგობარმა გოგომ მიატოვა.  
მას სითბო და სიყვარული აკლია.

მოსაწყენია შემოდგომა მანჰეტენზე  
როცა არავინ გიყვარს  
და ვერ ხედავ ჰოლივუდურფინალიან სიზმრებს.  
მაგრამ ასევე უფრო ცხადად ხედავ  
მარტოობით დატანჯულ ადამიანებს  
საზოგადოებრივ ტრანსპორტში, პარკებსა და იაფფასიან ბარებში  
სადაც ისინი საკუთარი აუტანელი ცხოვრების დასავინწყებლად მიდიან  
ისინი დაივიწყეს  
მათ არაფრის იმედი არ აქვთ  
ისინი ყოველ ღამე თვითმკვლელობაზე ფიქრობენ.  
სად გაქრა მათი მიზნები და ამბიციები?  
ნუთუ ყველაფერი რასაც ვგრძნობთ  
ოდესმე მართლა გაქრება?

მე არ ვიცი როგორ დაიწყოს ეს ყველაფერი  
მაგრამ მგონია რომ ცუდად დამთავრდება.

## უსწაური აგვავი დიდი ხნის განმავლობაში

მე ვიყავი არაპოპულარული ლექსების ავტორი.  
და ვიყავი მარტო...  
და ვფიქრობდი აღარ მენერა ლექსები..  
და ხელახლა ჩამებარებინა უნივერსიტეტში,  
იურიდიულ ფაკულტეტზე.  
მერე რატომღაც  
წურნალებმა დაიწყეს ჩემი ლექსების ბეჭდვა,  
და უამრავი მკითხველი გამიჩნდა,  
და ყოველდღიურად  
უამრავი სასიყვარულო ბარათი მომდის...  
გოგონები გიჟდებიან ჩემს ლექსებზე...  
ბიჭები გიჟდებიან ჩემს ლექსებზე.  
ლიტერატურული კრიტიკოსები გიჟდებიან ჩემს ლექსებზე...

წურნალები ბეჭდავენ სტატიებს:  
„ჰანს პრომეელი – ამერიკული პოეზიის მარგალიტი...  
ის სუფთა ჰაერივითაა...  
ის ახალი ხმაა...  
ის ჰარლემული რენესანსის შვილია,

ის გვიანი ბიტნიკია,  
ის დაკარგული თაობის გამოძახილია“  
ამის მსგავსი სისულელეები...



რამდენიმე დღის წინ დედაჩემმა დამირეკა  
და მითხრა  
„– ყოჩაღ ჰანს  
შენზე მთელი სამეზობლო საუბრობს,  
ამდენი ხნის განმავლობაში მამამენი  
პირველად ვნახე ბედნიერი.  
მგონი სწორი ქენი უნივერსიტეტი  
რომ მიატოვე.“

ეს ძალიან სასაცილოა.  
ცხოვრება მოულოდნელობებით არის სავსე.  
და მე მივხვდი  
რამდენად მცირეა მანძილი.  
ჩემი ჭუჭყიანი ბინიდან  
ამერიკის VIP ლიტერატურულ ჟურნალებამდე...

## წმინდა არის

*Everything is holy! everybody's holy! everywhere is holy! everyday is in eternity! Everyman's an angel!*

*Allen Ginsberg*

წმინდა არის ჩემი სხეული, წმინდა არის ჩემი ენა, წმინდა არის უძინარი თვალები.  
წმინდა არის მარტოობა და სუიციდის მცდელობები.  
წმინდა არის ყველა იმედგაცრუებულის მზერა, რომელთა თვალებში სიკვდილმა დაისადგურა.  
წმინდა არის მანჭეტენი და ბრუკლინი, სადაც დავიბადე.  
წმინდა არის რესპუბლიკელი ბაბუაჩემი დერეკ პრომველი და მისი ფსიქოპათური იდეები წმინდა არის.  
წმინდა არის ჩემი ბავშვობის მეგობარი დინ ლამბერტი.  
მისი შიშები და აპათია წმინდა არის.  
წმინდა არის ამერიკის პრეზიდენტი და რუსეთის იმპერატორი.  
წმინდა არის ლეიბლაშლილი ჯეკ კერუაკი და მისი მოგზაურობა ამერიკის გარშემო.  
წმინდა არის იური გაგარინი და მისი მოგზაურობა მთვარის გარშემო.  
წმინდა არის ჩე გევარა და მისი მოგზაურობა სამხრეთ ამერიკის გარშემო.  
წმინდა არის ჰანს პრომველი და მისი მოგზაურობა საკუთარი თავის გარშემო.  
წმინდა არის იტალიური ნეორეალიზმი.  
წმინდა არის ფრანგული ავანგარდიზმი.  
წმინდა არის ჯონ ლენონი.  
წმინდა არის ნენსი და მისი ყოველი ამოსუნთქვა ჩემს მკერდზე.  
წმინდა არის სულის ტკივილი და სხეულის უმოქმედობა.  
წმინდა არის ამერიკული მოდერნიზმი.  
წმინდა არის უოლტ უიტმენი.  
წმინდა არის სუდანელი ბავშვი, რომელსაც შიმშილით სიკვდილი ელოდება.  
წმინდა არის ღმერთი, რომელმაც შექმნა ცა და დედამიწა  
და გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“  
და კონტინენტი აფრიკა  
სადაც გაურკვეველ ექსპერიმენტებს ატარებს.



წმინდა არის სევდა და მოწყენილობა.  
 წმინდა არის ამერიკა, ჩემი სამშობლო,  
 რომელსაც ნავთობი და სისხლი სჭირდება მსოფლიოში დემოკრატიის დასამყარებლად.  
 წმინდა არის ერთფეროვნება და ჩემი ოთახის კედლები.  
 წმინდა არის ტელეშოუებზე გაზრდილი თაობა, რომელთაც ყოველწლიურად უქვეითდებათ აზროვნების უნარი.  
 წმინდა არის თავისუფლების ქანდაკება, რომლის ჩირაღდანს ცეცხლი დიდი ხანია ჩაუქრა.  
 წმინდა არის ყოველდღიურობაში ჩაკარგული ადამიანების ყმული,  
 რომელთაც დიდი ხანია სახე დაკარგეს  
 და ახლა პოსტტრავმულ სიზმრებში გვეცხადებიან  
 შუშლილი ანგელოზების სახით.

წმინდა არიან ისინი!

**მანკატანური ჰაიკუები**

\*\*\*

წვიმიანი დღე მანჰეტენზე.  
 ადამიანები სამსახურებში მიიჩქარიან.  
 მე წვიმას ვუსმენ.

\*\*\*

საკუთარ თავში მშვიდად მოვთავსდი.  
 დიდი ხანია  
 არაფერი დამინწერია.

\*\*\*

ცენტრალური პარკი. ჩვენ ვსხედვართ გრძელ ლურჯ სკამზე.  
 შენ გიდევს თავი ჩემს მკერდზე.  
 აი, ეს არის ბედნიერება.

\*\*\*

ამ ბარში იღეშებოდა ჰემინგუეი ამ ბარში იღეშებოდა ფიცჯერალდი  
 ამ ბარში იღეშებოდა გინსბერგი ამ ბარში ახლახან გაიღემა ჰანს პრომველი  
 მგონი მშვენიერი ადგილია ლუდის დასალევად.

\*\*\*

შემოდგომა მანჰეტენზე.  
 საუკეთესო დრო  
 ლექსების სანერად.

\*\*\*

ყოველთვის მინდოდა უოლტ უიტმენის მსგავსი ბაბუა მყოლოდა.  
 დერეკ პრომველი მოსამართლეა, რომელიც რესპუბლიკელებს უჭერს მხარს  
 და მხოლოდ „ნიუ-იორკ თაიმსს“ კითხულობს.

\*\*\*

ჯეკ ლონდონის შემოქმედება  
 პირველი სექსივითაა,  
 არასოდეს გავინწყდება.

\* \* \*

ვილაცამ გუგულის ბუდეს გადაუფრინა  
ვილაცა ამ ბუდეს  
მთელი ცხოვრება აშენებდა.

\* \* \*

როცა მონატრება ანადგურებს  
ჩემს ნერვულ სისტემას მე ვგრძნობ, რაოდენ  
დიდია ჩემი სიყვარული.

\* \* \*

ხშირად როცა ვერაფერს ნერ  
სულაც არ ნიშნავს, რომ სათქმელი არაფერი გაქვს  
უბრალოდ საჭირო მომენტი ჯერ არ დამდგარა.

\* \* \*

გამოუვალი მდგომარეობა არ არსებობს.  
უბრალოდ ადამიანები იმედგაცრუებებისგან დავილაღეთ  
და ლოდინი არ შეგვიძლია.

\* \* \*

მე ვღუმვარ. შენ დუმხარ.  
თავისუფლების ქანდაკებაც დუმს. ისინი ყაყანებენ.  
მათ არაფერი აქვთ სათქმელი.

\* \* \*

მე ყოველთვის მშურდა ლორენს ფერლინგეტის  
მას ყველაზე უკეთ შეეძლო ენერა საყვარელ ქალზე.  
მერე შენ გაგვიცანი და შური აორთქლდა ჩემი სხეულიდან.

\* \* \*

იქ სადაც მე და შენ ვხვდებით ერთმანეთს.  
ანუ იქ სადაც დანარჩენი სამყარო მთავრდება,  
იწყება ჩემი კომფორტის ზონა.

\* \* \*


არასდროს იფიქრო იმაზე რომ სამყარო  
შენ წინააღმდეგ არის განწყობილი, უბრალოდ ზედმეტი  
ოცი დოლარი არ გაქვს ლუდისა და სიგარეტისთვის.

\* \* \*

როცა მე მიჭირს  
გრძნობების გადმოცემა, ვიცი, რომ  
ეს არცაა აუცილებელი.

\* \* \*

ახლა, როცა ვუსმენ 40-იანი წლების ჯაზს  
მანჭეტენის მშვიდ სალამოს, მახსენდები შენ  
ჯეკ კერუაკ - ახალი ამერიკის მამავ!



\*\*\*

როცა ყველა კერპი დაიმსხვრა ჩემში  
და დავრჩი საკუთარ სხეულში მარტო, მივხვდი, რომ  
ყველაფერი სწორედ მაშინ დაიწყო.

\*\*\*

ეს იყო ჩვეულებრივი მანჰეტენური სალამო,  
არა ეს ჩვეულებრივ მანჰეტენურ სალამოზე მეტი იყო,  
რადგან შენ სახლში მელიოდებოდი.

\*\*\*

ყველა შეცდომა. ყველა ტკივილი. ყველა იმედგაცრუება.  
ყველა მარტოობაში გატარებული ღამე...  
დამეხმარა ჰანს პრომველად გახდომაში.

**მარტოობის მანიფესტი**

*have no money, no resources, no hopes. I am the happiest man alive.*  
*Henry Miller*

შენ ხარ მარტო,  
ქუჩის კუთხეში მდგარო,  
Hot Dog-ების გამყიდველო, მსუქანო ქალბატონო.  
შენს თვალებში შიშია.  
შენ ცხოვრობ სადღაც 69-ესა და 21-ეს კუთხეში,  
იაფფასიან ბინაში,  
სადაც ყოველღამე ტირი,  
რადგან ხმის გამცემი არავინ გყავს.

შენ მარტო ხარ  
N127 ავტობუსის მექსიკელო მძღოლო,  
შენ ყოველდღე იწერ პირფარას  
წმინდა პეტრეს კათოლიკურ ეკლესიასთან,  
და გჯერა, რომ ზეცაში ვიღაც  
აუცილებლად შეისმენს ლოცვას  
და მშიერს არ დატოვებს შენს  
მრავალშვილიან ოჯახს.

შენ მარტო ხარ  
დინ ლამბერტ,  
ჩემო ბავშვობის მეგობარო.  
შენს პატარა ბინაში  
ყოველდღე ანძრევ,  
და ძალიან ბევრს სვამ  
და გგონია რომ არავითარი პერსპექტივა არ გაგაჩნია.  
დინ ლამბერტ,  
შენ მარტოობის ანგელოზი ხარ  
და მალე გაფრინდები  
იმ წყეული ბინიდან.

შენ ხარ მარტო  
ნენსი, ჩემო გოგო.  
ყველა ფიქრს საკუთარი თავის სიძულვილისკენ მიყავხარ,  
რადგან შენი მოქმედებები უშედეგოა,  
რადგან ვერაფერს ცვლი,  
რადგან ცვლილებები დაგვიანებულია.

მარტო ხართ თქვენ  
ნიუ-იორკელო პოეტებო,  
მარტო საკუთარ მარტოობაში,  
თქვენ კითხულობთ სევდიან ლექსებს მანჰეტენის  
იაფფასიან ბარებში,  
იღეშებით იაფფასიანი ალკოჰოლით  
და გჯერათ, რომ სამყარო ოდესმე შეიცვლება.

მარტო ხარ, შენ, ღმერთო,  
სადღაც ღრუბლებში და სადღაც არსად,  
საიდანაც ყოველდღე საინფორმაციო გამოშვებებივით  
უყურებ შენს დაკარგულ შვილებს,  
რომლებიც მარტოობისთვის განირე.

და მარტო ხარ შენ, ჰანს პრომველ,  
არაპოპულარული ლექსების ავტორო,  
რომელსაც მარტოობა დეენემში გაქვს,  
შენ მარტოობას თავს ვერასოდეს დააღწევ,  
ამიტომაც საკუთარი თავი განაწყვე  
უარესის მოლოდინისთვის.

### ვარდისფერი ბუშტი

ჩვენ ვგავართ დიდ ვარდისფერ ბუშტს  
„არიზონული ოცნებიდან“  
რომელიც მანჰეტენის ცაზე დაფრინავს.  
კორპუსებზე და ადამიანებზე მაღლა,  
ყოველდღიურ რუტინაზე მაღლა,  
პოლიტიკოსებსა და მათ სულელ ამომრჩევლებზე მაღლა,  
და ის არასოდეს გასკდება ან დაიკარგება,  
სანამ ჩვენ გვაქვს ძალა ვიბძოლოთ  
და შევინარჩუნოთ სწორი ორიენტირი  
და ერთმანეთი.  
სანამ ჩვენი ოცნებები ცათამბჯენებზე მაღლა დაფრინავენ.  
იმ ვარდისფერი ბუშტით  
რომელიც სიზმარშიც არ გვანებებს თავს.

ჩვენ არ ვსაუბრობთ  
რადგან ყველაფერი ვიცით ერთმანეთზე.  
და სათქმელიც არაფერია.  
ერთმანეთი შევისწავლეთ, როგორც სკოლაში  
გამრავლების ტაბულა.





და ახლა ერთმანეთის შიშებზე ვფიქრობთ,  
რომლებიც არ უნდა ახდნენ,  
რადგან რეალობიდან არ უნდა გავირიყოთ.

შენ დგახარ გზაზე.  
შენ სულ გზაში ხარ  
და ყველა გზა შენი დაღლილი სხეულისკენ მიემართება,  
რადგან ყველა ხსნა შენშია  
და ეს შენ იცი,  
და დარწმუნებული ხარ იმაშიც,  
რომ სანამ აურზაურის ტალღები გადაივლიან,  
ხელს არ გაგიშვებ...  
ეს შენ გაძლიერებს.  
ეს მე მაძლიერებს.  
ეს დიდ ვარდისფერ ბუშტს აძლიერებს,  
რომელიც დაფრინავს მანჰეტენის რუხ ცაზე  
და ბრძოლისთვის ძალას აძლევს  
ყველა უიღბლოსა და იმედგაცურებულს.

**სიტყვები**

*poem is a naked person... Some people say that I am a poet.*  
*Bob Dylan*

ხანდახან ვფიქრობ  
რომ სიყვარულის მარაგი  
უბრალოდ ამოიწურა  
და ადამიანებმა შეწყვიტეს ოცნება.

მე არაფერს ვამბობ იმაზე  
რომ ფსკერზე ეშვები...  
შენ მარტოობამ გამოგათავყვანა...  
შენ პოსტმოდერნისტი ღმერთი ხარ,  
უბრალო და მოხერხებული,  
სევდიანი და სიახლეებზე დაგეშილი...  
მაგრამ ჩიხში მოექცეცი.  
აღბათ ეს ასეც უნდა ყოფილიყო...  
ან არ ყოფილიყო  
და გენერა ლექსები მანჰეტენურ საღამოებზე...

როცა ენაზე მომდგარი სიტყვები  
გონებაში არჩევენ დარჩენას  
მე ვხვდები, რომ მათ ეშინიათ დაბადების...  
მათ ეშინიათ სამყაროსი  
რომელსაც სიყვარულის მარაგი ამოიწურა...

ინგლისურიდან თარგმნა გიორგი პროლეტარი-შონიამ

## ვის უხმოვს ზარი?

დათო ბარბაქაძეს ესაუბრა ნინა მაჩაიძე

წინამდებარე ინტერვიუ თბილისის სამხატვრო აკადემიის სტუდენტებისთვის მომზადებული ჩემი სალექციო აკადემიური კურსის – “ევროპული რომანტიზმის ისტორია” – ფარგლებში, ოღონდ თბილისის ზოოპარკში, ლემურების ვოლიერში, ჩატარებული ლექციის მერე იქნა ჩანერილი, მაგრამ დღემდე არსად გამოქვეყნებულა ცხადია, როცა ინტერვიუს ვამზადებდით, ვერც მე, ვერც ნინა მაჩაიძე და ვერც ის სტუდენტები, რომლებიც მაშინ ჩემთან ერთად საკუთარი ნებით აღმოჩნდნენ ვოლიერში, ვერ წარმოვიდგენდით, რომ იგი კლასიკური ქართული დაუდევრობის მსხვერპლად ქცეული ცხოველების ერთგვარ მოსაგონრდაც გადაიქცეოდა.



**დათო, რა იყო შენი ჩანაფიქრი და იდეა, როცა ლექცია აკადემიის აუდიტორიიდან ზოოპარკის ვოლიერში გადაიტანე?**

განსაკუთრებული არაფერი. მგონი, საერთოდაც არაფერი. თუმცა, შეკითხვის პათოსი ჩემთვის გასაგებია. აქციების და პერფორმანსების განმარტებები უკვე სავალდებულო საქმედ არის ქცეული. არტისტები ყოველთვის ამბობენ: “მე ამით ამის თქმა მინდოდა, იმის თქმა მინდოდა, ეს ვიგულისხმე, ის ვიგულისხმე, იდეა ეს იყო, ის იყო”. ხშირად ეს პუბლიკის გულის მოსაგებად ხდება, ასე მოითხოვს ეგზობიციონიზმის ესთეტიკა და მერე ყველაფერი მანკიერ წრეში ტრიალებს. მე გაზერელებული პუბლიკისთვის არაფერს

ვაკეთებ. ზოოპარკი რომ შემთხვევით არ ამირჩევია, ამას რა დიდი მიხვედრა უნდა. მაგრამ ეს უფრო ჩემი პირწმინდად მოქალაქეობრივი მოთხოვნებიდან გამომდინარე გააკეთე. ეს იყო ერთგვარი შემხვედრი ნაბიჯი ის სოლიდარობის მიმართულებით, რომელსაც ცხოველები, ფრინველები, რეპტილიები თუ ამფიბიები ადამიანების მიმართ ამულავენებენ ისინი ადამიანებს დახმარების ხელს უწვდიან ჩვენ კი ამას ჯოუტად ვერ ვხედავთ.

**რას გულისხმობ? მაპატიე და ამას ვერც მე ვხედავ. იმის თქმა გინდა, რომ ცხოველების მიმართ სასტიკები ვართ და ისინი ჩვენგან მეტ თანაგრძნობას მოითხოვენ?**

არა, არა, სწორედ რომ პირიქით! სწორედ ისინი გამოხატავენ ჩვენს მიმართ თანაგრძნობას, სიბრაღულს. იმის მიუხედავად, რომ ყველა მიზეზი აქვთ, მაინც არ არიან ჩვენს მიმართ სასტიკები, ჩვენ კი მათ სიკეთეს სათანადოდ ვერ ვაფასებთ. მე და ჩემი სტუდენტები აქ სალექციო აუდიტორიის ატმოსფეროს შესაქმნელად სულაც არ მოვსულვართ. ჩვენ აქ, სინამდვილეში, ცხოველებთან სასაუბროდ მოვედით. ისინი ჩვენს გულწრფელობაში მალე დარწმუნდნენ, გვენდნენ და ჩვენთვის

საჭირობოროტო არაერთ საკითხზე აგვიხილეს თვალი. ანუ, დავთმეთ თუ არა ჩვენი სასაცილო ამპარტავნება, ამან მაშინვე ჩვენს სასარგებლოდ იმუშავა. ადამიანებს, თავიანთი ეგოიზმიდან გამომდინარე, ჰგონიათ, რომ ცხოველები არ ფიქრობენ მათზე. არადა, სულ პირიქით არის. ისინი გულწრფელად არიან ჩვენი ბედით და მომავლით შენუხებული. მაგალითად, ჩემს სტუდენტებს ხანგრძლივი საუბარი ჰქონდათ თბილისის ზოოპარკის ერთ-ერთ უხუცეს ბინადარ აზავერთან. მან გულწრფელად შემოგვთავაზა, დროს წინ გაუფხვროთ და ჩამოგვყალიბოთ ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციების ფართო ქსელი მთელ დედამიწაზე, რომელიც სამომავლოდ მტკიცე სამართლებრივ ბაზას შექმნის ცხოველთა სამყაროში ადამიანის უმტკივნეულო ინტეგრაციისთვის. მართალია, ბევრი სახეობის ცხოველი ასე ჰუმანურად სულაც არ აზროვნებს და რაკი ადამიანი საკუთარ თავს ადამიანს უწოდებს, ისინიც ჯერ კიდევ ადამიანებად მოგვისწვნიებენ. მაგრამ ადამიანის დისკრიმინაციის წინააღმდეგ დაუფარავად იმალდებენ ხმას, მაგალითად, მურა დათვები და კამერუნის თხები. ისინი პირდაპირ აცხადებენ: ის უდავო ფაქტობრიობა, რომ ადამიანი ჯერაც ვერ ამაღლდა საკუთარ თავზე და ვერ აცნობიერებს თავის ცხოველურ ბუნებას, სულაც არ გვადილეს ადამიანად მისი მოხსენიების უფლებას. ამ და სხვა საკითხებზე მათი აზრის მოსმენა და გათვალისწინება არავის აწყენს. მაგრამ არის საკითხები, რომელთა გადაწყვეტაში ჩვენ, საქართველოს მოქალაქეებს, დღესვე შეგვიძლია ჩვენი წვლილი შეტანა და ეს არ მოითხოვს ჩვენგან ზებუნებრივ მორალურ უნარებს.

**ანუ, შენი აზრით, უკვე დღესვე შეიძლება, ცხოველებმა და ადამიანებმა აქტუალური საჭირობოროტო საკითხების გადასაწყვეტლად ითანამშრომლონ?**

ეჭვიც არ მეპარება. მაგალითად, ყველას კარგად მოეხსენება, რომ უნივერსიტეტები, უმაღლესი სასწავლებლები, საჯარო და კერძო სკოლები მთელ მსოფლიოში სწრაფად კარგავენ საგანმანათლებლო ფუნქციას. ეს შეუქცევადი პროცესია და ჩვენ, ადრე თუ გვიან, აუცილებლად მოგვინებს იქ დაბრუნება, საიდანაც მოვედით, ანუ - ბუნების სამყაროში. შემაშფოთებელია განათლების სამინისტროს უახლესი ღონისძიებები უფასო

სასკოლო სახელმძღვანელოების, უმაღლესში უფასო საბუნებისმეტყველო ფაკულტეტების, მასწავლებელთათვის ხელფასის გაზრდის მიმართულებით, მაგრამ იმედი ვიქონიოთ, რომ მსგავსი დამღუპველი ინიციატივები ამინდს ვერ შეცვლის და ვერ შეაჩერებს უკან, ბუნებისკენ ჩვენს პროგრესს. მოგეხსენებათ, ცხოველთა და ადამიანთა სამყარო ისტორიულად წარმოადგენდა ერთ მთლიანობას და, უბრალოდ, სამართლიანობა მოითხოვს, რომ ეს მთლიანობა აღდგოს. ისტორია გვასწავლის, რომ ისტორიული კანონზომიერების წინააღმდეგ გალაშქრება ყოველთვის მარცხისთვის არის განწირული. მოკლედ, ჩვენში ყველა პირობაა შექმნილი საიმისოდ, რომ თბილისის ზოოპარკი ნაბიჯ-ნაბიჯ ვაქციეთ კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრების ცენტრად, მან რაც შეიძლება დროულად უნდა იკისროს ეს საპატიო მისია. განა რა უდგას წინ იმას, რომ სწორედ ჩვენ, ქართველებმა, დავაჩქაროთ ეს პროცესი დედამიწაზე და საქმე თბილისის ზოოპარკით დავინყოთ? ჩვენს ხელში საამისოდ იმდენი ბერკეტია, რომ მათი არგამოყენება დანაშაულის ტოლფასია: ნიჭი, ცოდნა, თავდაუზოგავ ქმედებათა დიდი გამოცდილება, რომელი ერთი ჩამოვთვალო... უბრალოდ, საქმის ბოლომდე მიყვანა, გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმა საჭირო. ამ საშურ საქმეში ზოოპარკის ბინადარი ცხოველებიც უანგაროდ დაგვეხმარებიან. ნუ დაგვაგინწყდება, რომ სამომავლოდ სწორედ ისინი უნდა იყონ ჭეშმარიტი დესპანები, მშვიდობის ელჩები და, თუ გნებავთ, პოლიტიკური შუამავლები ჩვენსა და თავისუფალ ტყეებში მცხოვრებ ცხოველებს შორის. ტყუილად გვგონია, რომ ეს ყველაფერი შორეული მომავლის პრობლემაა. ისიც ილუზიაა, თითქოს ცხოველები კუდს ყავარზე გადაებენ, ზემოდან დაგვიწყებენ ყურებას და ახლოსაც არ გავციკარებენ. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ისინი მზად არიან ჩვენს მისაღებად. უფრო მეტიც, ბევრი სახეობის ცხოველი მიიჩნევს, რომ სწორედ ჩვენ, ქართველებს, ამ მიმართულებით უკვე ყველა ძირითადი გამოცდა ჩაბარებული გვაქვს. გადამწყვეტი გამოცდები კი ბოლო ათწლეულში ჩავაბარეთ. სხვათაშორის, სწორედ დღეს შემოგვთავაზეს უცხოელმა გორილებმა, რომ მზად არიან, მოლაპარაკება აწარმოონ ყველა საერთაშორისო ორგანიზაციასთან და მყარი გარანტიები მისცენ საქართველოს უამრავი არალეგალური ზოოპარკის თავკაცებს, რომ ისინი, ლეგალიზაციის შემთხვევაში, თავს დაჩაგრულად არ იგრძნობენ და ცხოველები მათ არავითარ შემთხვევაში ადამიანებად არ მოიხსენიებენ, ამ სტიგმისგან ისინი დაცული იქნებიან.

**ალბათ, ჩვენს ინტერესებშიც უნდა შედიოდეს ახალი ზოოპარკების გახსნა. ეს ხომ ხელს შეუწყობს ტურიზმის აყვავებას საქართველოში.**

პრობლემა ის არის, რომ ჩვენში, არალეგალური ზოოპარკების ლეგალიზაციის შემთხვევაში, მათი ბინადარი ადამიანების რაოდენობა გადააჭარბებს ადგილობრივი მომვლელების რაოდენობას და საჭირო გახდება უცხო ქვეყნიებიდან დიდძალი რაოდენობის მომვლელი პერსონალის შემოყვანა.

მაგრამ პირადად მე პესიმიზმის საფუძველს ვერ ვხედავ. ჩვენდა სასიხარულოდ, ქვეყანა უკვე გაძარცვულია, მილიარდები გამქრალია, მოსახლეობა ბინძური მატერიალური და სულიერი საკვების რეზერვუარად არის გადაქცეული. მოკლედ, პროგრესი სახეზეა.

**შენ თბილისის ზოოპარკის კულტურულ-საგანმანათლებლო მისია ახსენე. ფიქრობ, რომ მსოფლიოში დღეს არსებული საგანმანათლებლო და სასწავლო კერები მალე დრომოჭმულ ინსტიტუტებად გადაიქცევა?**

არა, მე ეს არ მითქვამს. ნუ დაგვავიწყდება, რომ მათ უკვე განიცადეს არსებითი ტრანსფორმაციები და მეტ-ნაკლები წარმატებით პასუხობენ მილენიუმის გამოწვევებს, საპროპაგანდო ფუნქციით დანეჭილებული და უამრავი პოლიტიკური და იდეოლოგიური ფუნქციით დასრულებული. განათლება და კულტურა ხომ, დიდი ხანია, უდიდესი პოლიტიკური ამოცანების განხორციელებაში ეხმარება კაცობრიობას. მართალია, მე ამ ამოცანების ბევრი არაფერი გამეგება, მაგრამ ეს სულაც არ მადღევს იმის უფლებას, რომ ვილაცხვებ მთელი მოფიქრებული დიდი ამოცანები და გეგმები ეჭვქვეშ დავაყენო. ვიმეორებ: ახლა მთავარია, მომზადებული შევხვდეთ მომდევნო ეტაპს და ჩვენი ღირსეული წვლილი შევიტანოთ ცხოველთა და ადამიანთა სამყაროს ერთმანეთთან დაახლოების, მერე კი მათ შორის საზღვრის წაშლის საპატიო საქმეში. მაგრამ არც ჩვენი ყოველდღიური საზოგადოებრივი უნდა დავივიწყოთ. მაგალითად, თბილისის ზოოპარკს თუ კულტურული ცხოვრების სრულფასოვან ცენტრად გადავაქცევთ, მაშინ ხომ მეტი მორალური უფლება გვექნება, სწორედ ზოოპარკი იქცეს სამომავლოდ თბილისის პოლიტიკურ ცენტრად. ყველას კარგად მოეხსენება, რაოდენ მნიშვნელოვანია ასეთი გადამწყვეტილებების მისაღებად ცხოველთა სამყაროს კეთილი ნება, მათ შორის იმ ცხოველებისაც, რომლებიც თავიანთ თავს, განათლების დეფიციტიდან და ბევრი სხვა სათნოების დეფიციტიდან გამოიმდინარე, ჯერ კიდევ ადამიანებს უწოდებენ.

**შენ ფიქრობ, რომ ასეთ შემთხვევაში გაიოლდება იმ საკითხების გადამწყვეტა, რომლებზეც შენს ერთ სტუმრებს აღმოსავლეთკავკასიური ჯიხვები თავიანთ გულისტკივილს უზიარებდნენ?**

აღბათ გულისხმობ მათ სამართლიან მოთხოვნას, რომ უფლება ჰქონდეთ, მომავალ საპარლამენტო არჩევნებში კენჭი იყარონ თუნდაც დამოუკიდებელ დეპუტატებად.

**დახ.**

ეს თავისთავად! უკვე დიდი ხანია, საღი აზრი ყველა ჩვენგანს კარნახობს, რომ უმაღლეს საკანონმდებლო და აღმასრულებელ ორგანოებში ქვეყნის სასიკეთოდ თავიანთი ინტელექტის გამოვლენის შესაძლებლობა უნდა მიეცეთ არა მარტო თბილისის ზოოპარკის, არამედ მთელი ჩვენი ქვეყნის ნაკრძალებში თუ თავისუფალ ტყეებში მოღვაწე ცხოველებს. მით უმეტეს, რომ ჯანმრთელი საკადრო რესურსების კრიზისი სახეზეა. მაგრამ ამ შემთხვევაში მიინდა სხვა საჭირო ბოროტო თემაზე გავამახვილო ყურადღება. მომიტყევე, ანბა-

ნურ ჭეშმარიტებას თუ გავიმეორებ, მაგრამ რაკი ჩვენში ამ პრობლემის მოგვარების აუცილებლობას ან ვერავინ გრძნობს ან ხმა არავინ იღებს, სხვა გზა მართლაც არ მჩქერ თუ გინახავს სადმე ქვეყანა უდგაქალაქოდ რა გაცინებს? აი, გავა რამდენიმე წელიწადი და ეს პრობლემა მთელი თავისი სისასტიკით დაგვატყდება თავს. თბილისის აუცილებლობა სჭირდება დედაქალაქი და ჩვენივე ინსტიტუტების სეზონი, რომ სწორედ ზოოპარკის ტერიტორიაზე გამოვაცხადოთ თბილისის პირველ სატანტო ქალაქად. ყოველ შემთხვევაში, ზოოპარკი ბინადარ აფრიკულ სირაქლემასთან, ქიორ გიბონებთან, პირველ რიგში კი, ცხადია, ხიხიბებთან და გარეულ ქათმებთან ჩვენ უკვე გვექონდა ამ თემაზე კონსტრუქციული დიალოგი. ამ საკითხის აქტუალობას ზოოპარკი ყველა ბინადარი აცნობიერებს. სხვათაშორის სწორედ აღნიშნულ თემაზე დისკუსიის დროს ჩვენი მშობლიური ტყიანეთიდან ზოოპარკში სტუმრად მოსულმა გარეულმა ღორებმა არ დაგვიმალეს, რომ მათი სახეობის ერთ-ერთ პოპულაციამ რამდენიმე წლის წინ მალაჩონოსანთა ძლიერი კოლტი შეადგინა, რომელიც ბოლო დროს, პრაგმატული მოსაზრებით, ორად გაიყო და ერთი ნახევარის ზოოპარკისათა ძველი უმრავლესობის შემადგენლობაში დარჩა, მეორე კი ახალ უმრავლესობას შეერია. გარეულმა ღორებმა თავიანთი მალაჩონოსანი ახლო ნათესავების ვინაობა არ გააუფლავნეს იმ მოტივით, რომ მათი მოღვაწეობის შედეგებით ვერ დაიკვებნიან. მართლაც რომ სევდიანი სანახავი იყვნენ ეს გარეულ ღორები, რომლებსაც მათმა მალაჩონოსანებმა ნათესავებმა მხოლოდ იმიტომ აუკრძალეს ზოოპარკში ცხოვრება, რომ მინახველებს ისინი პოლიტიკოსებში არ არეოდათ. არ არის ეს უსამართლობა?

**მაშინ, იმედია, ზოოპარკის ბინადარ ცხოველები ახალი დედაქალაქის ურბანულ დაგეგმარების და სხვა პრობლემურ საკითხებში თვითნებურად აღარ გადამწყვეტენ.**

რაც მთავარია, იმაზე უარესს ვერ ვილაპარაკებ ჩაიდევენ, რაც უკვე ჩადენილია ყოველ შემთხვევაში, ან თემასთან დაკავშირებით პროფესიონალის ცხენების ან კუბურ და ნილოსის ნიანგების მოსაზრებების თამოყუსმენტო, გულში იმედი აუცილებლად ჩაგვესახება. ისინი თვლიან, რომ თბილისის პირველმა დედაქალაქმა დაარსებისთანავე



უნდა დაიწყოს გაფართოება და შემოიერთოს ჯერ ქალაქის გალავნის მიმდებარე ტერიტორიები ვიდრე ათათურქის (ყოფილი დავით აღმაშენებლის) გამზირამდე, მერე კი გეზი აიღოს თუნდაც იმერეთის ჩინური სოფლებისკენ. ამ ბრძნული პოლიტიკის მიზეზები იოლად გამოსაცნობია: შეუქცევადი პროგრესის დაჩქარებული ტემპები დღის წესრიგში პერიოდული რეგულარობით დააყენებს ახალ-ახალი დედაქალაქების დაარსების აუცილებლობას, ათვლის ნერტილი კი ყოველთვის თბილისის ზოოპარკი უნდა იყოს. ჩვენ შეგვიძლია ამ თემაზე ვიმსჯელოთ, ვიდავოთ, ზოგიერთი პრობლემური საკითხი გვერდზეც კი გადავდოთ, მაგრამ ჩვენს მიმართ ჩვენი ინტელიგენტი დების და ძმების – იქნებიან ესენი მწვანე იგუანები თუ პარაგვაის ანაკონდები – საუკეთესო სურვილებში ეჭვი არ უნდა შევიტანოთ. დადგება დრო, როცა ისინი სათანადოდ შავფასებენ ჩვენი ურთიერთთანამშრომლობის ყველა სიკეთეს. დამერწმუნეთ, ისინი დიდსულოვნად გვაპატიობენ თუნდაც ჩვენს უნიჭო ამპარტავნებას. მაგალითად, ამასწინათ ჩვენ ვესაუბრეთ თეთრ ბენგალიურ ვეფხვს, რომელმაც ერთ მეტად მტკივნეულ და დღემდე გადაუჭრელ საკითხზე კატისებრთა ოჯახის საერთო პოზიცია დააფიქსირა. აღმოჩნდა, რომ არა მარტო ჩვენ, ადამიანებს გვიკვირს, არამედ მათაც ვერაფრით აუხსნიათ, თუ რატომ არ აისახება ადამიანის ცნების სამეცნიერო განმარტებებში ის ფაქტი, რომ მტაცებელთა კლასის წარმომადგენლები ვართ. მიუხედავად ამისა, კატისებრნი სრული ტოლერანტობით ეკიდებიან ადამიანთა მიერ შექმნილ საკლასიფიკაციო ტრადიციებს, რითაც ზნეობის მართლაც სანიმუშო ვაკვეთილებს გვიტარებენ. სხვათაშორის, ლექციის ჩასატარებლად ვოლიერი ლემურებმა დაგვითმეს. ზოოპარკის ხელმძღვანელობას მათთვის უკვე გადაცემული ჰქონდა ახალი ბინის ორდერი, როცა ლემურებმა ჩვენი ჩანაფიქრის შესახებ შეიტყვეს. ისინი უყოყმანოდ დაგვთანხმდნენ, მათ ახალსახლობამდე ერთი დღით ადრე მათ ვოლიერში ჩვენ შევსულიყავით და იქ ჩვენი ნებით გამომწყვდეულებს ლექცია ჩავგეტარებინა.

**მაპატიე, მაგრამ მაინც მგონია, რომ თავს არიდებ შენი აქციის მხატვრულ ჩანაფიქრზე საუბარს, ხელოვნებაზე**

**საუბარს. ეს აქცია ხომ სწორედ შენი, როგორც ხელოვანის პერფორმანსი იყო.**

პერფორმანსი რა შუაშია! მე აქცია ვე არა, ლექცია ჩავატარე. თანაც, მხოლოდ ჩემი სტუდენტებისთვის. ეს იყო, უბრალოდ, ყოველგვარ მანჭვა-გრეხას და ეგსპიზიციონიზმს მოკლებული, არადეკორატიული ხელოვნება. არც ჩვენში პოპულარული იმ მოვლენასთან მაქვს რამე საერთო, რასაც შეზღუდული უფლებების მქონე სოციოლოგიაში უარყოფის კომფორმიზმი ჰქვია. ეს კულტურა უკვე საჯარო ინტელექტუალების კუთვნილებაა. მე კი ინტელექტუალი არ გახლავარ. ჩემი ხელოვნება გმირულ სულისკვეთებას და ვილაცებისგან წახალისებულ გაბედულებას მოკლებულია. პირიქით, მე საზგასმულად აკადემიური ლექციის ანონსი გავახშიანე, რათა სანახაობაზე და ეფექტებზე გაფაციცებულ მოსაწყენ პუბლიკას არ შევეწუებინე. რა თქმა უნდა, როცა ამას ვაკეთებდი, პირველ რიგში სწორედ რეგიონულ სახელოვნებო კონტექსტს ვითვალისწინებდი, რომელიც უკვე უმონყალოდ არის დეკორატიზებული. ყველა ოდინდელი სოციალური კონცეპტი, უარყოფის მუხტის მატარებელიც და უბრალოდ კრიტიკულიც, ორნამენტალიზებულია. ყველაფერი თინეიჯერების მებრძოლი ინფანტილიზმის და ძველმოდური სტუდენტური ორიგინალიზმის სულისკვეთებით არის აღბეჭდილი. არა აქვს მნიშვნელობა, რა ასაკის ხელოვანთან გვაქვს საქმე. ისე იბრძვიან, თითქოს თინეიჯერები იყონ. ისეთი განცდა მაქვს, რომ კრიტიკული მასისთვის დამახასიათებელმა აგრესიამ უკვე შებოჭა ხელოვნება, თავს მოახვია პლებეური სუროვატები.

**მაგრამ შენც ხომ რალაცას აპროტესტებდი?**

დამერწმუნე, არაფერს. და სწორედ ამას მივიჩნევ ზოოპარკში ჩატარებული ჩემი ლექციის ძლიერ მხარედ. ეს იყო ღია ნოსტალგია გასული საუკუნის 90-იანი წლების გულწრფელობაზე, რომელსაც უკვე ვედარსად ვხედავ. ყველგან ორნამენტებია, გემოვნებიანი ან უგემოვნო, მაგრამ მაინც ორნამენტები. ამ ორნამენტების მიღმა კი – ნარცისიზმი და პათოლოგიური მოთხოვნილება ვილაცის გადასწრების, ნებისმიერ ფასად გამარჯვების, იმ ადგილის ხელში ჩაგდების, რომელიც სხვას ეკუთვნის. შვიძლება, ვცდები, მაგრამ ასეთია ჩემი ხედვა. ვიცი, არიან ხელოვნებაზე შეყვარებული ადამიანები,

რომლებსაც მსგავსი ხედვა აქვთ იმ პრაგმატიზმის მიმართ, რომელიც დღეს თავისუფალი ხელოვნების ყველა კოდის მარგინალიზებას და სოციალური ინსტიტუტების დანამატად მის გადაქცევას იწვევს. ეს ასეც უნდა მომხდარიყო, ასეა დღეს ყველგან, მთელ მსოფლიოში, და ამას თავისი მიზეზები აქვს. ჩვენი ინტერვიუს მიზანი ამ თემაზე მსჯელობა არ არის. მე მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ ჩვენი სპორტის ოსტატებად გადაიქცნენ ის ადამიანები, რომლებსაც არ უნდა დაეთმოთ, ხელოვნება სპორტად და მოზარდმაყურებელთა თეატრის სცენაზე ტრიალისთვის ბრძოლად არ უნდა გადაექციათ, არ უნდა დამსგავსებოდნენ მასმედიის, ტელევიზიის იმ რაინდებს, რომლებიც ფულისთვის ჩადენილ ყველა უღირს საქციელს ხალხის შეკვეთის ფილოსოფიით ამართლებენ. ბიზნესმა შეჭამა ხელოვნება. ადამიანი ყოველთვის შეიძლება ჩააყენო ისეთ მდგომარეობაში, როცა ის არა მარტო კეთილდღეობისთვის, არამედ მინიმალური არსებობის გადასარჩენად ჩაიდენს რაღაც ისეთს, რასაც სხვა შემთხვევაში არ ჩაიდენდა. მე მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ ათასჯერ დიდი სიბინძურეა უმაღლეს ღირებულებათა სახელით ასეთი კომპრომისების გამართლება, ვიდრე, უბრალოდ, კომპრომისი.

### **მაშინ იმაზე ილაპარაკე, რაც ზოოპარკში ჩატარებული შენი ლექციით თქვი.**

კი, მაგრამ რისი თქმაც მინდოდა, ხომ ვთქვი უკვე იმით, რასაც შენ ჩემს აქციას, მე კი ვოლიერში ჩატარებულ ლექციას ვუნდობ? წარმოიდნე, რა გამოვა, ეს ინტერვიუ რომელიმე გაზეთის ჟურნალისტმა რომ წაიკითხოს და მასზე საუბარი მთხოვოს. მერე კი მესამე ჟურნალისტმა ამ მეორე ინტერვიუს შესახებ ინტერვიუს ალება მონდომოს. მე უკეთეს რამეს გეტყვი. გუშინ, ლექცია რომ დამთავრდა და წავედ-წამოვედით, საღამოს დამირეკეს და მითხრეს, რომ ავსტრიიდან ჩამოსული იყო მწერალი ბოდო ჰელი, რომელიც მე მკითხულობდა. მე ის თითქმის შეიდი წლის წინ გავიცანი და მერე კიდევ ერთხელ შემთხვევით ვნახე ვენაში. ეს არის ადამიანი, რომელიც ყოველ ზაფხულს ავსტრიის მთებში ატარებს, თხებს და ძროხებს მწყემსავს, წველის და ყველს ამზადებს. თურმე ორშაბათს ანუ დღეს მისი ლეზუზი იყო დაგეგმილი ილიას უნივერსიტეტში. ლეზუზის მერე კი ბოდოს მიერ გადაღებული ფილმი ვნახეთ. ჩემი საზოოპარკო ოდისეის ასეთ სახალისო გაგრძელებას კი მართლა არ ველოდი. ეს იყო ნახევარსაათიანი დოკუმენტური ფილმი თხებზე, რომელთა ყოველდღიურობის სურათების ფონზე ავტორი ცდილობს, თხების თავში ჩაგვახედოს და გვიჩვენოს, რას ვიქრობენ ისინი ადამიანებზე. და ეს გაკეთებულია ისე უბრალოდ, ყოველგვარი შემანუხებელი ხელოვნურობის და ამბიციურობის გარეშე, რომ არ შეიძლება არ ირწმუნო: თხები თუ არა, რაღაც უხილავი ძალა აუცილებლად აზროვნებს მათი სახით, მათი მეტაფიზიკური გამომეტყველებით, მათი გარინდებით და პოლიფონიური დუმილით. და რაც ყველაზე არსებითია, მთე-

ლი ფილმის განმავლობაში არ წყდება თხებზე შემზული ეჭვნების რაკარუკი და წკრილი ანუ იმ ზარის ხმა, რომელიც სწორედ ჩვენი გვის მოხს. აი, ამითაც ხომ ითქვა რაღაც.

### **კი, ითქვა რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი და მაინც, მე ვფიქრობდი, რომ შენი აქციის შინაარსის, მისი სიმბოლოების შესახებაც ვისაუბრებდი.**

არა, მაშინ მართლაც პროტესტის ეპიკურებს დავემსგავსებოდი. 60-იანი წლები უკვე იყო და იმის მერე ბევრი რამ მოხდა ისეთი, რასაც შესწავლა, ათვისება და გადალახვა სჭირდება. ჩვენი, ქართული 90-იანი წლები იყო, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების სათბურში მყუდროდ "მებრძოლ" მწერალთა მხატვართა და მეცნიერთა გულისგასახარად ცუდად დამთავრდა. არც სიმბოლოებით იყო დახუნძლული ჩემი ლექცია. საერთოდ სიმბოლოების და ბრძნული დენდიზმის სულისკვეთება ჩემთვის უცხოა. ჩემი ლექცია იყო ნოსტალგია თუნდაც იმ წლებზე, როცა სამხატვრო აკადემიაში ჩემი მეგობრის, ვაზულაძის მიწვევით ფილოსოფიის ისტორიის კურსს ვკითხულობდი. მე მაშინ ოცდახუთწლის ვიყავი. შარშან კი, ამდენი ხნის მერე, ისევ მიმინვიეს სამხატვრო აკადემიაში ლექციებზე წასაკითხად. მიმინვიეს სიხარულით, ღიმილით და ნათელი თვალებით. თითქოს წრე შეიკრა ეს იყო მაქსიმალურად უბრალო, სანახაობრობისგან სრულიად განტვირთული, დეკორატიული პერფორმანსებისთვის დამახასიათებელ ხმაურს გარიდებული, ყოვლად უბრალო ლექცია ჩემი სტუდენტებისთვის და ზოოპარკისთვის. არ ვიცი, მიხვდნენ ამას იქ მოსულ ადამიანები? რომც ვერ მიხვდარიყვნენ, ვისაც პოეზია უყვარს, იმედგაცრუებულ შინ მაინც არავინ წავიდოდა, რადგან წიგნები მიიღეს საჩუქრად: ბახმანის, ჰოლენიას, ვერფელის, ოლსონის, პაუნდის, ენცენსბერგერის, მიხეილ გოგუაძის, ესმა ონიანის, ბადრი გუგუშვილის... ბოლოს და ბოლოს, ეს ხონსინამდვილეში არც იყო ლექცია. მაგრამ თუ მაინცდამაინც შინაარსზე საუბარი გსურს, მაშინ ვსარგებლობ შემთხვევით და ზოოპარკის ხელმძღვანელობას მაძღობას ვუხედი უპირობო ყოველმხრივი მხარდაჭერისთვის.

თბილისი, 15.04.201

# 3 კოეზია

ლია სტურუა

## ინსტალაცია

მთავარი რეალობა – სახლიდან ვჩანვარ.  
მეორე, უფრო გათამაშებული –  
სანოლი ისე შვეულად მიდგას,  
როგორც ნახატები კიდეა.  
სიზმარში პირველივე შემხვედრს  
ვეხვეწები, ორმო მომიტეხოს,  
გამოსავალს ვეძებ სახლის ვიტრინობიდან,  
თუნდაც, ორმოს,  
ჭიბიანს, უბალახოს, რბილს  
(ჩამოქვეითება სპილოს ძვლის კოშკის),  
მაგრამ არც მთლად უმისტიკობა:  
სინათლის დეკლარაციას მატანენ,  
სასარგებლო მოსავალს მაიძულებენ:  
სიმინდის, ლობიოს, ხორბლის,  
ბავშვსაც მომთხოვდნენ, გვერდით რომ  
კაცის ჩონჩხი ეგულებოდეო,  
აქედან ამოსვლასაც. კი, შემიძლია,  
ინსტალაციამ შესაბამისი საგნობა მასწავლა,  
ამოვარდნები თარაზული ცხოვრებიდან,  
მარგინალობა. ამასაც შეეჩვევით,  
მერე რამეს კონკრეტულს შეადარებთ, –  
მაგალითად, ჩამოფასებულ ელვარებას  
კვარტლის ბოლოში...

## მეშვიდე დღე

კი, ვილაცას მუდმივი უნდა ვეგონო,  
თუნდაც შვიდბალიანი პარკინსონის დროს,  
ან როცა ქარი აფრიალებს ინფარქტების ზონას.  
დროშაც რომ დაუკეცო, ქვას ვერ ჩააცმევ.  
ექვსი დღე ვმუშაობ, მეშვიდე დღეს  
როგორც მინდა, ისე ავურევ:  
დიეტიდან მორჩენილ ხორცს  
ფორმას მივცემ და ლოზუნგებს პირში –  
რეველუცია მშიერია, მაგრამ უკანმოუხედავი,  
ფეხებიდან მონები ამოჰყავს; წითელი და წითელი,  
ვილას ახსოვს დედამინის ნაივური სიმრგვალე,  
ან ღმერთი?  
ხო, არ მაქვს კვირა!  
ყოველდღე შავი სამუშაო დაუნახავია,  
როგორც კედლებს აშენებ,  
კვირა, უკვე ჭერი, უკვე  
იმდენი ალისფერი შავზე, რომ პათოსს  
ძახილის ნიშნებს აგლეჯენ,  
ამ მოძრაობით გამოწვეული ქარიც კი მტკივა...  
კიდეც ბალის ჩონჩხი, ვაშლის მულიაჟი  
ჩემს სიმძიმეს ემატებიან –  
ეს ზეპირი პოეზია, ეს საკვირაო სკოლა  
და ამხელა ლოდი!  
სიზიფებს კი არ აჩენენ,  
მაგრამ წიგნიდან ვინც ამოხევეს,  
მეშვიდე დღე არ აქვს ჩემსავით...

## ზამთრის განწყობილება

ნეტა ამ ზამთარს თავისივე  
ლურჯი ყელსახვევი დაახრჩობდეს!  
ისე ცივა, რომ მხრებზე  
ფრთის ან ტოტის მაგივრად სახლი ამომდის,  
უზმოზე მსუბუქი, როცა დამძიმდება  
სადილისგან და ვახშმისგან, მიწაზე ვაბრუნებ  
და ძალღვივით ვასეირნებ.  
ვერაგინ ამჩნევს ჩემს ყალბისმქნელობას:  
ქუჩაში მოდის ჯიშინი ძაღლი,  
ანთებული ფანჯრებისხელა თვალებით,  
მკერდზე მედლებივით ჩამოკიდებული ნივთებით,  
ძაღლი ჩემპიონი, სუპერძაღლი!  
გვიყურებენ, მზერების ფხაზე  
მუშაითივით დავდივარ,  
შემხვედრ ღიმილებს არ ვპასუხობ,  
იქით ვეკითხები:  
როგორ აღწევენ ჰარმონიას გარემოსთან  
და, მითუმეტეს, საკუთარ თავთან?  
ბავშვები მოაფრიალებენ არდადეგების  
მაჟორულ გამას, მათი ლაპარაკი  
პატარა ქალაქის პატარ-პატარა სიახლეებზე  
ნეკისხელა დადუმებით არის დატენილი...  
მაგრამ ის მუშაითი, რომელმაც  
ფუძის ძვალი მოიტეხა და თავდაყირა კიდია  
ზამთრის სიცხადეში,  
ჩემი ხელობის ატავისტური წანაზარდი?  
მეშინია, ჭირხლმა არ შეჭამოს, ან ზაფხულმა,  
როცა მზე იმდენია, რომ ხეებმა არ იციან,  
საით მიაბრუნონ თავი  
ამ ვინრო და დამხრჩვალ ქუჩებში...

\* \* \*

წაშლილი პეიზაჟი,  
არც ერთი ნერვიული ხაზი,  
არც ერთი ანთებული ფერი.  
ბრმებმა შეუკვეთეს?  
ანემიური სახეები...  
წარმოიდგენ, რომ ერთ მათგანს,  
რომელზეც პირველ პირში ლაპარაკობ,  
შეიძლება კიდევ ხანძარი გაუჩნდეს?  
ცეცხლის სისქე გაგრძნობინოს,  
ბრმა ამინდის ზერელობა,  
რეალისტური აქაურობა  
და სადღაც, ტყუილში, ჰორიზონტზე  
განხორციელებული საკუთარი თავი?  
იქიდან მაინც იცის,  
რა უკეთეს ცეცხლს მოცულობას?  
ის ენციკლოპედიური გიჟები,  
თავიდან ამომხტარი ტვინით,  
მაგრამ უკვე დავარცხნილით,  
შუაზე, ან გვერდზე გაყოფილით,  
თუ შენ თვითონ?  
ცეცხლის სისქეს რომ ხელით ამონებ,  
სულაც მარჯვენათი, რომლითაც წერ?  
მწარეა? ოღონდ, თვალსაჩინოდ ნუ გეტკინება!  
იმანაც რა ქნას, ვისზეც  
პირველ პირში ლაპარაკობ,  
ან ბრმებმა, საერთოდ,  
ხელით რომ კითხულობენ,  
ბრაილის მთებზე ადიან?  
რომლებიც შენთვის თოვლიანია,  
მაგრამ როცა წერაყინი თავში?!



## გამოსასვლელი დღე

გამოსასვლელი დღე!  
საიდან გამოსასვლელი, მარტოობიდან?  
ჩაქუჩს ვურტყამ ლურსმნებს  
(ახალ თავს ვიშენებ),  
ნახევარზე მეტი თითებში მხვდება,  
უნებლიე ყვირილზე გამველელები ჩამომეკიდებიან.  
მერე რა, რომ დისონანსი ყურში!  
ქუჩას სჭირდება გაკვირვება,  
მე - კედლისიქითა ყურადღება,  
მისი სალონური ვარიანტი - გულაჩუყება,  
ცნობისმოყვარეობის დადებითი ხარისხი,  
ყველაფერი, თანაგრძნობის გარდა,  
რომელიც ჩრჩილმა შეჭამა...  
ქუჩა რომ არ ჩარეულიყო,  
მანქანები ხეზე არ აყევანა,  
ტროტუარები - სახურავზე, შთაგონების  
გამოსასვლელად, ახალ თავს არ ავიშენებდი  
ძველი პრინციპით, ნაკეთები რომ შეთანხმდებიან  
და უკეთესს გამოგაჩენენ, რისთვის?  
უქმების ტყუილისთვის?  
სამუშაო დღეები ჩრჩილივით მჭამენ,  
წარმატებით, დარდი 100%-იანი შალია,  
უქმების სიჩუმეში მესმის, როგორ მეზრდება  
თმები და ფრჩხილები, მკვდარივით...

\*\*\*

სახლთან შეგუების პირველი ეტაპი -  
აეტომორტრეტი ფანჯრის ჩარჩოში:  
ვდგავარ, ხეს ვსუნთქავ, რომელიც  
დაიღალა ჟანგბადის გამოყოფით  
ამდენი ჩემთვის:  
ქუჩიდანაც ხომ ვუყურებ საკუთარ თავს,  
ქვასაც ვესვრი,  
საგარეო მუბლს ვუტეხავ,  
ნამდვილი სახლში მიდევს  
და თვალების დაელმებადმე მტკივა,  
რაც მაყურებელმა არ უნდა იცოდეს.  
როცა ქუჩა მართალი იყო,  
სახლი ტყუოდა, ახლა - პირიქით:  
ვზივარ, ვწერ, ვკითხულობ,  
კონსერვატიულ ფეხებზე დავდივარ,  
ფანჯარაში დღის მეორე ნახევარი შემოდის  
და მთელი ღამე  
როდის ვცხოვრობდი უკულმა?  
როცა აქსიომებთან ომში  
რამდენ ხორცსაც ვკარგავდი, იმდენ შუქს ვჭამდი,  
თუ ახლა, ამ შეუძლებლობაზე რომ ვფიქრობ?

## სა შვილიშით

სიკვდილის წინ არამფარველი ანგელოზები  
სულ ფიცარ-ფიცარ დამშლიან, საწერი მაგიდასავით,  
მფარველები ლურსმნიან ადგილებზე  
სულს შემბერავენ, სხვა რა უნდა მეტკინოს,  
როცა მარტო გაყინული ქათმებივით ლურჯ  
ხელნაწერებს ვჭამდი?  
ამდენხანს გადარჩენილები,  
მუცელში რომ ცეცხლი მინთია,  
იმაზე იწვიან,  
დედაჩემს ვარწმუნებ, აქედან  
ბრონეულის ხე ამომივა-მეთქი.  
არ სჯერა, არც მე ვიცი,  
სად მზე იკბინება, სად ნამდვილი დედაა,  
ტკივილის კანონებისგანაც  
კონსტიტუციას ვერ შეადგენ,  
მშიერ ტვინს მეტაფორა არ ეყოფა,  
პარლამენტს - ლირიკა,  
რომელიღაც შესწორებაში შეპარული დედა  
დუმბილის უფლებით ისარგებლებს,  
მერე გირათი გამომიყვანს  
და იქვე, მინაში...  
ცოტა ხანი მაცალე, დედა!  
მაგიდაზე ბრონეულები დავყარო  
და ნატურმორტის შესაძლებლობას მოვთხოვედი.  
ხის ამოსვლას დაველოდები,  
მისკენ მისწრაფებას დავიკმაყოფილებ  
და მოვალ...



### კაცი ანძაზე

კაცი – ანძაზე –  
ლუდს და არაყს გარკვევით ითხოვს.  
ანგელოზურად ზის, აკავებს საკუთარ ძვლებს და

აშინებს გამვლელს, გუბერნატორს  
და ლმერთსაც, – თითქოს  
იდარდებს ვინმე, იმას სული თუკი გასძვრება.

ხაზგასმით ითხოვს ლუდს და არაყს.  
იცავს ეტიკეტს –  
პატრული – რუპორს იმარჯვებს და ამბავს ავრცელებს,

რომ მოქალაქე ანძაზეა, რომ ეტკინება  
ქვაფენილს, ქალაქს,  
მთელ ქვეყანას – მისი დაცემა,

ხოლო თუ არაყს მიუტანენ,  
კაცი – ანძიდან  
ალბათ ჩამოვა, მაგრამ მერე მიმართავს ანძას –

ყველა, ვისთვისაც  
ეს შემთხვევა მისაბაძია,  
ვინც გაიფიქრებს, რომ ეს კაცი გმირულად აძვრა

ანძაზე, შიშზე, სიფხიზლეზე, საკუთარ ძვლებზე.  
მთავარი არის ჩაეჭიდო.  
ითხოვდე. ძლებდე.

### პარიკატურიისტი

პრესა კი არა, დღეს პოეზიაც ყვითელია –  
საჭიროა დადგე ყირაზე,  
გაინელო პირი, ყურები,  
დაიბუშტო ლოყები, ცხვირი,  
რომ როგორმე დაანახო ამ ცხოვრებას –  
თურმე რალაც შენც შეგიძლია,  
თუკი თავსზემოთ ვერ ახტები,  
დასცინებ მაინც – არქაულ სურვილს –  
ზემოთ ახტომის.

საკუთარ ვნებებს ერთი-ორჯერ გადაახტები,  
შემოინნავ ერთი-ორ სილას  
და მერე იმის უფლებაც გაქვს – სხვას შემოარტყა.  
რა თქმა უნდა, თავიდან მხოლოდ შეგროვდებიან  
უსაქმურები, მაყურებლები უცხო სეირის.  
თუ ოსტატურად მოახერხებ,  
პირველ ნკიპურტს ვერც კი იგრძნობენ.  
ამოირჩიე ვინმე ცოტათი დაბნეული,

რომ დრო გქონდეს, შეაჩვიო მთელი პუბლიკა –  
ბოლოს ყველაზე ახმახებსაც, შეგიძლია,  
უთავაზო თითო პანლური.  
მათი ნაწილი მხოლოდ ოდნავ შეიმშუშნება.  
თავაზიანად გაიღიმებს, თუკი აქვს ალლო.  
რა თქმა უნდა, ხშირად გარისკავ,  
გამოჩნდება ფანატიკოსი,  
ვისაც არ ესმის ეს დროული მეტაფორები,  
ვინც სიმართლისთვის,  
და, რა თქმა უნდა, ხელოვნებისთვის,  
ერთნაირად გაუთლელია.  
მთავარია, რომ გარშემო მუდამ გყავდეს

მაყურებელ

ხალხს ყელში აქვს ამოსული  
ეს მტირალა ტრაგედიები.  
გლოვის ყველა რეპერტუარი – გადაღეჭილი.  
მიხვდებიან, რომ ეს ნიჭია,  
რომ წრფელი გულით აკეთებ ამას,  
რომ სიკეთეა – სანახაობაც,  
თუკი არ გაქვს ფუნთუშები,  
რომ სათითაოდ ჩამოურიგო,  
რომ ასეთია ეპოქის სული.  
ითამაშე ვინმე, სასტიკი,  
ოღონდ ისე, რომ ყველა გრძნობდეს –  
ეს – თამაშია, გროტესკია, რომ ეს გტკივა,  
რომ თითს იშვერ  
იმითომ, რომ გულით გინდა, რალაც შეცვალო.  
მიდი, დახატე ცარცით – დაფაზე – დიდყურა ბიჭი  
და დაანახე შენი უფრო დიდი ყურებიც.  
შეიძლება, სიცოცხლე კარგად გადაგიხადონ.  
შეიძლება, თანდათან ისე დაიხვეწოს ეს ილიეთი,  
ეს სკეტჩები, ეს დეტალები,  
ხელოვნებასაც დაემსგავსოს, მხატვრობასაც,  
პოეზიას

შეიძლება, ბოლოს და ბოლოს, მოახერხო,  
და თუკი რამე უცნაურობით,  
რალაც გიყვარდა ამ კომიკურ ბზრიალ-ტრიალში,  
და როგორღაც, ლამაზიც იყო,  
კარიკატურად გადმოხატო  
და პომპეზურად, შიგ ჩაარჭო ბასრი კალამი.

## ქვიშის გაომეატრია

ქვიშის საათიდან ჩამოყრილ მარცვლებზე  
ფეხი გასრილდა  
და გაჩნდნენ ისრები, გაჩნდნენ ნამზომები,  
ნაბიჯის მთვლელები  
და რალაც გრაფიკში თითქოს ჩავატიეთ ეს ფაროსიდაა –  
დღისით ჩათვლემილი თავებით,  
ღამეში სიზმრების თენებით.  
დროულად ავდექით. დროულად წავედით.  
დროულად დავბრუნდით  
და გავხდით გმირები  
ორგანიზებული, საერთო აბსურდის.  
ქვიშით ამოვივსეთ მავის საათები,  
ჭიქები, თევზები,  
ჩანთები – წუთებით, რომლებიც ყოველ წუთს  
თითებში გვეფშხვნიება.  
მოკლედ, გამოვკარით ხელი ამ გრაფიკებს –  
რეჟიმს და კალენდარს,  
დაეყავით უჯრებად. დავადეთ აფრიკას  
გრძელი და განედი.  
და ანტარქტიდასაც.  
თუმცა, არ სჭირდებათ პინგვინებს იგივე.

## სხვაში

არია ლექსები –  
არსებები – არარსებული ფრთებით, ნისკარტით –  
სხვა სიზმრებიდან ამოფრენილები.  
თითქოს წერდე და ყოფნას რისკავდე –  
ზოგჯერ იმდენად ამორფულებია.  
პატარ-პატარა კვანძებია –  
გრძნობებიდან ამოკვეთილი.  
მიკროსკოპებში ცახცახებენ უჯრედებით –  
ყველა თავისი კეთილი და ავი თვისებით.  
მასშტაბს თუ გაზრდი,  
ამოგხედავენ ფრაგმენტული ფოტოებით.  
მკვეთრი ღიმილი, ნაოჭები –  
შერჩეული რაკურსით და განათებით –  
მხოლოდ თითო ეპიზოდია.  
ზედ ნაბეჭდი მეტაფორები –  
შუქჩრდილები, პეიზაჟები –  
ეფექტური კაუჭებია – თვალებისათვის.  
არაფერი – ცხოვრების მსგავსი.  
ტილესკოპებში იზრდება, ან,  
იკეთებენ მახვილ კუთხეებს –  
გადაიმფრენი, ბრტყელი ფრანები –  
ეკრანის მიღმა მიბმულები უხილავ ძაფებს,  
შენს თითებში განწყვეტამდე რომ იჭიმება.  
ყველა მათგანი მიაფრიალებს საკუთარ ამბავს –  
შემთხვევითი ტრანექტორიით.

ამ უმიზნობით, ზოგჯერ ხდება, ერთმანეთშიც  
იხლართებიან.

„გახდი, მკითხველო, ჩვენი ტანჯვის თანაზიარი,  
ჩვენი ტკივილი ბევრად უფრო ლამაზი არის“  
მათი მაცდური გალობა ცდილობს  
ჩაეჭიდოს ვილაცის სმენას.  
რამდენიც გინდა, ათვალე რე.  
არც არაფერს ამბობენ შენზე.  
აშკარაა – ცალკე არიან.  
მშვიდი სინდისით შეგიძლია ხელი გაუშვა –  
სიცარიელე იმხელაა,  
უფლება აქვთ, სადმე იქროლონ.

## ისევ გორი, სუპერმარკაპტი

ის მძიმედ დადის დახლებს შორის  
და თავზარით ათვალე რეებს  
ათასი ჯურის პროდუქციას –  
ჩინურ კონსერვებს, თურქულ ტკბილეულს,  
ამერიკულ ბურლულს, აქა-იქ „სამამულოსაც“

გადაანწყდება –  
მკვეთრი აქცენტით ჩაიკითხავს რუსულ ეტიკეტს.  
მერე ისევ ჩინური. ზოგჯერ – ბელგიურიც.  
და რისხვისგან ლამის გადასკედეს –  
ზედ მიესხას პრიალა დახლებს –  
„თავისუფალი ბაზრის“ ვულგარულ სიჭრელეს,  
ხორობოს –

ცხვირწინ გაფენილს – ავად უყურებს,  
მაგრამ მხოლოდ სქელი ჩრდილია –  
ერთმანეთისგან ვერ გამოარჩევ ჩიბუხს და ულვას,  
კაცს და მუნდირს. წარბის ანევაც არ შეუძლია.  
ლამლაპობით ბანერიდან კუპრივით ჟონავს  
ცარიელი სუპერმარკეტის იატაკისკენ  
და დახლებს შორის მიიკლავება –  
შავი და ბლანტი, გზადაგზა რომ წებდება, ხმება  
და ვერ იბრუნებს კაცის სილუეტს –  
ჩემი საბჭოთა ბავშვობიდან გონებაში ჩაცემენტებულ  
ფორმამი ახლა ფოლადის ნაცვლად  
მის სახედ ცხვება შავი სისხლი,  
მილიონობით ჩონჩხის ყალიბი  
ყოველდამე აჩენს სახიჩარს –  
მშობლიურ ქალაქს რომ დაანვა – შავ მარმარილოდ.  
დღის შუქზე ის სარეკლამო ბანერია –  
ეგ ზოტიკური საფრთხობელი ტურისტებისთვის,  
ისტორიული ატრაქციონი.  
აქაურებს შეუძლიათ, იამაყონ (და ამაყობენ)  
ამ მასშტაბების ურჩხულის კვერცხით –  
ბოლომდე რომ ვერაფრით გატყდა.  
ის სარეკლამო ბანერია –  
კაპიტალისტურ სამყაროში,  
პერიფერიულ ქვეყანაში,

პროვინციულ ქალაქში –  
მინას აწებებული.  
სუპერმარკეტის მეპატრონე  
გაყიდვებით კმაყოფილია.

## აგვის ბარეში

ჩვენი თავები,  
ამდენ ფერად გადაღებული,  
იქნებ კიდევაც აფერადებს ძვლების ნაცრისფერს.

ყველა ჩვენგანი რალაც კარის გასაღებია.  
მთის. ზღვის. ჰაერის. სარეცელის.  
ანდაც არც ისე

მშვიდი სიკვდილის.  
და სიცოცხლე კისერს იგრძელებს.  
გვათვალეიერებს. შეგრძნებებში ხელს აფათურებს.

ალებს მომავალს. კიდევ ალებს. თითქოს იცოდეს,  
რას ეძებს, ან რას ამარტივებს,  
ან რას ართულებს.

ეს ენერგია, ზოგჯერ მდორე, როგორც ბელურა –  
ნისკარტი – მწერთ,  
ზოგჯერ მღვრიე, როგორც ველური

მხეცი უსაფრთხოდ – გალიაში,  
მსხვერპლს რომ შეჰყურებს  
და ღრენას ითმენს,

სამაჯური და საყელური  
და საყურე და სხვა მეტალი –  
ყოფნას რომ გვაბამს –

უქმად ჩხრიალებს.  
ჩვენ კი ვყვებით ათასგვარ ამბავს.

## მუღვივობის კანონი

მიჯაჭულობა რომ დაირღვეს  
და მოწყდეს ორბიტას –  
სხეული, როგორც თანამგზავრი,  
ან როგორც ხომალდი  
და გადანყვიტოს, რომ ტრიალი  
ძალიან მოსწყინდა,  
და ურჩევნია, ააღდეს და  
ლურჯადაც ხრჩოლაგდეს, –

რა დააკლდება ამ ცხოვრებას,  
მკაფიოდ დაწერილს  
და შემოსაზღვრულს დროებითი,  
უსაზღვრო წრებრუნვით –  
სიყვარულს, დღეს რომ ასე გვიშლის  
თავების დაღწევას,  
ბედნიერებას უიმედოდ მიწებებული.

## ბართა ბათუმში

ესეც, პირველი შეხვედრა ზღვასთან.  
შორიდან ის ნაცრისფერი ჩანდა, ციმციმა  
და გზადაგზა ალურჯებდა შენი სიცილი,  
ვიდრე არ გახდა სიცილივით კრიალა ფერის.  
თითქოს გავეშალეთ ძილის წინ წიგნი –  
ფერადი, სამი განზომილებით –  
ნამოიწიეს ცათამბჯენებმა,  
მინით და სხვიით დაზოლილებმა,  
შემოირკალეს ჭრელი ნაპირი,  
სკვერი, ქოლგების მწკრივი ცხრაპირად,  
ზღვიდან გემები-ვეშაპები ამოიზარდნენ,  
ატრაქციონებს თვალი გზიდანვე  
დავადგით. მერე სკვერებს, კაფეებს,  
ყვავილებით და ბავშვებით რთავდა  
იგივე ხელი. ასე თანდათან  
წინ გაგვიშენდა მთელი ზღაპარი.  
მერე თვალეში ჩადგაფუნდა ციცქნა დელფინი.  
მერე კენჭები ავარჩიეთ – ჭრელა-ჭრულა სამეფოები  
საგულდაგულოდ თავისთავში ჩაკეტილები,  
ყველაზე მორთულ-მოკაზმულები  
ჩაუფძახეთ ყვითელ ჩანთაში.  
შენს ყველა კაბას უხდებოდა  
კუს კულონი და მზის სათვალე.  
დაიღლებოდი, მამა მხარზე შეგისკუპებდა.  
ასე შეგვეძლო დღიდან-დღეში უსასრულოდ გვეხეტ  
მზე თან დაგვევდა. ვაცილებდით. ისეც დაგვედგა  
შენი ნათლია ფერია – პარკში,  
ბამბის ნაყინით ხელში, გვიცდიდა –  
თითქოს თავისი ბავშვობიდან გინილადა  
რალაც ძალიან ფაფუკი, ტკბილი.  
ალბათ შენ უკეთ გემასსოვრება ეს ყველაფერი –  
შენი პირველი ზაფხული ზღვაზე –  
როცა მეც უკან დამბარუნე ძველ სიყვარულთან –  
მორიგ ზღვისპირა შეგბულებასთან კი არა,  
ჩემს ძველ აღმოჩენასთან,  
რომ ნამდვილად ბედნიერი ქალაქები არის ზღვიან  
რა თქმა უნდა, გემასსოვრება.  
მაგრამ გქონდეს ეს ჩახვეული, ჭრელი ნიჟარაც –  
მოლაპარაკე სუვენირი –  
ამ დღეებზე რომ ყვება და ყვება.



სწორედ იქ, სადაც რუტინის ძაფი – კანის ქსოვილში ჩაკერებული – რღვევას იწყებს და სიყვარული თავის დასასრულს უახლოვდება, ერთმანეთის სიშიშველზე ვფოკუსირდებით; ჩვენი თვალები, როგორც ლუბები, შეუდგებიან ნაოჭებშუა ნაპრალების არაზომიერ თვალიერებას, ზოგი ნაპრალი ნაგვით სავსეა, ზოგი – სიტყვებით, ვერასდროს რომ ვერ დავალაგეთ წინადადებად

სწორედ იქ, სადაც სიყვარულის გლუვი ოვალი მრუდდება და ხდება ტეხილი, ვარსკვლავები ათასი წვრილმანივით ლაგდებიან ცის ზურგჩანთაში, და ჩვენ ვინყებთ უცხო მხარეში არაზომიერ მოგზაურობას; სადმე გზას თუ გადავუხვით, როგორც ეს ტეხილს ახასიათებს, ზურგჩანთიდან ვარსკვლავები ამოგვძახიან, მყარად დაუადგათ მინაზე ფეხი და მორიგი გასაჭირისას, ზურგებსშუკან მოვისროლით თითო წვრილმანი

სწორედ იქ, სადაც ჩვენ ორს შორის ისე სქელდება ჰაერი, როგორც ძველი მანქანის გამონაბოლქვი, მხრიდან მსუბუქად ჩამოვისხნით მძიმე პალტოებს, და ელასტიურ სპორტულ კოსტუმებში გადაცმული, ველოსიპედებს მივაქანებთ არაზომიერ ველობილიკზე; პედლის ყოველი დატრიალება გვაახლოებს იმ სახლს, რომელიც უკან კი არ დაგვრჩენია, თურმე უნდა აღმოვაჩინოთ ჩვენი უღრანი სხეულის ტყეში

სწორედ იქ, სადაც ერთმანეთზე დასაზუთხი აღარაფერი დაგვრჩენია და მკვდარი სკოლის მასწავლებლები ძველ საკლასო ოთახებში ისევ ისე მიდი-მოდიან, ერთმანეთისკენ ზურგშექცეულნი, არაზომიერ სვლას ვაგრძელებთ, სანამ იქ, სადაც დასასრული აქვს ყველა დასაწყისს, ჩვენს ზურგებზე გადაჭიმული ხერხემლების ორი ზამბარა ერთმანეთს არ შეენარცხება

**იყო და არა იყო**

კაცმა ონკანი ფრთხილად მოუშვა.  
წყლის ნაცვლად ორთქლი გამოვიდა  
(იფიქრა, ალბათ ცოლის სული იყო).  
მერე გრძელი თმები გამოცურდა.  
ვერაფრით შეცდებოდა:  
ცოლის ოდნავ ტალღოვანი ყლალი თმა,  
ხმარობდა სპეციფიკურ სუნამოს.  
ის კი სისხლიანი ხელების დაბანას ცდილობდა.  
რატომ მომკალი? – შეეკითხა ქალი, – რატომ მომკალი?  
– შურისძიება არც მიფიქრია,  
ერთად ყოფნის ოციოდე წელიწადი  
– განელილი რეზინი დროის –  
ერთ წამში განყდა, – ხმადაბლა თქვა კაცმა.

აბაზანიდან წყლის ხმა ისმოდა.  
კაცი გაუნძრევლად იდგა და ონკანს მიშტერებოდა.  
– აქ რას აკეთებ ამდენი ხანი? – ჰკითხა ქალმა.  
– თითქოს ხელებს ვიბან, – თქვა კაცმა და  
ცოლის ყლალ, ოდნავ ტალღოვან თმას შეხედა.  
– დაიბანე, რალას უცდი, გვაგვიანდება, –  
თბილი მზერა შეაგება.  
– რამდენი ხანია, რაც ერთადა ვართ? – იკითხა კაცმა.  
– ივა მალე 17-ის ხდება,  
და 3-ს თუ კიდევ დავუმატებთ, – 20 წელი, –  
სწრაფად დათვალა ქალმა და  
გაიყოლა სპეციფიკური სუნამოს სუნი.



ქალი:  
 „არასოდეს მყვარებია უქმე დღეები,  
 სახლის ლაგება, საყიდლები,  
 რუტინული რესტორანი საერთო მეგობრებთან ერთად,  
 ქაქანი და უაზრო აურზაური...  
 მაგრამ მას შემდეგ, რაც ქმარმა მომკლა,  
 ყველაფერი შეიცვალა.

თითქოს **გვერდით ვეჯდე**,  
**ჩემი ქმარი** საათობით მესაუბრება,  
 თავის საყვარელს ჩამომორდა  
 და ჩემს საყვარელს დაუახლოვდა.  
 სახლში აკითხავს, ერთად სვამენ,  
 და სულ ჩემზე ეკითხება:  
**სექსზე, გემოვნებაზე, პრიორიტეტებზე...**

**ჩანს, დამეგობრდნენ.**  
 ამბობს, რომ თავიდან აღმომაჩინა.  
 მგონი, ბერდება ჩემი ქმარი.“

**ნარილი მებობარს**

აი, ასე! დანის წვერზე ალესილი ყველა სასვენი ნიშანი და ბოლო წერტილიც დავაგვირისტე.  
 აი, ასე! რომ წაიკითხავ, გულზე მოგხვდება, გაბრაზდები, და შეიძლება, შემიძულო. ეს ნაკლებად მაღელვ  
 ახლა. მთავარია, ისე გეტყინოს, რომ დამინახო, ისე განრისხდე, რომ ხელებში რაც კი მოგყვება, ყველაფ  
 ჩემკენ ისროლო. მომიახლოვდე, სილის განვნა მოინდომო. რა თქმა უნდა, მე დაგასწრებ, ხელს დაგიგრ  
 როგორც უგრეხენ გოგოებს ხელებს. მე ხომ კაცი ვარ და შენზე ათჯერ მეტი ძალა მაქვს. რატომ იცინი  
 მეთანხმები? მოდი, მაშინ ვივარჯიშოთ სილის განვნაში. ჰო, აი, ასე!  
 შენს ხელნაწერ ნოტებს როცა შევაველე მზერა, მაშინვე რალაც სხვა შევიგრძენი. ის, რაც არასდროს დამინახ  
 რამაც დამაფრა: ჰარმონიასთან დისჰარმონია – ერთი სხეულის ორი ფეხი... ნაბიჯების მონაცვლეობა და  
 და ლამის აჩქარებულ მუსიკას ჰგავდა! თითქოს თითები ერთდროულად შებინდების და განთიადის პულ  
 მეჭირა. მაგრამ შენთვის ამის ცოდნა რა საჭიროა? მასის ერთი მოძრაობით ამოვშალე სენტიმენტები. ვს  
 მყარად, დამაჯერებლად, მოვიშველიე არგუმენტები. ასოები – ყველა სიტყვაში – წერტილოვანი დარტყ  
 იყო, და მომდევნო წინადადება გასხეპილი მათრახივით დაშხუილებდა... რა უნდა მექნა, ნოტებს როდ  
 ვკითხულობდი, საკუთარი გულისძგერა ისე შემძულდა, თითქოს ვერ ერეოდა სისხლის ნაკადებს!..  
 ჰო, აი, ასე! დანის წვერზე ალესილი ყველა სასვენი ნიშანი და ბოლო წერტილიც დავაგვირისტე... მთავარ  
 ისე გეტყინოს, რომ დამინახო, როგორც მე თვითონ გიყურებდი ნოტების მიღმა!

**ცივი შხაპი**

მიგიხვდი.  
 როლებად კი არ იშლები, – იმპროვიზდები როლებად:  
 სხვადასხვაგვარი მამა ხარ, სხვადასხვაგვარი – ქმარი, მეგობარი, საყვარელი, პოეტი...  
 იგივე ითქმის შენს დაუსრულებლად კუთხოვან სახეზე.  
 რა ვუპასუხო ჩემს სიყვარულს, ისარივით ერთი მიმართულებით მოძრავს?  
 რამდენჯერაც მოგიახლოვდა, აგრძნობინე, რომ შუშის კედელი არსებობდა,  
 დიახ, შუშის და არა ბეტონის და მხოლოდ მზერის უფლება დაუტოვე...  
 ისარივით სწორხაზოვნად ვმოძრაობდი და შუშის კედელთან  
 შენი კუთხოვანი სახის შესწავლა გადავწყვიტე.  
 თავდაპირველად, სხვადასხვაგვარ საყვარელზე დავინყე წერა:

რადგან ამ როლში ყველაზე მეტად მაინტერესებდი.  
ნერის დროს თანდათან გამოიკვეთა,  
როდისა მაქსიმალურ თანხვედრაში შენი შეხება შენს გრძნობებთან,  
როგორ გიეცავს და გიშლის სხეულს სხვისი სხეულის ტალღები,  
რატომ გარდაისახება შენი მოქნილკუდიანი და გრძელფარფლებიანი ოქროს თევზი  
კბილბაღისი ზვიგენად, ან კამბალად, ანდა ისევ – მოლივილივე ოქროს თევზად...  
თვლით განუწყვეტლივ ვზომავდი მანძილს შუშის კედლიდან შენამდე.  
იგი ხან მცირდებოდა და ხან იზრდებოდა, გამომდინარე იქიდან,  
თუ რომელ როლს იმპროვიზებდი მოცემულ მომენტში...  
მერე სხვადასხვაგვარ ქმარზე დავნერე –  
ცოლქმრობის დაკეტილი კარის მიღმა არსებული სამყარო,  
სადაც ნებისმიერი მესამე ბოქლომის მოვალეობას ასრულებს...  
ამბის ბოლოს პოეტს მივადექი. ეს ყველაზე ადვილი და რთული აღმოჩნდა,  
რადგან ყველა იმ როლს ირეკლავდა, რაზეც მანამდე ბევრი ვნერე,  
და თითოეულზე გაცილებით მალლა იდგა თავის სათქმელით.  
მანძილი შუშის კედლიდან შენამდე კვლავ იცვლებოდა...  
უცვლელი იყო მხოლოდ მანძილი ჩემიდან კედლამდე...  
როცა დავასრულე, ფურცლები უსიტყვოდ ხელში მოგაჩეჩე.  
მაშინვე მზერაჩაჩრილმა დაიწყე კითხვა, ხელი ფურცლავდა სწრაფად და რიტმულად.  
როცა უკანასკნელი გვერდიც ჩაამთავრე, ჩემ წინ მდგარმა კაცმა  
ყველა როლი იმ ფურცლებივით მოაფრიალა  
და ისრის მიზანსწრაფვით შემოლენა შუშის კედელი...  
მაგრამ მანძილი ჩემიდან კედლამდე ისევ ისევ უცვლელი დარჩა.  
მხოლოდ ვგრძნობდი, როგორ იშლებოდა სიყვარული იმპროვიზებულ წვეთებად,  
რომლებიც ისარივით ერთი მიმართულებით კი არ მოძრაობდნენ, –  
ცივი შხაპივით ეცემოდნენ ჩემს სხეულზე,  
ისხლიტებოდნენ და იფანტებოდნენ სხვადასხვა მხარეს...

## აკვირება

ვერ გამოვიცა მაინც,  
რატომ ვეჭვიანობ გარდაცვლილ ქალზე,  
ქმარს რომ უყვარდა  
ჩვენ შეხვედრამდე დიდი ხნით ადრე...  
შე-თეთრ ფოტოზე ორივე ერთად ვნახე  
და თვალში ჩამებეჭდა:

დახრილი პროფილები დაუჩინებთ იმზირებიან,  
ნატიფი თითები სათუთად ერთმანეთს ეხებიან,  
თითქოს ორივეს ეშინია,  
რომ არ გაქრეს ერთ-ერთი უეცრად...

ვერ გამოვიცა მაინც, რატომ ვეჭვიანობ  
აღარარსებულ სიყვარულზე, დამცხრალ ვნებაზე...  
განა იმიტომ, რომ (ვიმეორებ)  
განუგებებელია  
განუგებებელია  
როგორც დღეების გამოძენილ ტანსაცმელზე მიბნეული  
სიყვარულის ერთადერთი ძვირფასი ლილი?

## შეხების წერილი

ერთი შეხების წერილი გვაქვს:  
სიძულვილი და სიყვარული.

გვძულს

როცა მოვლენების პრიალა კანია გაღმერთებული,  
და არავის აინტერესებს,  
როგორ მოძრაობს სისხლი კანქვეშა ქსოვილებში;

როცა დროის თითოეული მარცვალი  
არ ხდება ქვა სახლის კედელში;

როცა კანონი უკარო საკანია,  
რადგან თავისუფლება ხდება მირაჟი;

როცა ორი პოლუსი – პლიუსი და მინუსი –  
შუა გზაზე შეჯახებისას ერთმანეთში განზავდება  
და საშუალებდა;

როცა ძვირფასი ხელნაწერები შენ თვალწინ იწვის:  
არ ეწევი მწარე სიგარეტს, არ ამზადებ წყევლის სანებელს,  
არ იწნავ ნაწნავს ყელზე შემოსახვევად;

როცა ირღვევა საკრალური ზღვარი ჩვენ შორის და  
მინიმუმ, ერთი ჩვენგანი ხდება ემიგრანტი  
საკუთარ სამშობლოში, საკუთარ სახლში, საკუთარ თავში;

როცა დიდი ხნის განმავლობაში ორ ადამიანს შორის  
ზუსტად ერთი და იგივე მანძილია;

როცა შენ ჩემს ვენებს ისე სჭირდები,  
როგორც ერთი მილიმეტრი სამართებლამდე...

.....  
სიყვარულზე წერა უსისხლოდ არ ღირს.  
საიდანაც გვძულს, იმავე წერტილიდან გვიყვარს.



\* \* \*

ყოველდღე გიმზერ შუშის მიღმა –  
აკვარიუმში,  
განვდი ჟანგბადის ბურთულაკებს,  
გიყრი საკვებს,  
შენი უენო ენა ვისწავლე,  
მღუშარედ ვალებ პირს და  
ჰაერის ნაკადს ვუშვებ ორთქლივით...  
მერე რა, რომ იყო ისტორია  
ჩვენი ერთად ყოფნის  
სხვა წარსულში,  
ახლა კი, დღესაც, და ალბათ ხვალაც  
მხოლოდ ასეთი წრფე გაგრძელდება  
უენობის,  
თითქოს ფურცელზე ხაზი გავავლეთ,  
შენ ხაზს იქით ხარ...



# 4 პროზა

## 8.2.1

### ჯაბა ზარქუა

1.

შუშის ხიდი ალბათ იდეალური ადგილია თბილისში თვითმკვლელობისთვის. ბრჭყვიალა და უგემოვნო კაზინო „შანგრილასთვის“ ტყუილად როდი შეერჩიათ ესოდენ მიზმიდველი ანტურაჟი. გამოხვალ შენთვის შუალამით, წაგეზული და განზილებული და ვუაღა – ააბოტეც მანათობელ ხიდზე, მიაღწე მის შუანელს, მოსწეე უკანასკნელ ღერს და აყროლებულ მტკვარში გადაშვების წინ აუცილებლად დატყებები თბილისის ულამაზესი ხედებით. იქით პრეზიდენტის სასახლე, აქეთ საპატრიარქო... არა, მაინცდამაინც საპატრიარქო არაფერში გამოგადგება ამ დროს, რადგან რელიგიური უკვდავების იმედი თვითმკვლელს ნაკლებად თუ გექნება, მაგრამ მერე რა! ვინ დაეძებს რელიგიურ უკვდავებას გაგანია XXI საუკუნეში – ციფრული უკვდავების ეპოქაში. ღმერთმა დალოცოს iPhone 6-ის მეგაპიქსელები და ცნობისმოყვარე ტურისტები, რომლებიც აუცილებლად მომართავენ თავიანთ ტელეფონებს ლამის ხედვის რეჟიმზე და შენს ბოლო ნაბიჯს მაღალი ხარისხით გადაიღებენ. საინტერესოა, რა სათაურით მოათავსებენ მასალას Youtube-ზე, მაგრამ დიდი მნიშვნელობა ამას არც აქვს იმიტომ, რომ რაც არ უნდა დაარქვან სახელად, თუნდაც, „ჯამლეტ ხუხაშვილის TOP 10“, საკმარისზე მეტ ნახევს მაინც დააგროვებს და უცბადვე გახდება პოპულარული. ადმინისტრატორები ალბათ არც წაშლიან ამ ვიდეოს და ტრადიციული რელიგიების მიერ შერისხულ თვითმკვლელს ციფრული მარადისობის კარებს გაუღებენ.

სულ არ ფიქრობდა ამ ყველაფერზე ზაზა, როცა კაზინოში აპარატებთან ხურდებოდა და რულეტკასთან გადამწყვეტი ბრძოლისთვის ემზადებოდა. არც ცოლზე და ცხრა შვილზე ფიქრობდა. არც შუშის ხიდსა და პრეზიდენტის სასახლეზე. მით უმეტეს, კრედიტ ოფიცერი ბექა არ გახსენებია, რომელმაც გუშინ დაუმტკიცა სამომხმარებლო სესხი 12 ათასი დოლარის ოდენობით.

2.

ბექა და მისი ხუთი თანამშრომელი „სტელა არტუაში“ ისხდნენ და ხინკალს შეექცეოდნენ მაღიანად. ყოველ შემთხვევაში, ის ხუთი ნამდვილად მაღიანად შეექცეოდა და ბექაზე კი იგივეს დანამდვილებით ვერ იტყოდა კაცი. მგონი, ეს მის სახეზეც იკითხებოდა. მაღლობა ღმერთს, რომ ხინკლის ორთქლით თვალდაბინდული თანამესუფრეები მის სახეს წესიერად ვერ არჩევდნენ.


კარგია, როცა ხელფასი ემთხვევა პარასკევს. ცუდია, როცა სამი ბიჭი და ხუთი გოგო მიდიხართ გასართობად და ბოლოს მარტო რჩები გოგოების ანაბარა. უფრო თუ დაეკონკრეტდები, ცუდი ისაა, რომ ამ ხუთიდან ერთი გოგო მოგწონს და მგონი, გიყვარს კიდევ, დანარჩენები კი, იძულებული ხარ, აიტანო. ამაზე უფრო ცუდი ისაა, რომ გოგოები ხინკლის ფულს არ გადაიხდიან და ბევრს შეჭამენ. მთლად უარესია, რომ ხინკალი არაფრად ვარგა, როგორც თბილისის სახინკლეების უმეტესობაში. ხელზე ასალები ხელფასი, 980 ლარი ხომ თითქოს კარგია დღევანდელი სოციალური ფონის გათვალისწინებით, მაგრამ ცუდია, რომ პირველ დღეს, იძულებული ხარ, 300 ლარი გაისროლო. მაგრამ ეს ყველაფერი, რაც ჩამოვთვალეთ, არაფერია თიკოსთან შედარებით, რომელიც ყველაზე უარესია, რადგან ღორივით მთვრალია, ხინკლის წვესს ხმაურით ხვრებს და არაყს ითხოვს წინაპრების სადღეგრძელოს დასაღვეად – ძალიან ხმამაღლა. თუმცა, ასე ხელალებითაც ვერ ვიმსჯელებთ თიკოზე, რადგან მისი უგვანი გარეგნობის და ყოვლად არამიზმიდველი ქცევის

წყალობით ბექას გოგონებისგან მამაკაცების მოგერიება არ უნევეს, რადგან არავის სურს იმ სუფრასთან გაკარება, სადაც თიკოსნაირი გოგო ზის. არადა, თავისუფლად შეიძლება და რამდენიმე ჩხუბი უკვე მოსვლოდა ბექას ეკას გამო, რომელიც უყვარს და რომელსაც ძალიან ღრმა დეკოლტე აცვია ამ შუალამით, შუა თბილისში. ჰო, არც ისე ცუდი გამოდგა თიკო და კიდევ ერთხელ დაგვიმტკიცა, რომ ადამიანზე სერიოზული დასკვნების გაკეთება მხოლოდ ერთი შეხედვით არ შეიძლება.

გადასახდელი ანგარიშის გარდა ბექა ბონუსების სისტემაზეც ფიქრობს. ნოემბრის ბოლოა - საახალწლოდ, გაცემული სესხების მიხედვით, ბონუსი უნდა ჩაერიცხოს. ოღონდ იმ პირობით, რომ არცერთი სესხი არ გაუპრობლემდება. ნუ, ერთის გარდა, მაგრამ ის ცალკე თემაა, ის უნდა გაპრობლემდეს ზუსტადაც, ასეთია დავალება ზემოდან, ამაზე მოგვიანებით ვიტყვით. ბექა იხსენებს პორტფელს და დარწმუნებულია, რომ ყველა სესხი სწორად აქვს გაცემული. ოცნების კოშკების წინასწარ აშენება არ უნდა, მაგრამ მაინც ვერ გაუზრბის მოსალოდნელ 750 ლარზე ფიქრს, რომლითაც ეკას ფუნიკულიორის ძვირფას რესტორანში აიყვანს და რომანტიული საღამოს შემდეგ სიყვარულსა იქვე აუხსნის. მათი შემხედვარე შუა ხნის ვაკელი მდიდარი ქალები კი იტყვიან, რომ ძალიან საყვარელი წყვილია. ეს ყველაფერი მოხდება ახალ წლამდე, 25 რიცხვში. ვინცობაა და გოგოსგან თანხმობა მიიღოს, მთელს მომდევნო ახალ წლებს შინაურულ გარემოში, ახალ „შეყვარებულთან“ ერთად გაატარებს და იქნება ბედნიერი უკუნითი უკუნისამდე, სანამ ეკა არ უღალატებს. ან კი რატომ უნდა უღალატოს, თუ ეყვარება, მაგრამ ეს რთული თემაა და ამაზე ფიქრი ბექას სულაც არ სურს ამჯერად.

### 3.

ბევრ რამეს ვერ ხვდებოდა ზაზა იმ ღამეს. პირველ რიგში იმას, თუ როგორ მოახერხა 2 ათასი დოლარის წაგება რაღაც უაზრო აპარატზე. არა, განა ფულს ჩიოდა, უბრალოდ, ვერ მიხვდა, რა პროგრამა იყო ასეთი ამ აპარატში, რომ მთელი 150 სვლა (ყოველთვის ითვლიდა ხოლმე სვლებს, ეგონა, რომ ასე უფრო აკონტროლებდა თამაშის მიმდინარეობას) ერთხელ არ დაჯდა „ნიგნები“. „ნიგნები“ ბონუსი იყო ერთგვარი ანუ ათი უფასო დატრი-



ალბა - ფულს არ დებ ათი სვლის განმავლობაში და მოგებით კი შეიძლება მოიგო, მშვენიერია. ყოველთვის ახსოვდა რომ ერთხელ სწორედ ამ თამაშში მოიგო უკანასკნელი ათწლიანობით 1580 ლარი „ნიგნების“ წყალობით. მოუტანა, მაგრამ რა მოუტანა! არადა, არ დაუმთავრა უფასო სვლები, ბონუსებში კიდევ ბონუსებს უსვამდა, ნამდვილი საოცრება იყო ახლა კი იჯდა და გაზრდილი ფსონით ცდილობდა იგივენაირ ბონუსის დაჭერას. აკი დაიჭირა კიდევ ნანატრი „ნიგნები“ მაგრამ რად გინდა - 10 ნაჩუქარი სვლიდან მხოლოდ სამი გამოდგა მომგებიანი და ისიც მინიმალური თანხა, 50 ლარი თუ რაღაც მსგავსი. ასე რომ, ეს „ნიგნები“ სათვალავი ჩასაგდებიც არ იყო. ზაზა ფიქრობდა, რომ ამ ცუდი ბონუსის მერე, აუცილებლად კარგი და გრანდიოზული მოვიდოდა მაგრამ თქვენც არ მოუკვდეთ - 2 ათასი დოლარი წაგება შემდეგლა მიხვდა, რომ ამ სისუფელისთვის დროზე უნდა დაენებებინა თავი, რადგან რულეტკისთვის გადანახტავი მორზდილი კუშის აქ გაფლანგვა საშინელი იმედგაცრუებელი იქნებოდა. რა დროს აპარატი და „ნიგნები“ იყო, როცა მისი ცხოვრების ვატერლოო ან, გნებავთ - დიდგორი ელლო

ცინიკური სახით მიატოვა აპარატი, როგორც წაგება მოთამაშეებს სჩვევიათ ხოლმე (გეგონება აპარატს გულს ახლოს მიჭიონდეს მათი აგდებული დამოკიდებულება). ბართან მივიდა სულის მოსათქმელად, როგორც დაღლილი ნაპოლეონი გადამწყვეტი ბრძოლის წინ ან სულაც და აღმაშენებელი. ორი ჭიქა ვისკი გამოსცალა ნახევარ საათის ხუთი ღერი ნითელი „მაღბორო“ მონია და გაემართა მდგარი „TBC“ ბანკის ბანკომატისკენ. სანამ ჯიბიდან ათასი აცურებდა, წინ მთელმა ცხოვრებამ გაუზრბინა კადრე კადრებად რა, ახლა, სულ რამდენიმე კადრი იყო, მაგრამ მაინც. კიდევ ბევრჯერ გაუზრბინა თვალწინ ცხოვრება ღამით, უფრო ზუსტებით თუ ვიქნებით - 5-ჯერ.

ბევრ რამეს ვერ ხვდებოდა-მეთქი ზაზა იმ ღამეს, უკვე ვახსენეთ ზემოთ. როცა ფული გაანაღდა, ვერც იმას ვედა, ბანკომატში ამდენი თანხა რატომ იდო და ვერც მას საიდან ჰქონდა ამხელა თანხაზე წვდომა. არა, კი ზუსტად იცოდა საიდანაც - გუმინდელი დღესავით ახსოვდა გუმინ-

ლო დღე, როცა TBC ბანკში მივიდა, განაცხადი შევსო სამომხმარებლო სესხზე და დადებითი პასუხი ნახევარ საათში შეიტყო. ეს კი ახსოვდა, მაგრამ იმას ვერ ხვდებოდა, თუ რატომ მიიღო დადებითი პასუხი ადამიანმა, რომელსაც სახლი მშენებელი ცხრა შვილი და არანაკლებ მშენი ცოლი ელოდა, მუშაობდა მატარებლის მენეჯერად საბურთალოს ხაზზე და ხელფასი ჰქონდა 500 ლარის ოდენობით ყოველთვიურად. ასეთი ისტორიით დადებითი პასუხს საკუთარი ნებით დანერვილ, სამსახურიდან გაათავისუფლების განაცხადებაზე თუ მიიღებდა მხოლოდ, თორემ ბანკში და თან ამხელა თანხის მოთხოვნაზე? საერთოდ, როგორ გაბედა ბანკში მისვლა, როგორ გაუელვა თავში ამ მკრეხელურმა აზრმა? რაღაც საოცრება ხდებოდა ზაზას თავს, თუმცა, ამ „საოცრებებზე“ დიდხანს ფიქრით ტვინი არ დაუღლია, რადგან წინ რულეტკა ელოდა.

4.

მინც რა საზიზღარი ვინმე გახლდათ ეს თიკო, „ნატახტარის“ ლუდის კათხით ცალ ხელში, მეორეში – არყის ჭიქით, პირში კი მთიულური ხინკლის კუჭით, რომელსაც კევივით ზნატად და ნება-ნება ღეჭავდა.

– კუჭიანად მიყვარს. – ლულულულებდა და უკანასკნელ ლუკმას მძიმედ უძახებდა საყლაპავში.

ბექა ვერ ხვდებოდა, როგორ ედაქალე-ბოდნენ ამ არსებას დანარჩენები და როგორ არ რცხვენოდათ მასთან ერთად სადმე გამოჩენის. ერთადერთი მიზეზი ალბათ ის თუ იქნებოდა, რომ თიკოს ადამიანების გვერდში დგომა და გამხნეება შეეძლო. ხომ არ სებობდნენ ისეთი კატეგორიის ადამიანები, რომლებიც თავს მოვალედ თვლიდნენ, რომ ნებისმიერს ბოლომდე დახმარებოდნენ ნებისმიერი გაჭირვების უამს და ალბათ ასეთი თუ იქნებოდა თიკოც. აკი, ერთხელ ბექასაც წაეხმარა, როცა ხელფასამდე 100 ლარი ასესხა და მიზეზი არც უკითხავს. იმ ასი ლარით კი ბექა ეკას წაყვანას აპირებდა კაფეში და წესიერად გაცნობას, მაგრამ ყველაფერი ისე არ გამოვიდა, როგორც გეგმავდა და შედეგად ის საღამო ბექამ ეკასთან, მის სამ დაქალთან და თავის ორ ძმაცაცთან ერთად გაატარა სახინკლეში. თუმცა, აბა ეს ყველაფერი თიკოს რა ბრალი იყო? მეორე მიზეზი მასთან გოგონების მეგობრობისა ალბათ თიკოს სიმახინჯე გახლდათ.

ყველა გოგოს სჭირდება გვერდით ერთი ანტიქალური არსება საკუთარი ქალურობის ხაზგასასმელად.

– სჯობს დავიშალოთ, სახლიდან მირეკავენ, შემიჭამეს, – თქვა ეკამ, ბექას თვალი ჩაუკრა იმის ნიშნად, რომ თიკოს დაოკებას საკუთარ თავზე იღებდა და არყის ჭიქა ხელიდან გამოეღო მთვრალ დაქალს. – აბა, გაგვიმარჯოს. – თქვა და გადაკრა სულმოუთქმელად. გასვლის წინ აკეთებენ ხოლმე ასე.

– ანგარიში, თუ შეიძლება. – დაიძახა ბექამ და შარვლის უკანა ჯიბიდან საფულე ამოაძვრინა. ალბათ ახლა ატყდებოდა ნაძალადევი ძიძგილაობა და განეც-გამოწევა საფულეებისკენ, მაგრამ საბოლოო ჯამში მინც ბექა გადაიხდიდა საფასურს. ალბათ მიიღებდა კომპლიმენტებს და განითვლებოდა. ყველანაირი სტანდარტული სცენარისთვის მზად იყო ბექა ფსიქოლოგიურად, მხოლოდ იმას არ ელოდა, რაც მოხდა:

– სახლში გამაცილებ? – ყურში ჩასჩურჩულა ეკამ და არყიანი ცხელი ოხშივარით კეფა აუხურა.

– რა თქმა უნდა. – ამოილულულა მორჩილად და ანგარიშისთვის ყურადღებაც არ მიუქცევია, ისე დადო თანხა ლანგარზე. კარგა ოცი ლარი ერგებოდა ხურდად, რასაც სხვა შემთხვევაში არას დიდებით არ დატოვებდა, მაგრამ ახლა ისე აფორიაქებულიყო, ერთი სული ჰქონდა, როდის მიმოფანტავდა გოგოებს და ეკასთან ერთი-ერთზე დარჩებოდა.

5.

ზაზაზე უარესად რულეტკას ალბათ მხოლოდ ბებიამისის დედა თუ ითამაშებდა, რომელიც არაბულ ციფრებს საერთოდ ვერ სცნობდა და პრინციპში, არც ქართულ ანბანში იყო ძლიერი მანცვლამანც. თუმცა, რაც მართალია, მართალია – ულამაზესი ქალი კი ყოფილა ახალგაზრდობისას.

თურმე ნუ იტყვიან და, 1899 წელს რომ კნუტ ჰამსუნის თბილისში სტუმრად ყოფილა ჩამოსული და სასტუმრო „ლონდონში“ ატარებდა დროს თავის უცნობ და ულამაზეს საყვარელთან ერთად, იმ ნომრის დამლაგებელი ზაზას დიდი ბებია ყოფილა. როცა დაბერდა და ჭკუა საერთოდ გამოეცალა, მერედა მოალო პირი და ალაპარაკდა გარყვნილი მოხუცი. ამტიკცებდა, ერთი ღამე მეც გამიტარებია იმ ნორვეგიელ კაცთან და მის პირმშვენიერ კნენასთან ერთადო. რამდენად დაეჯერებოდა ამ ნათქვამს, კაცმა არ იცის. ფაქტი კი იყო, რომ ზაზა თავის ცხრა შვილთან ერთად ათონელის 31-ში ცხოვრობდა დღემდე. შენობაზე დატანილი მემორიალური დაფა გამცნობდათ, რომ აქ ოდესღაც მართლაც დაესვენა ცნობილ ნორვეგიელ მწერალს, კნუტ ჰამსუნს. ტურისტებისთვის ალბათ ბევრად მიმზიდველი იქნებოდა მემორიალური დაფის მშრალი, სტანდარტული ტექსტის ნაცვლად, ზაზას დიდი ბუბის მონაყოლი უხამსობები ყოფილიყო, მაგრამ აბა, ამას ვინ გაბედავდა. სანყალმა ქალმა სიცოცხლის ბოლოს ისე გარეკა, რომ ამტიკცებდა, ზაზას ბაბუა კნუტისგან (ჰო, ესეც საინტერესო ამბავი იყო. სანყალს ეგონა, რომ მოფერებით ეძახდა ასე, იმ ღამით ალერსის დროს, და მწერალ-



- რა „ვაა“?

ბექა მიხვდა, რომ არაფერი არ იყო შესაგზავნებელი და ეს „ვაა“ უფრო იმას თუ ნიშნავდა, რომ დიალოგი ჩიხში შესულიყო. იცოდა, რომ უინტერესო მოსაუბრე გახლდათ და ნლებია, შეგუებოდა ამ მოცემულობას. ზოგჯერ კი ეშლებოდა ნერვები ამის გამო, მაგრამ აბა, რას გაანწყობდა? რაც იყო, ეგ იყო. აი, ახლა, მაგალითად, რა გააკეთა:

- არაფერი, ჩემი მეგობარია დაბადებული ზუსტად მაგ დღეს, 14 აგვისტოს. გიორგა.

სულელი არ იყო ახლა? მოახერხა ისევე და საუბრის გასაგრძელებლად ყველაზე უინტერესო ვარიანტი შეარჩია. ამას სჯობდა ეთქვა, რომ მისი საყვარელი კრიკეტის მოთამაშის დაბადების დღე იყო 14-ში. განა ბევრი ბიჭი იქნებოდა თბილისში, რომელსაც საყვარელი კრიკეტის მოთამაშე ეყოლებოდა და, მით უმეტეს, მისი დაბადების დღე ეცოდინებოდა? ინდუსებს თუ არ ჩავთვლით, ცხადია. სამაგიეროდ, ნამდვილად ბევრი ბიჭი იქნებოდა თბილისში, რომელსაც მეგობარი გიორგა ჰყავდა, ან, გნებავთ, გიო, ან სულაც, გიორგი, გიუშაც შეიძლება - რა მნიშვნელობა ჰქონდა. არანაირი! ბექამ გაცნობიერა, რომ მის სიტყვებს არასდროს არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონია. იქნებ ცხოვრებასაც? შეიძლება, ასეც ყოფილიყო. რა მნიშვნელობა ჰქონდა მის ცხოვრებას? მსოფლიოსთვის არანაირი, ცხადია. არც ევროპისთვის. არც საქართველოსთვის. არც თბილისისთვის. არც საბურთალოსთვის და მეტიც - შეიძლება, მისი სანათესაოსთვისაც კი არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა, ბექა იარსებებდა თუ ვინმე გირშელი მის ადგილას. ბანკში ხშირად უმეორებდნენ, რომ შუუცვლელი კადრი არ არსებობდა. ცხოვრებაშიც ასე არ იყო განა? ბექა არ იყო შუუცვლელი კადრი არც აქ, არც იქ. ალბათ ვერც ვერასდროს გახდებოდა.

- ეს თიკო რა დამღლელია არა, ზოგჯერ?  
- აი, ყოჩაღ, მშვენიერი თემა აარჩია საუბრის ახალი ტალღის ნამოსანწყებად.

- ჩემი მეგობარია.

- ჯივარი კია, რაც მართალია, მართალია. უბრალოდ, როცა სვამს...

- აუ, მოიცა რა, არ მინდა ამ თემაზე შენთან ლაპარაკი. სხვა სალაპარაკო არ გვაქვს? სხვა სალაპარაკო კი აბა, საიდან უნდა ჰქონოდა ბექას?

- მგონია, რომ მოგწონვარ. - ეკა თა-

ვად გადავიდა შეტევაზე, რამაც ისედაც დათრგუნული ბექა უფრო დათრგუნა.

- ალბათ ბევრს მოსწონხარ. - ამოილულულა სანწყლად.

- ნამდვილად. დეპარტამენტში ყველა ბიჭი ერთსელ მაინც დამჩალიჩებია. - თავმოძნონედ უპასუხა ეკამ. - და მაკაც. - დასძინა მცირე პაუზის შემდეგ.

- რა? - თითქოს გათამამდა ბექა.

- ჰო, მეჩალიჩებოდა ერთი პერიოდი, ლეზბია მგონი.

- მერე?

- არ მომწონს გოგოები.

- აბა?

- რა აბა?

- ვინ მოგწონს-თქო, ვიგულისხმე.

- პტეროდაქტილები, ცხადია. - დაუფიქრებლად მიუგო ეკამ.

- ვინ? - ბექა მიხვდა, რომ ეკა მხოლოდ დაცინვის მიზნით გაჩერებულიყო მასთან ერთად.

- ბექა, იდიოტი ხარ მგონი. - გაეცინა ეკას.

- ბოდიში, ძალიან ცივა, დაღლილი ვარ და ვერ ვაზროვნებ.

- ჰო, ალბათ სიცვიც გამო ვერ აზროვნებ.

ბექა მიხვდა, რომ ბრძოლა წაეგო, თუმცა, ომი - ჯერ არა. სასწრაფოდ გააჩერა ტაქსი, ათლარიანი მისცა მძღოლს, ეკას უკან კარი გაუღო, ხელი დაუქნია და მანქანას თვალი გააყოლა.

„ეს გოგო ჩემია“, რატომღაც მაინცდამაინც ეს არაადეკვატური აზრი მოუვიდა თავში და მოჰყვა საახალწლოდ ასადები ბონუსის და ფუნიკულორის ძვირფას რესტორანში ეკას დაპატიუების გეგმის დაწყობას. ცოტათი გამხიარულდა. გულის სიღრმეშიც არ დაუშვია სანწყალს, რომ იქნება და მართლა იდიოტი იყო. ჯიუტად სწამდა, რომ ოღონდ ყველაფერი გეგმის მიხედვით ნასულყო და ეკა მისი გახდებოდა.

გოგო კი იჯდა ტაქსიში და ფიქრობდა, რომ მაკასთან მოსინჯვა ღირდა - არც ისე ეზიზღებოდა მგონი ქალის სხეული, როგორც ამას ხალხის გასაგონად ამბობდა.

## 7.

ოთხი ათასი დოლარი დარჩა ზაზას.

იჯდა მაგიდასთან და ნერვულად ყრიდა ფიშკებს იქით-აქეთ. მის გვერდით ბლანჟიანი თურქი მოთამაშე მოთავსებულიყო, აქეთ - მოხუცი ქალი და პირისპირ კი მათხოვარივით ჩაცმული შუახნის დამაკაცო, რომელიც ბოლო ფიშკებს აგებდა აშკარად. ზაზა სხვების ფსონებს უყურებდა და ისე დებდა საკუთარს. სადაც ყველაზე ცოტას დებდა, ის იგებდა როგორც წესი - ყოველთვის მინუსში იყო ანუ. სასაცილოც აღარ ერქვა უკვე იმას, რასაც ზაზა მაგიდასთან აკეთებდა.

სამი ათასი დოლარი დარჩა ზაზას.

თურქის ზურგსუკან ქერა გოგონა იდგა, რომელიც, დიდი ალბათობით, უკრაინელი მეძავი იყო. ფულიანი თურქები ხომ მეძავეების თანხლების გარეშე არასდროს თამაშობდნენ. უხ-

ერხულად და უადგილოდ ილიმოდა ეს გოგო აშკარად, თითქოს გაგნებაში არ იყო, რა თამაშს უყურებდა. ალბათ ახალბედა გახლდათ და გამოუცდელი. არა უშავს, დროთა განმავლობაში კი ისწავლიდა რულეტკის მაგიდასთან მოქცევის წესებს მისი ტუჩებისა და ტრაკის პატრონი. ყველა ყველაფერს ისწავლიდა ზაზას გარდა, რომელსაც ალბათ კიდევ სამი ცხოვრება დასჭირდებოდა იმის მისახვედრად, რომ რახან მისი უფროსი შვილი 17 რიცხვში დაბადებულიყო და უმცროსი კი 3-ში, ეს სულაც არ ნიშნავდა, რომ 20 ციფრისთვის სამი გაგორების მანძილზე თავი უნდა შეეკლა დიდი ფსონებით. არც 14-სთვის.

ორი ათასი დოლარი დარჩა ზაზას.

ის ფიქრობდა, რომ ყველაფერი გეგმის მიხედვით მიდიოდა და ეს ლამე აუცილებლად ტრიუმფით დასრულდებოდა, რადგან ბოლოში გაკეთებული ფსონი მოუტანდა უკანასკნელ მოგებას, რისი მეშვეობითაც იმ თორმეტი ათას დოლარს ხომ ამოიღებდა და ზემოდან კიდევ დარჩებოდა რამდენიმე ათასი. უეჭველად ასე უნდა მომხდარიყო, რადგან წაგებას აუცილებლად უნდა მოჰყოლოდა მოგება. ამისთვის კი ფსონების გაზრდა და ხანგრძლივი თამაში იყო საჭირო. დიდი ფსონები და გაჯიქებული მოთამაშე – პრინციპული ყოველთვის მოგებაში რჩებიან, რატომღაც ასე სჯეროდა ზაზას, რომელსაც ცხოვრებაში არანაირი პრინციპი აღარ შერჩენოდა. იმდენად სჯეროდა უკანასკნელი ფსონით მოგების, რომ ერთი სული ჰქონდა, როდის დაცლიდა ფულს, დადებდა უკანასკნელ მოზრდილ კუშს და დაელოდებოდა უეჭველად მომგებიან დატრიალებას. შეუძლებელი იყო სხვაგვარად, ასე ჰქონდა სცენარი განერილი.

ათასი დოლარი დარჩა ზაზას.

ჯიბიდან მობილური ამოაძვრინა და კალკულატორში რალაცის თვლას მოჰყვა. ასი დოლარით მოგება არ აწყობდა იმიტომ, რომ იგებდა სამი ათას ექვსასს. მას კი თორმეტი ათასი სჭირდებოდა ერთ მოგებაზე, აუცილებლად. არც ას ორმოცდაათი ვარგოდა რამედ. არც ორასი. აი, ორას ორმოცდაათი დოლარი უკვე რალაცას ჰგავდა. თუ გაარტყამდა ციფრს, ცხრა ათასს იგებდა, რასაც შემდეგ გაგორებაზე ნითელი-შავით გააორმაგებდა და დაასრულებდა ტრიუმფალურ სვლას. ოთხი შანსი ჰქონდა. პირველი იყო ცხრა, რომელიც წინა გაგორებაზე ამოსულიყო. ციფრები

ხომ ხშირად მეორდებოდნენ. ძლივს რალაც აზრი დაატანს ფსონის დადებას. რა გასაკვირია, რომ ამოვიდა თვრამეტი.

შვიდას ორმოცდაათი დოლარი დარჩა ზაზას.

დადო ოცდარვაზე. დღემუნდა წინა ჯერზე, რომ აზრი არ უნდა დაეტანებინა სვლებისთვის, რადგან არანაირი აზრი არ იდო თამაშში, ან თუ იდო, ის უეჭველი ვერ მიხედებოდა ამ აზრს, ერთი უბრალო მემანქანე საშუალო განათლებით ამიტომ ტვინის წყლუტვა კვლავ მკაცრად ალუკვთა საკუთარ თავს. ამოვიდა ცხრა.

ხუთასი დოლარი დარჩა ზაზას.

დახედა ფიშკებს და იფიქრა, რომ თუ მოგებაა, გინდა ორი გაგორება მითამაშო და გინდა ერთი, რა აზრი აქვს სჯობს ხუთასივე ერთად დაჯდო და პირდაპირ თვრამეტი ათასი დოლარი მოვიგო, რომ მერე ნითელი-შავის ვერაუკომბინაცია სათამაშო აღარ გამიხდესო. ასე უფრო ლოგიკურად ეჩვენებოდა – მისი სცენარის მიხედვით ეს უკანასკნელი ხუთასი დოლარი უნდა ყოფილიყო მომგებიანი. წინასწარ შეიპყრო კმაყოფილების განცდამ მომგებიანი ციფრის ტაბლოზე დანახვის წარმოდგენისას.

გადამწყვეტი პაუზა აიღო – ადგა, ვისკი ჩაბლუჯა სიგარეტს მოუკიდა, დინჯად ჩანდა ერთი ლერი, ბოლომდე გამოცალა ჭიქა და ერთიანზე მიაწოჩა ფიშკები. ფილმებზე ასეთ დროს ზერითი იგებდნენ ხოლმე, მაგრამ ეს ზაზას პრინციპებს ეწინააღმდეგებოდა – აკი, საკუთარ თავს სასტიკად აუკრძალა რაიმე აზრის დატანება თამაშზე. მაქსიმალურად შემთხვევითი ფსონის გაკეთება ენადა, მისი ქვეცნობის ფუნგლებიდან გამოქცეულის. ამაყად მოათავსა ფიშკები ერთიანზე და დაელოდა მოვლენების განვითარებას. ფსონების მიღება დასრულდა. რულეტკა დატრიალდა. ცხოვრებას კიდევ ერთხელ ჩაურბინა თვალწინ, აგერ უკვე მეოთხედ-მეორე და მესამე არ გვიხსენებია უბრალოდ.

ცხოვრება მეტისმეტად ბანალური აღმოჩნდა და ყველაფერი ჰოლოვიუდის სცენარით დაასრულა – ზერო! ზაზას ცინიკურად ჩაიცივნა, აკანკალებული ხელით უკანასკნელ ყლუში ვისკი გადაუშვა ხახაში, ახალ ლერს მოუკიდა, კიდევ ერთი ჭიქა გამოსცალა და გარეთ გავიდა.


კაზინოს წინ ტროტუარზე დაჯდა, თუმცა, დაელოდა თუ ვიტყოდით, უფრო დაემსგავსებოდა რეალობას, ჯიბეში რალაც მანქანებით აღმოჩენილი სასესხო ხელშეკრულებები გაშალა და კითხვას შეუდგა რატომღაც.

„8.2.1. მსესხებლის თვითმკვლელობის შემთხვევაში დატვირთული უძრავი ქონება რეალიზაციას არ ექვემდებარება მოციმციმე შუშის ხიდი მაცდურად ჭრიდა თვალსაჩინო ჭრელ ტანსაცმელში გამოწყობილი მეძავის მსგავსად.

8.

– ე, ე, მოიცა, რას აკეთებ, კაცო!

ბექამ ხიდის მოაჯირს მიღმა გადამძვრალი ადამიანის შენიშნა. აქამდე მსგავსი სცენა მხოლოდ ფილმებში თუ ენახა როგორც წესი, მოაჯირს მიღმა ადამიანებს პოლიციელებს



„ისტორია ჩემო მეგობარო, საქმე ისტორიაშია! – დღის ბოლოს კაბინეტში დაიბარა და ჭიქა ვისკიზეც დაპატიჟა. ბექაც გაუკანდიერდა. – საქმე იმაშია, რომ ჩვენს ბანკს მიზნად აქვს ისტორიის პრივატიზება. უფრო გასაგებად რომ გითხრა, ჩვენს ბანკს სურს თბილისის ყველა ისტორიული ნაგებობის ხელში ჩაგდება და ფილიალების გახსნა. განა ეს შენობა, სადაც ახლა ვიმყოფებით, ძველი ქარვასლა, ანუ იგივე საჯარო ცენტრი არ იყო? განა ეს ნაგებობები იმ დროის კომერციულ მუშაკებსა და ფულიან ხალხს არ ეკუთვნოდა? ასეა ჩემო... ჰმ, ბოდიში, რა გქვია? აჰმ, ბექა. ჰო, ასეა, ჩემო ბექა. ქალაქს ამოძრავებდა, ამოძრავებს და მომავალშიც ამოძრავებს კაპიტალი! ასეთია ისტორიული კანონზომიერება. „საქართველოს ბანკში“ იდიოტები არიან, უაზრობებში ხარჯავენ ფულს და საერთოდ ვერ ხვდებიან ისტორიულ კონტექსტსა და მისიას. ჩვენ კიდევ საუკუნო საქმეს ვეჭიდებით ამასობაში! ახლა ძალიან რომ არ გამიგრძელდეს, რატომ გიყვები ამას, იცი? მინდა, რომ იცოდე ის, რასაც ემსახურები იმიტომ, რომ აზრიანად მოემსახურო. მინდა იცოდე, რომ ემსახურები არა უბრალოდ კაპიტალს, როგორც ამას სხვა ნებისმიერი ბანკის თანამშრომლები აკეთებენ, არამედ იდეას! და ეს იდეა მდგომარეობს შემდეგში: ათონელის 31-ში მცხოვრები ყველა ოჯახი უნდა დატვირთო ისეთი სესხით, რომელსაც ვერასდროს გადაიხდიან. ვერასდროს, გესმის მეგობარო? სულ რაღაც ორიოდ წელიწადში ეგ უნიკალური შენობა ჩვენი უნდა გახდეს, სანამ დაუნგრევიათ ბოლომდე ამ ველურებს! ამას ახლა ხალხი ვერ გაგვიგებს სწორად, თორემ რომ დაუკვირდნენ და თავიანთი დაუანგებული ტვინები ამოძრავონ, მიხვდებიან, რომ ეს ყოველივე ისევ მათთვის კეთდება. იმ შენობას რესტავრაცია მის დღეებში არ ელირსება, თუ ვინმე სერიოზულად არ დაკავდა ამ საქმით. და ვინ იქნება ეს „ვინმე“, როგორ გგონია? სახელმწიფოს პირში წყალი აქვს დაგუბებული, ოღონდ ხალხი არ გააღიზიანოს და თუნდაც სვეტიცხოველში შესახლებულან ლტოლვილები. ეკლესიას კიდია ყველა ტიპის კულტურული მემკვიდრეობა, რაც ეკლესიასთან პირდაპირ კავშირში არ არის. „საქართველოს ბანკს“ კი კიდია ფულის დაბანდება ამ კუთხით და ბაზარზე ამ მხრივ პოზიციონირება. ვინ დარჩა? ცხადია, ჩვენ! ხალხი ითხოვს ჩვენგან კულტურის მოამაგეობას და ხალხისთვისვე იქნება უკეთესი, თუ იმ შენობაში ჩვენ ვიქნებით და არა მრავალშვილიანი, გაჭირვებული ოჯახები, რომლებსაც შენობის მოვლა კი არა, საკუთარი ბინძური და გაჭირვებული ტრაკების გამოხოცვა არ შეუძლიათ ხეირიანად. მეთანხმები, ბექა? განა ყველა ეპოქაში და ყველა ქვეყანაში კულტურას მდიდარი ხალხი არ პატრონობდა? მედიჩები გაიხსენე თუ გინდა და ზუბალაშვილები, თუ სარაჯიშვილები. გემოვნებიანი, მდიდარი ხალხი ქმნიდა და გვინახავდა იმას, რასაც დღეს აღფრთოვანებულები ვათვლიერებთ სხვა ქვეყნებში ტურისტად ჩასულები. ჩვენც ასე უნდა ვქნათ, ბექა. მერწმუნე, ამას თაობები დაგვიფასებენ აუცილებლად და ოქროს ასოებით ჩაგვენერნ ისტორიაში. ჩვენ შევეუნახავთ თბილისის ისტორიას და ამისთვის

შთამაგონებლად ესაუბრებოდნენ ხოლმე და განზრახვავუ ხელს ალებინებდნენ. ბექამ ინსტინქტურად თვალები მიმოავლო ირგვლივ, თუმცა, პოლიციის ნასახი ვერ დალანდა. ან კი ხდებოდა უნდოდა პოლიციას. პოლიცია კი არა, კაცობილი არ ჭაჭანებდა მათ გარდა.

ზაზამ ბექას გამოხედა.

– ჰეჰ, გიცანი.

– მეც გიცანით.

– საიდან? ანუ საიდან კი არადა, როგორ გაგახსენდი?

– ბევრი კლიენტი არ მყოლია, რომელსაც შემოსავალი ხუთასი ლარი აქვს, მძიმე პირობებში ცხოვრობს, ცხრა შვილი ჰყავს და თორმეტი ათასი დოლარი მივეციტ სესხად. ბევრი კი არადა, სხვა არც მყოლია არავინ მსგავსი ისტორიით, პრინციპში.


– მართლა?

– ჰო, დედას ვფიცავარ.

– რატომ გამომარჩიეთ, კი მარა? რითი ვარ განსაკუთრებული?

ბექა ჩაფიქრდა და მიხვდა, რომ კვლავ გაიჭიდა. ადამიანი, რომელიც ეს-ესაა თავის მოკვლას აპირებდა, მისგან ზუსტად ისეთ სიტყვებს ელოდა ალბათ, როგორსაც ფილმებში მსგავსი როლის მქონე ადამიანები სათნო სახის მქონე შავკანიანი პოლიციელებისგან ისმენდნენ – მამობრივი ზრუნვით გაჯერებულს, თბილს. ამის თქმა კი ბექას არ შეეძლო, აი, რატომ:

კარგად ასხოვს, როგორ უსმენდა პირდაფრენილი კოტე უფროსს, რომელმაც განუმარტა ამ აბსურდული სესხის გაცემის მოტივი:



აქ და ახლა გვჭირდება კონკრეტული ქმედება – ათონელის 31-ში მცხოვრებმა ადამიანებმა უნდა აიღონ სესხები, რაც შეიძლება, დიდი ოდენობით, რომ მალევე ვერ გადაიხადონ და მათი საცხოვრებელი ფართები ჩვენს საკუთრებაში გადმოვიდეს! დიდი საქმეა, ბექა, დიდ საქმეს ემსახურები და შეგიძლია, იამაყო ამით, ჩვენს საქმეს გაუმარჯოს!”.

ბექა ძალიან კარგად ხვდებოდა, რომ ამ სიტყვების მოსმენა, თუნდაც შერბილებული ფორმით, ვერაფერი ნუგეში იქნებოდა მოაჯირზე გადაყუდებული ადამიანისთვის. არადა, ისეც არ იქნებოდა, რომ ჩანაფიქრი სისრულეში მოეყვანა მას – თვითმკვლელობის შემთხვევაში ბინა ბანკს აღარ დარჩებოდა!

რა უაზრო წესი იყო ისე, რამდენჯერ უფიქრია ბექას ამაზე. კოტემ იმ საუბრის დროს ესეც განუმარტა: „ჩვენ შევიტანეთ კონტრაქტში ეს პირობა. რატომ? განა ვინმე გვაგვალდებულებდა, უბრალოდ ამით მეტად **ჭუმბანურები გამოიწვდიით მომხმარებლის** თვალში, ვიდრე იგივე „საქართველოს ბანკია“. თან სტატისტიკა გვეუბნება, რომ „თავს არ მოიკლავს ქართველი, არა, ის შეიძლება ბრძოლაში მოკვდესო“. ჰოდა, პრაქტიკულად, არანაირი რისკი არ გვექონდა, როცა ვწერდით, რომ თვითმკვლელობის შემთხვევაში ჩადებული უძრავი ქონება რეალიზაციას არ ექვემდებარებოდა. ბანკის ვალის გამო ვის მოუკლავს თავი? არც არავის. თავანის გამო, იცოცხლე, რამდენიც გინდა, მაგრამ ბანკის ვალის გამო – არავის. ამიტომაც ეწეროს, ჩვენი რა მიდის, დაე, ეგონოს მომხმარებელს, რომ რო რამე, ეს ერთი ვარიანტი ნუგეშად რჩება. უკანასკნელი შანსივით არის დატოვებული, რომელსაც არასდროს არავინ იყენებს“.

– აქცია იყო ასეთი, – მოიფიქრა ბექამ ლეგენდა ზაზასთვის მიცემული სესხის გასამართლებლად. – ყოველ მეთათვე მომხმარებელს ვაძლევთ იმდენ სესხს, მერამდენე ათასიც არის ის. თქვენ იყავით მეთორმეტე ათასი და ამიტომაც მოგეცით თორმეტი ათასი დოლარი. გაგიმართლათ!

– ჰო, კარგად დამაკვირდი სახეზე, გვაგვარ აშკარად ადამიანს, რომელსაც უმართლებს?

– რას აპირებთ?

– ცურვის სწავლას, პირველად ცხოვრებაში თან. აქამდე ეს აზრი თავში არასდროს მომსვლია. დროა უკვე.

– რომ არ გამოგივიდეთ?

– დავიხრჩობი მაშინ.

– კი, მაგრამ...

– თავს ვიკლავ, მეგობარო, რა არის გაუგებარი?

– რატომ?

– იმიტომ, რომ არ მინდა ბინის გარეშე დატოვონ ოჯახი რომელსაც ერთი კარგი საქმე მაინც უნდა გაუფუკეთო, სანაცოცხალი ვარ.

– არ გეჩქარათ, დაგველაპარაკა ხვალ ჩვენთან, ოფისში იქნებ მოვრიგებულებიყავით.

– რომ ვერ მოვრიგდეთ, მერე თქვენი ოფისიდან აქამდე ნამოსასვლელ გზის ფულს მომცემ?

– დიახ... დიახ კი არადა...

– წყალი არ გაუფა ამ ამბავს, ტყუილად მევაჭრები.

– გეტხოვრო?

– რატომ ფეხებზე არ გკიდევარ, რას ჩამაბჟირდი?

ბექა მიხვდა, რომ დადგა დრო სიმართლის თქმისა. მისი უკანასკნელი შანსი იყო.

9.

– თქვენ რომ თავი მოიკლათ, კონტრაქტის მიხედვით **თქვენს ბინას ველარ ამოვიღებთ.**

– ოჰ, გამარჯობა!

– სამსახურიდან გამაგდებენ!

– კაი, კაცო.

– ეკასთან ერთად ყოფნის შანსი აღარ მექნება.

– ეკასთან? – დაინტერესდა ზაზა, რადგან ბექა ნელ-ნელა ისტერიული ხდებოდა.

– ახალგაზრდა ვარ, გესმით? ვაიმე, ღმერთო... – ჩამუხლა და მგონი ტირილიც დაიწყო. – ამაზე არც მიფიქრო აქამდე, წარმოდგენაც არ მინდოდა. კოტემ მკაცრად გაგვაფრთხილა, რომ ნუ, ჯერ ერთი, ზოგადად გაპრობლემებულ სესხებზე ხომ ოფიცრებს შეგვექმნებოდა პრობლემები, მაგრამ მაგას ვინ ჩივისო, თქვენ პრობლემები მერე უნდა ნახოთ, ათონელის 31-ში გაცემულ სესხებს თუ დაემუქრა რამეო ბანკის პრიორიტეტია ამ სესხების გაპრობლემება და სანაცვლოდ საცხოვრებელი ფართის მიღება რალაც კულტურულ მემკვიდრეობის გადასარჩენად თუ... ღმერთო, ღმერთო სამსახურიდან ხომ მომისვრიან და ისე მომისვრიან თან, რომ სხვაგანაც არ მიმიღებს არავინ იმიტომ, რომ ჩემმა კლიენტმა თავი მოიკლა ჩემს თვალწინ და ამას მთელი ქალაქი გაიგებს და ვის რად მოუნდება კრედიტ ოფიცერი, რომლის კლიენტებიც მის თვალწინ ასრულებენ სიცოცხლეს, ღმერთო, რა საშინელებაა... ვაიმე! – ბექა უკონტროლო ხდებოდა, ხიდს გორავდა და ტლინკებს ყრიდა ჰაერში.

– რას ლაპარაკობ? ცუდად ხომ არ ხარ?

– უსამსახუროდ კი აბა, რას იზამ დღევანდელი ბანკის ნული ხარ, ნული! ეკას კი არა, საკუთარ დედას აღარ ვწოდებოდა წარუმატებელი და გამოგდებული და თან თარსა რა საშინელებაა, ახლა მივხვდი, რა საშინელებაა მელის წინ ამაზე მართლა არასდროს მიფიქრია აქამდე. რალა ვაკეთო 2



ნლისამ მერე, ჭკნა მე არ ვიცი და არაფერი. პროფესიაც ისეთი მაქვს და გაქანებაც, რომ ბანკის გარდა სად მიმასუნინებენ. ამ ბანკებშიც ისეთი კონკურენციაა, სულ საუკეთესოს არჩევენ და ჩემნაირი ვილას ენდომება ოდესმე სადმე.

- გეყოს!

- კიდევ მე მეყოს? კიდევ მე მეყოს არა, შე ეგოსტო ნაბიჭვარო? ოდესმე შენი ბინძური ტრაკის გარდა რამეზე გიფიქრია? იღებ სესხს, იცი, რომ სულ რომ ტრაკზე გაიხე, ამ შენი მემანქანეობით თუ რაღაც ყლე საქმით, ხომ არ მეშლება? არა, არ მეშლება. სულ რომ ტრაკზე გაიხე ამ შენი მემანქანეობით, ვერაფრით დაფარავ ამ სესხს ასი წელი და ორ თვეში გააპრობლებმებ უკვე და მიდიხარ ამხელა კაცი სირივით პირველივე ღამეს კაზინოში, ყველაფერს აგებ და პოულობ მარტივ გასას თვის დასაძვრენად, არა?

- რა? - ზაზას ბრაზი ერეოდა. უკვე მთელი სხეულით შემოტრიალებულიყო ბექასკენ, აქამდე მხოლოდ თავს ატრიალებდა.

- რა და, რაც გაიგე. იმის გამო, რომ ამხელა კაცი წარუმატებელი ყლე ხარ და ნასახი ტინის არ გაგაჩნია, მე უნდა დამინგრიო ცხოვრება და თან უნდა გამიყოლო? ჯერ ამ ქვეყნის დედას შევეცი თავის კულტურულ მემკვიდრეობას შენნაირი სირების შიშით რომ ვერ უვლის, მერე ამ ბანკის ზემოდან, რომელმაც თავისი იდეებით თუ რაღაცის ქომავლობით ტინი შეტყნა და ბოლოს კიდევ შენი დედაც მოგტყან, ამ გეგმებში რომ აჯვამ და სახლში ცხრა შვილს... ცხრაა ხო? სწორად მახსოვს ესეც. ჰოდა იმას ვამბობდი, რომ შენი დედაც მოგტყან-თქო, ჯერ ამდენი შვილი რომ დაყარე და მერე კიდევ ამდენს რომ უმამოდ ტოვებ, მაგრამ შენნაირი მამის ყოლას მართლა საჯობია, მუყაოს ყუთი დაიდონ სახლში და იმას დაარქვან „მამა“, უფრო გამოადგებათ ალბათ. ფუ, შე სირო, როგორ მეზიზღები, რომ იცოდე!

ზაზა მოაჯირიდან გადმოძვრა და მხრებში სწვდა ბექას, რომელიც დიდი ჯანით არ გამოირჩეოდა. ფეხზე წამოაყენა და მოაჯირს მიანარცხა. ბექამ მარჯვენა ყბაში მოსდო სილა, რაზეც ზაზა გამნარდა, ჩაიმუხლა, წელში შეუყვარდა, ჰაერში აიტატა და მოაჯირიდან გადაჰკიდა.

- რას შვრები, შე... - წინადადება მტკვარში გადაშვებულმა ბექამ ველარ დაასრულა,

თუმცა, ალბათ ისედაც ნათელი იყო, რის თქმას აპირებდა სიკვდილის სის.

10.

ზაზა მკვლევლობისთვის მზად ნამდვილად არ გახლდათ. როგორც ყველა მოუმზადებელ და დაუგეგმავ ადამიანს სჩვევია, ფრიად არაადეკვატურად მოიქცა და იქვე, ხიდის ქვეშ მდგომ პოლიციელს მანქანის კარზე თავად მიუკაკუნა. პატრულს ეძინა, ამიტომაც ვერ გაეგო მთელი ეს ამბები.

- მოქალაქე, სდექ! - შეეშინდა ახალგაზღვიძებულს და იარაღზე იკრა ხელი.

- კაცი მოვკალი, დამნაშავე ვარ. - მიუგო ზაზამ და თავი დახარა.

პატრულს თავი სიზმარში ეგონა, რადგან ამ ბოლო დროს თბილისელი დამნაშავეები ასე მორჩილად არ იქცეოდნენ პოლიციასთან. ამას წინათ, სულ რამდენიმე დღის წინ, მისი მენყვილე მოკლა ვიღაც მთვრალმა იმიტომ, რომ ამ ცხონებულმა მას ნარკოლოგიურში წაყვანა დაუპირა საფუძვლიანი ეჭვის საფუძველზე. იმანაც ამოიღო იარაღი და მოკლა, ასე მარტივად და პირდაპირ, ყველანაირი პრელუდიის გარეშე. მგონი, კარგა შვიდი წელი კი მიუსაჯეს იმ არამზადს. ჰოდა, ეს ისტორია რომ ჰქონდა რამდენიმე დღის წინ ნანახი საკუთარი თვალთ, ახლა ეგონა, სიზმარში ვარ და მთელი კრიმინალური სამყარო ცხონებული მენყვილის პატივისცემის ნიშნად მზარდება მორჩილად და ასე ცდილობს საკუთარი ცოდვების გამოსყიდვასო. ცხადია, ეს სიმართლეს არ შეესაბამებოდა, როგორც ჩვენ ვიცით უკვე, თუმცა, სანამ პოლიციელი სიმართლეში თავად გაერკვეოდა, კიდევ კარგა ხანი გავიდოდა, რასაც, ცხადია, ვერ დაგუცდიო.

11.

ასეთი უცნაური ქალაქია თბილისი, ყოველთვის ყველაფერი უკულმა ხდება ადამიანების მოჭარბებული სიფიცხის გამო. ნერვები აღარ შერჩა არავის ამ ცხოვრების გადამკიდევ და ბევრი საქმეც გაფუჭებული ამის გამო, ბევრი დიდი საქმე. ახლაც, თითქმის ყველაფერი ბოლომდე იყო მიყვანილი და ასეთი დასასრული იქნებოდა, აბა? ვინ იცის, ზაზას მერე კიდევ ვინ შეამჩნევდა შუშის ხიდის მშვენივალს და გულში გაიფიქვდა, რომ ის მართლა იდეალური ადგილია თბილისში თვითმკვლევლობისთვის? ისტორიული შანსი იქნა გაშვებული. ისტორიაზე გამახსენდა - ბექა ღმერთმა აცხონოს და, TBC ბანკმა თავისი ამოიღო, ათონელის 31 საბოლოოდ დაისაკუთრა და მორიგი ისტორიული ძეგლიც შემოუნახა თბილისელებს. ახლა იქ რესტავრაცია და სამუშაოები მიმდინარეობს. გამოხდება ხანი და ვინ იცის, ზაზას რომელიმე შვილი შეეხებება სესხის ასაღებად და არც ეცოდინება, რომ იმ ადგილას, სადაც ის სესხის განაცხადს ავსებს, მისი დიდი ბებია გორაობდა კნუტ ჰამსუნთან და მის პირმშვენიერ საყვარელთან ერთად 1899 წელს.

# 5 ხრიბია



## ორჯერადი გარითმვა

ლევან ბრეგვაძე

ვერსიფიკაციის სფეროში ტრადიციისა და ნოვატორობის შეხვედრისა და მათი ეფექტიანი თანაარსებობის ერთ არაჩვეულებრივ მოვლენაზე გვეყენება საუბარი ამ სტატიის უცნაური „თანამშრომლობის“ მოწმენი გავხედებით. ზუსტ რითმაში ვგულისხმობთ სარიტმო მარცვალთა ხმოვნების სრულ თანხვედრასა და თანხმოვნების იგივეობას ან მსგავსებას, ამასთან მხედველობაში არ მივიღებთ სარიტმო სიტყვის ლიოზა-დაზურულობას, ვინაიდან ამას ჩვენთვის საინტერესო მოვლენის თვალსაზრისით არსებითი მნიშვნელობა არ ენიჭება (ანუ, რითმებს „ვაზის-ხაზი“, „ძინავს-ბინა“ ზუსტ რითმად ჩავთვლით). არაზუსტ რითმაში კი ამჯერად ვგულისხმობთ დისონანსური რითმის, „არაზუსტი რითმის უკიდურესი და ყველაზე უფრო დისჰარმონიული სახეობის“ (ა. ხინთიბიძე, ი. გრიშაშვილის პოეზია. 1955: 165) მხოლოდ და მხოლოდ ბოლოხმოვანგანსხვავებულ, ანუ, ერთ-ერთ ყველაზე „ყურისმომჭრელ“ ვარიანტს „სირბილი-სირბილე“-ს ტიპისას. დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ ყაიდის რითმები, დღეს ესოდენ პოპულარული, მაღალესთეტიკური, მოდური, კლასიკურ პოეზიაში საერთოდ არ ითვლებოდა რითმად. დისონანსური რითმის ეს სახეობა მე-19 საუკუნის ბოლოსთვის იჩენს თავს და ქართულ პოეზიაში მისი ჩინებული მაგალითთა რაფიელ ერისთავის „ჭირიმე-ხირიმი“ 1881 წელს დაწერილი ლექსიდან:

„ნეტა რას სტირი, დედილო?  
 რას სტირი, შენი **ჭირიმე**?  
 ჯარს იძახიან, დედილო, –  
 სად არის ჩემი **ხირიმი**?“

აკაკი ხინთიბიძე წერს:

„თუ ასონანსი ჩვეულებრივი იყო ხალხურ ლექსში, არაიშვიათად იჩენდა თავს ძველქართულ პოეზიაში, ხოლო XIX საუკუნეში უფრო ხშირი გახდა, კონსონანსი და, მით უფრო, დისონანსი ქართულ ლექსში სრულიად ახალი მოვლენა“ (ა. ხინთიბიძე. ქართულ ლექსის ისტორია და თეორია. 2009: 186). და არაბარტო ქართულ ლექსში, ცხადია.

შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ ბოლოხმოვანგანსხვავებული რითმის გამოჩენა ამა თუ იმ ხალხის პოეზიაში მეტად მაღალი ვერსიფიკაციული კულტურის მაჩვენებელია.

აკაკი ხინთიბიძემ უძველესი (ჯერჯერობით) ბოლოხმოვანგანსხვავებული რითმა აკაკი წერეთლის 1862 წელს დაწერილ ლექსში („უბიტავია“) შენიშნა:

„თვითო დღე და თვითო **ღამე**  
 იყო მათის ტანჯვის **ჟამი**...  
 ექვსის წლისა პელაგია,  
 ოთხის იყო **მარიამი!**“

ეს ოთხსტროფიანი ლექსი თავიდან ბოლომდე რობაის რითმით (სამჯერადი რითმით) არის შესრულებული, ამიტომ არავითარ ეჭვს არ იწვევს, რომ აქ პოეტს ბოლოხმოვანგანსხვავებული რითმა (**ღამე-ჟამი**) სრულიად შეგნებულად აქვს გამოყენებული, ანუ რითმად მიაჩნია ის. ამრიგად, საქმე გვაქვს პოეზიის ისტორიაში თუ უძველეს არა, ერთ-ერთ უძველეს ბოლოხმოვანგანსხვავებულ კონსონანსთან.

ის მოვლენაც, **ორჯერადი გარითმვა**, რომელიც ჩვენი ინტერესის საგანია ამჟამად, აკაკი წერეთლის შემოქმედებაში იღებს სათავეს. ოღონდ ამის თაობაზე ბოლოს მოგახსენებთ. ჯერ კი ორჯერადი გარითმვის არსი განვმარტოთ.

ზუსტი და არაზუსტი (დისონანსური) რითმების

არსებობა, ერთი მხრივ, და მოსაზღვრე (ანუ პარალელური) და ჯვარედინი გარითმვის შესაძლებლობები, მეორე მხრივ, სტრიქონთა ორჯერადი გარითმვის საშუალებას იძლევა.

ეს მოვლენა პირველად იოსებ გრიშაშვილის ლექსში შევნიშნე, რომლის სათაურია „1914 წელი“. მისი ერთი სტროფი (ყველა სტროფი ოთხტაქტიანია) ასე იკითხება:

„როს მყავე წყალთან მკვდარი შაშვი ვნახეთ ეულად...  
როს მზის ხორბლებით სავსე იყო ტყე მწვანეული...“

წაკითხვით ან მოვისმენთ ამ ორ სტრიქონს და... რას ვიფიქრებთ? ბუნებრივია, ვიფიქრებთ, რომ საქმე გვაქვს მოსაზღვრე ანუ პარალელური გარითმვის წესით შესრულებულ და მშვენიერი დისონანსური, ბოლომომავანსხვავებული, რითმით (ეულად-მწვანეული) შეკავშირებულ ორსტრიქონედთან.

განვარძოთ კითხვა:

„ორნი ვიყავით! მაგრამ ისე ერთსახეულად,  
ვით წუმის გული ერთ ნაჭუჭში გამომწყვდეული“.

მესამე და მეოთხე სტრიქონებიც ზუსტად იმავე წესით არის შეკავშირებული, როგორითაც წინა ორი – აქაც მოსაზღვრე გარითმვა და დისონანსური რითმის გვაქვს (ერთსახეულად-გამომწყვდეული), მაგრამ სტროფის მთლიანად წაკითხვის შემდეგ აღმოჩნდება, რომ მოსაზღვრე დისონანსური რითმების გარდა ამ სტროფის სტრიქონები უზუსტესი ჯვარედინი დაქტილური რითმებითაც უკავშირდებიან ერთმანეთს, ანუ სტრიქონები ორ-ორჯერ არის გარითმული: ჯერ მოსაზღვრედ და დისონანსური რითმით, შემდეგ ჯვარედინად და ზუსტი რითმით, რაც არაჩვეულებრივ მუსიკალურ ეფექტს ქმნის:

„როს მყავე წყალთან მკვდარი შაშვი ვნახეთ ეულად...  
როს მზის ხორბლებით სავსე იყო ტყე მწვანეული...  
ორნი ვიყავით! მაგრამ ისე ერთსახეულად,  
ვით წუმის გული ერთ ნაჭუჭში გამომწყვდეული“.

ამ სტროფს ვერც მოდური დისონანსური რითმის მოყვარული დასდებს წუნს და ვერც ტრადიციული ზუსტი რითმის დამფასებელი – ორივე მათგანის გემოვნება გათვალისწინებულია!

გრიშაშვილის სხვა ლექსშიც ვიპოვე ამგვარი ვერსიფიკაციით შესრულებული სტროფი. ლექსის სათაურია „მეისტორივე, წიგნი დახურე!“:

„მეისტორივე, წიგნი დახურე!  
კმარა წარსულზე თქმა ამაყური!“

თავი აიღე, მზეს გადაჰყურე,  
და ახალ გმირებს მიაჰყარ ყური!“.

ვიდრე სხვა პოეტების ლექსებიდან მოვიხილობდეთ მსგავს ნიმუშებს, მანამდე უნდა ითქვას შემდეგი: სრულიად აშკარაა, რომ პოეტები შეგნებულად არ მიმართავენ ორჯერად გარითმვას, რაზედაც ისიც მეტყველებს, რომ არათუ თავიდან ბოლომდე ამგვარად გარითმული რამდენიმესტროფიანი ლექსი არ შემხვედრია, არამედ არც ისეთი ლექსი მინახავს, რომელშიც თუნდაც ორი ასეთი სტროფი მოიძებნებოდა (ცხადია, ვერ გამოვრიცხავთ, რომ ასეთიც გამოჩნდეს, მაგრამ ეს ვითარებას ვერ შეცვლის).

ის გარემოება, რომ იშვიათი სილამაზის ეს სტროფები ავტორების წინასწარი განზრახვით არ არის შექმნილი, ოდნავდაც არ ამცირებს მათ ესთეტიკურ ღირებულებას. შეიძლება ითქვას, რომ ორჯერადი გარითმვით შესრულებული სტროფები თვითნაბადი (самородок) ესთეტიკური ღირებულებებია.

როდესაც ასეთ სტროფს ვკითხულობთ, უცნაური განცდა გვეუფლება. გარდა იმისა, რომ ჟღერადობა არის უჩვეულო, ვინაიდან ჰარმონია-დისჰარმონიის, ტრადიციულისა და ნოვატორულის უცნაურ ნახავთან გვაქვს საქმე, იმის შეგრძნებაც გვიჩნდება, თითქოს ვერსიფიკაციული ტრიუკის მოწმენი ვხვდებით. ერთსა და იმავე სიტყვიერი მასალის პირობებში ისე გადადის რითმის ერთი სახეობა მისგან რადიკალურად განსხვავებულ მეორე სახეობაში და შემდეგ პირუკუ, თითქოს ამ საქმეში ილუზიონისტის ხელი ერიოს.

გთავაზობთ ქართველი პოეტების ლექსებში შენიშნულ ორჯერადი გარითმვის წესით შესრულებულ სტროფებს ჩემი კოლექციიდან.

### გალაკტიონ ტაბიძე:

„ჩქარა დაეშვი, ბინდო,  
ფიქრი მომეცი წმინდა,  
ვისაც ვენდე და მინდო,  
კვლავ მომავიწყდეს, მინდა“.  
(„მგზავრის სიმღერა“)

„შენ აღტაცებით ისევ ენთები,  
ძველი ტაძრები ისევ შენდება,  
ფეხმერიდებს გამოენთები  
და სადმე ისევ გაგიოთნდება“.  
(„შენ აღტაცებით ისევ ენთები“)

„არის შენს გულში მწარე  
განადგურება მკვდარი,  
როცა ზიზღია არე,  
როცა ვერ სუთქავს ქნარი“.  
(„გაურკვეველობა“)

ახლა ვნახავთ ორჯერადი გართმვის ერთ სახე-სხვაობას, რომელიც მაშინ ჩნდება, როცა გართმულ სიტყვათგან ორი სართიმო ერთეული სხვადასხვა აფიქსებით გაფორმებული ერთი და იგივე სიტყვაა და ამის გამო ერთმანეთის რითმებად ვერ ჩაითვლებიან. თუმცა ეს გარემოება ლექსის ჟღერადობას, ანუ იმ ეფექტს, რაც ორჯერადი გართმვით მიიღწევა, არ ვნებს:

„ცაზე ვხედავ წეროებს,  
თითქოს მწკრივი ღეროა.  
მღერენ რომანსეროებს...  
რა დროს რომანსეროა?“  
(„რა დროს რომანსეროა“)

ვენახოთ ერთი ასეთივე, სხვადასხვა აფიქსებით გაფორმებული ერთი და იგივე სართიმო სიტყვების შემცველი სტროფი **ტერენტი გრანელის** ლექსიდან:

„და ისევ მარტო ვზივარ ლოდებთან,  
უკვე გათავდა წამი გოდების.  
ახლა არავინ არ მელოდება  
და მეც არავის არ ველოდები.“  
(\* \* \* „დგას აკაცია, ახლოა ნუშიც“)

„მელოდება“ და „ველოდები“ სხვადასხვა აფიქსებით გაფორმებული ერთი სიტყვაა და ამის გამო ერთმანეთის რითმებად ვერ ჩაითვლებიან, თუმცა სრულიად აშკარაა, რომ ამის მიუხედავად ორჯერადი გართმვის ეფექტი შენარჩუნებულია.

სხვადასხვა აფიქსებით გაფორმებული ერთი და იგივე სართიმო სიტყვები შესაძლოა პირველ-მეორე სტრიქონთა ბოლოშიც იხსნენ. აი ამისი მაგალითი **ტერენტი გრანელის** სხვა ლექსიდან:

„სადღაც შორს ცისფერ ოცნებას ძინავს,  
ახლა მეც მინდა, რომ მივიძინო.  
არა მაქვს სახლი, არა მაქვს ბინა,  
არა მაქვს ფული, არა მაქვს ღვინო.“  
(\* \* \* „თეთრი წამები ისევ მიჰქრიან“)

**ტერენტი გრანელითვე** განვავრძობთ:

„მივდივარ, სადღაც მივეჩქარები,  
ხომ ჩაიარეს მზიან დარებმა.  
ველიდან მოვლენ მძიმე ქარები,  
ახლა ველიდან ქრის მღუმარება.“  
(„მივდივარ, სადღაც მივეჩქარები“)

„მზე ცაზე ავა,  
მომბეზრდა თავი,

სასახლეს შავად  
დასჩხავის ყვავი“.

(„ყვავი ხელოვანთა სასახლის ბაღში“)

„ახლაც დაჰქრის, არ ეშველა ქარებს  
და კიდია შორს მდუმარე ზარი.  
მინდა ავდგე, გავიხედო გარეთ  
და გავალო დაკეტილი კარი“.  
(„ღამის სტრიქონები“)

„მწუხრის წირვებში აინთები, როგორც კანდელი  
გტანჯავს სიავე, ფერნასული მთვარის ანთება  
და შენს კალთებში ჩუმად იწვის კორიანტელი.  
გარს გახვევია მწუხარება გლოვის ბანტებად“.  
(„სონეტი დედინაცვალს“)

„შენ მიდიოდი ნისლიან გზაზე  
და კანკალებდა რტოები ვაზის.  
გველივით გდევდა ცრემლების ზღვაზე  
მკვდარი დღეების ცისფერი ხაზი“.  
(„მარგერიტე“)

„ვერ გავალ გარეთ,  
გამეფდა ქარი,  
ამოდის მთვარე  
და მიდის მტკვარი“.  
(„ცისკენ“)

**სიმონ ჩიქოვანი:**

„ამგვარ შემთხვევით სახლის ერდოზე  
აშლილა ჯვარით ოჯახი ერთ დროს,  
ნახირი ძოვდა ბალახს ფერდობზე  
და ღარიბ სოფელს აწვდიდა ერბოს“.  
(„ხევსურული ძროხა“)

„დაეცნენ გმირები არაგვის,  
ორწოხებს ცხენები ჩარაგვია,  
მტრის ჯვარი არ ჩაჰყვეს არაგვის,  
არავი თბილისშიც არაგვია“.  
(„სამასი არაგველის შემოსვლა თბილისში“)

**კონსტანტინე ჭიჭინაძე:**

„გაახარებს ორი ბავშვის გამონვდილი ხელი;  
აღბათ რამეს მოუტანდათ საჩუქრად და ხილად  
გაიხსნება შეკვანძული ხელსახოცი თხელი  
და ლალისფერ შაქარყინულს ამოიღებს ფრთხილად  
(პოემა „შუა აზია“)

**მიხილ ქვლივიძე:**

„ლურჯად ბიბინებს ზღვა სანახეთა,  
სიმორე ჰყვირის, როგორც თავხედი.  
მე სიღნაღიდან ველს რომ გავხედავ,  
მაშინ მივხვდები – რაა კახეთი!“  
(„სიღნაღი“)

**ოთარ ჭილაძე:**

„მე კვლავ ხელეში ვმალავდი სახეს  
და ვუყრუებდი სადგურის ძახილს  
და მიყვებოდა უჩინარ არხებს  
ათასნაირად დაღლილი ხალხი“.  
(\* \* \* „მუშებს მოქონდათ სილა და კირი“)

ზემოთ ვთქვით, რომ ეს ვერსიფიკაციული მოვლენა, ორჯერადი გართივია, აკაკი წერეთლის შემოქმედებაში იღებს სათავეს.

აკაკი წერეთლის ერთი ლექსის გამო, რომელიც 1884 წელს გამოქვეყნდა „დროებაში“, აკაკი ხინთიბიძე წერს:

„ლექსი „არაკი“ თავიდან ბოლომდე ჯვარედინი რითმითაა გამართული, კერძოდ, IV სტროფის რითმითა: **კარი-კუჭგამხმარი, მიიკარა-ჯარა**. მაგრამ ამ სტროფის კითხვისას არ შეიძლება გულგრილად ჩავუაროთ პირველი და მეორე ტაქების შემაკავშირებელ კონსონანსს:

დაუკეტეს ყველგან **კარი**,  
ალარავინ **მიიკარა...**“

ეს ბოლოხმოვანგანსხვავებული კონსონანსი (კარი-მიიკარა), აკაკი ხინთიბიძის აზრით (და მას ამაში უნდა დავეთანხმოთ), „აკაკი წერეთელს რითმად არა აქვს გააზრებული“ (ა. ხინთიბიძე. აკაკის ლექსი. 1972: 127), ისევე, როგორც მის მიერვე შემჩნეული სხვა უნებლიე რითმები. მაგალითად, აკაკი წერეთლის ერთ ლექსში, რომლის სათაურია „ტყვეს“ (1906), ასეთი სტროფია:

„შენ საკანში ხარ და მე მაგ **საკანს**  
გულით ვატარებ დიდი ხანია  
და ვინ დაითვლის, რაც **იმისაგან**  
ტანჯვა-წვალება ამიტანია?“

ამ ცამეტსტროფიან ლექსში ეს ჯვარედინი რითმებით შესრულებული ერთადერთი სტროფია და ამი-

ტომ უწოდებს მკვლევარი **საკანს-იმისაგან** უნებლიე რითმას. მაგრამ, უნებლიობის მიუხედავად, ობიექტურად ეს მაინც რითმაა, თანაც საუცხოო რითმა, და აკაკი ხინთიბიძეც მას ნამდვილ, სრულფასოვან რითმად მიიჩნევს (ვიმეორებთ: უნებლიობისდა მიუხედავად!). ესეთტიკის თვალსაზრისით არა აქვს მნიშვნელობა რითმა უნებლიეა თუ გააზრებული შემოქმედებითი აქტივობის შედეგი.

მსგავსი ვითარება გვაქვს განსახილავ სტროფშიც:

„დაუკეტეს ყველგან **კარი**,  
ალარავინ **მიიკარა**;  
შიმშილისგან **კუჭგამხმარი**  
ტრიალებდა, როგორც **ჯარა**“.

ეს სატირული ლექსი ცნობილ ცენზორ ლუკა ისარლოვზეა დაწერილი და ასე იწყება: „იყო ერთი მაიმუნი, / ეძახოდნენ ლუკა-მელას; / ზურგს ეკიდა ქვეყნის წუნი, / ულუკავდა ფეხებს ყველას“.

„დაუკეტეს ყველგან **კარი**,  
ალარავინ **მიიკარა...**“

წაკითხვით ან მოვისმენთ ამ ორ სტრიქონს და... რას ვიფიქრებთ? ბუნებრივია, ვიფიქრებთ, რომ საქმე გვაქვს მოსაზღვრე ანუ პარალელური გართივების წესით შესრულებულ და მშვენიერი დისონანსური, ბოლოხმოვანგანსხვავებული რითმით (**კარი-მიიკარა**) შეკავშირებულ ორსტრიქონედთან. მაგრამ მესამე ტრიქონის წაკითხვის შემდეგ ვხვდებით, რომ **კარი** ორჯერ არის გართიული: ჯერ დისონანსურად მეორე სტრიქონის ბოლო სიტყვასთან (**მიიკარა**), ხოლო შემდეგ – ზუსტი რითმით მესამე სტრიქონის ბოლო სიტყვასთან (**კუჭგამხმარი**).

აკაკი ხინთიბიძის დაკვირვებით, „ბგერის გადანაცვლება რითმაში, თანხმოვანთა და ხმოვანთა არაპირდაპირი შეხვედრები, ტაქტის ჩართვა რითმის ევფონიაში და სხვა მისთანები, რომლებიც ჩვეულებრივია თანამედროვე რითმის პრაქტიკაში, ნაწილობრივ მაინც აკაკის დამსახურებაა. მაგრამ თავისუფალი რითმა აკაკის პოეზიაში მხოლოდ ჩანასახის ფორმითაა მოცემული; მას შემდგომი გაშლა-განვითარება და გაღრმავება ესაჭიროებოდა, რაც მომდევნო პოეტურმა თაობამ შეასრულა“ (ა. ხინთიბიძე. აკაკის ლექსი. 1972: 164-165).

ამ მსჯელობის მისადაგება ორჯერადი გართივების მიმართაც შეგვიძლია.

# სარკასტული ღიმილის გაკვეთილი დათო ქარადავას უკვდავ სიყვარულს

## ლელა კოდალაშვილი

ჩვენს გამოფიჭულ საუკუნეში, როცა ყველანაირი ემოცია უკვე მრავალგზის გამოჟღავნებულია, როცა უთვალავჯერ მოთხრობილია ყველა ამბავი, რაც კი სამყაროს შემთხვევია, როცა ყველა ჩვენგანი დიდი ხანია დაიღალა იმისგან, რომ ამ ერთფეროვან ცხოვრებაში, ფაქტობრივად, ახალი არაფერი ხდება, ძალიან თამამი გადაწყვეტილებაა, ჟურნალისტიკის, ერთი შეხედვით, რუტინულ შრომაში ჩაფლულმა, აიღო და მხატვრული ტექსტების წერა გადაწყვიტო. ამგვარი ნაბიჯი აქტუალურ თემებზე მომუშავე კორესპონდენტისთვის, ერთი შეხედვით, თითქოს მემარჯვენეობას ჰგავს, მაგრამ, მე ვიტყვოდი, რომ პირიქით, რადიკალური მემარცხენეობა, შემოქმედებითი ექსტრემიზმი და პერცეფციაა, რადგან აქ უფრო რჩები საკუთარი თავისა და საკუთარი ამბების ამარა უკიდვრად თავისუფლებაში.

სწორედ ამ პოზიციაში აღმოჩნდა ჯიმშერ რეხვიაშვილი (ლიტერატურული ფსევდონიმი – დათო ქარადავა) ახლახან გამომცემლობა „ინტელექტის“ მიერ გამოცემული წიგნით, „ესავის ხელები“, სადაც მან თავისი რვა მოთხრობა გააერთიანა.


მხატვრულ სიტყვასთან შეთამაშება, გროტესკი არც აქამდე ყოფილა უცხო ამ ავტორისთვის. ისიც უნდა ითქვას, რომ ჟანრებთან და თემებთან თამაში მან ჯერ კიდევ წინა წიგნებით დაიწყო. მაგალითად, „ტუალეტში საკითხავი“, რომელიც აკადემიური გემოვნების მქონე ადამიანებისთვის ქილიკის საგანი გახდა, სწორედ ახალი ჟღერადობის მიმართ ინტენციით იყო საინტერესო. რამდენად გაართვა თავი ამ ამოცანას, ამაზე აქ აღარ შევჩერდები და, ამ შემთხვევაში, ახალგამოსულ წიგნზე, ჟანრის თვალსაზრისით გამოკვეთილად გროტესკული ჟღერადობის ტექსტებზე მინდა, გაგიზიაროთ შთაბეჭდილება.

დათო ქარადავა ჯერ პატარა-პატარა პრობლემებს ერკინება. მისი პერსონაჟები ჩვენი სოციალური ნევრები არიან. მუსიკოსი, ჟურნალისტი, პოლიციელი, ექიმი, პოეტი...

ავტორი ჯერ თითქოს სერიოზული ტონალობით მოგვითხრობს მათ ისტორიას, უფრო სწორად, ფრაგმენტს მათი ცხოვრებიდან. მერე კი ისე, რომ თქვენ ვერც კი შენიშნოთ, იკვეთება მკვეთრი კონტრასტები, გაზვიადება, რეალობისა და პათეტიკის ნაზავი, კომიკურისა და ტრაგიკულის ოქსიმორონი. ნატურალისტური ჟანრიდან ერთბაშად სვდებით გროტესკულ სამყაროში, სადაც დამატებითი რეცეპტორების ჩართვა გიხდებათ იმისათვის, რომ რეალობასა და ფანტას-

მაგორიას შორის არჩევანი ისევ რეალობაზე შეაჩეროთ, რადგან გამოკვეთილად იგრძნობა, რომ ავტორს მთელი ეს აკრობატული ნომრები მხოლოდ იმისათვის სჭირდება, რომ მკითხველამდე სწორედ ადამიანის ბუნებრივი საბუთი მოიტანოს და არა მისი გრიმით მოთხუპნულ სიფათი.

შეგრძნება ისეთი გაქვთ, თითქოს ეს ნოვლები ჟურნალისტური სიუჟეტების ერთგვარ მხატვრული გაგრძელებებია, თავისუფლად ნიაღვრება, სადაც ავტორს სინამდვილის ასახვისთვის და ემოციების გასამძაფრებლად თავისებური, ლირიკული რემინისცენციები დასჭირვებია. ცხადია, თხრობის ეს ხერხი ახ-



აღს არაფერს შეიცავს და როგორც თავშივე აღვნიშნე, ყველაფერი უკვე დიდი ხანია, ყველა შესაძლო ფორმით მოგვეცა, თუმცა, ორმაგი გარდასახვა – ჟურნალისტური რეალობიდან მხატვრულ წარმოსახვაში, ხოლო მხატვრული წარმოსახვიდან სიზმარსა და ფანტასმაგორიაში შეტყუება, ვფიქრობ, ჩვენს ლიტერატურულ რეალობაში შედარებით იშვიათად გამოყენებული ხერხია და თავისებური სათქმელების, სტილის, ლექსიკის, იუმორის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს.

იუმორი ვახსენე და, მე მგონია, რომ აუცილებლად უნდა შევჩერდე დათო ქარდავას თხრობის ამ მნიშვნელოვან ელემენტზე. მართალია, ბევრჯერ ლალატობს ავტორს ზომიერების განცდა და ხანდახან ბანალურ სარკაზმშიც კი გადადის, მაგრამ ამის მოყოლის პათოსი, უფრო სწორად, მისი ირონია, რომელიც პათეტიკურ ტონალობასთანაა შეხამებული, ირბ დარტყმასავითაა ყველა იმ საკითხის მიმართ, რასაც კი ეს ავტორი ეხება.

პერსონაჟებსაც ასევე ხატავს, სარკასტული შტრიხებით, ერთი შეხედვით დაცინვას რომ ჰგავს, ამიტომ, თუ იუმორი გლალატობთ, ავობებს, არ ნაიკითხოთ, რადგან ყველგან სიძულვილი მოგელანდებათ სიყვარულის ნაცვლად... „ქალბატონი თამილა, ქრონიკულად აფორიაქებული, 51 წლის გაუთხოვარი მოქალაქე, რომლის პირადი ცხოვრება, როგორც თავის დროზე სანდრომ შენიშნა, დაცლილი იყო ღირსეული მამაკაცებისგან, როგორც უდაბნო მცენარეული საფარისგან და სავე – არაფრისმეტყველი „ცვალებადი მოღრუბლულობითა და ცივი, ჩრდილო-დასავლეთიდან მქორლავი ქარი“...

საერთოდ, თითქმის ყველა ტექსტი, ქართული მედიის და ზოგადად, მედიის პაროდია მგონია. ეს ზეანული ტონი, ენ. მაღალი შტილი, ფსევდოინტელექტუალიზმის ჯამბაზური დემონსტრირება, მომბეზრებელი უხვსიტყვაობა, რაც ძალიან ხშირად ახასიათებს ქართულ ჟურნალისტიკას, დაუნდობლდაა გაქილიკებული დათო ქარდავასთან. ალბათ თვითონაც ჟურნალისტი რომ არ იყოს, უმართებულო სკეპტიციზმში ჩათველებოდა ეს მიდგომა, მაგრამ მის შემთხვევაში ეს უფრო მხილებას ჰგავს, საკუთარი ნყლების დანმენდის მიხით.

მარტივ, ბანალურ ადამიანურ ტკივილებზე წერა რთულია. ყველა, ვინც გამოხატვის ფორმის მოძებნას ცოტათი მინც ახერხებს, ტკივილებს გვიზიარებს. პოეტებმა ხომ საერთოდ, წალეკეს სევდით სამყარო. თითქოს უკვე ყველაფერი მოსაბეზრებელი გამხდარა და ადამიანმა აღარ იცი, თავი ხელოვნების რომელ დარგს მისცე, ან საკუთარ გამოხატვის ფორმებს რა უყო. რას აკეთებს ასეთ დროს დათო ქარდავა? მასაც ხომ აქვს სევდა და ადამიანური ტკივილები... რას შვრება, ტირის და წუნუნებს, როგორც უმეტესობა, თუ უბრალოდ, გალობს... ალბათ არც ერთი და არც მეორე, რადგან ის უბრალოდ შავი იუმორის ხელოვნებას ფლობს. მართალია, არც თუ ისე დახვეწილი ილეთები აქვს, მე ვიტყვი, რომ ილეთები კი არა, ეს უფრო სასინჯი მოძრაობებია, რომელთაგან ზოგი საერთოდ ჰაერში გაქნულ, გაცუდებულ

დარტყმად რჩება, მაგრამ ამ მოძრაობას აუცილებლად ამჩნევს მკითხველი.

„ქალაქში ორმო სულ ცარიელია, თითქოს უძიროა. ჰოდა, გგონიათ, რომ სულ მგრე იქნება, ორმო არასოდეს ამოივსება და თქვენც სულ იცოცხლებთ, არასოდეს მოკვდებით... არ დაკვირვებთხარ, ქალაქიდან სოფელში ჩამოსული ადამიანი, როგორ უცბად მოიწყენს და დასევდიანდება? აქ, სოფელში, პირთამდე გავსებულ ორმოზე გახსენდებათ, რომ მინა თავისას მოითხოვს და ის, რასაც ყოველდღე ტოვებთ ორმოში, მხოლოდ ვაზმის გადასახადია და ადრე თუ გვიან ვალის სრულად დაბრუნება მოიწინეთ!“ – ჰყვება ერთი პერსონაჟი ნოველაში, „კაცი, რომელიც სხვის ორმოს ავსებდა.“ საერთოდ, ტუალეტის და დეფეკაციის მეტაფორა ამ ავტორისთვის ახალი მიგნება არ არის. ზემოთ მისი წიგნი, „ტუალეტში საკითხავი“ ვახსენე, სადაც მან მოახერხა, კულტურის ნაწილად ექცია ის, რაც ადამიანური ყოფა-ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. ის, რაც მეტყველებისას ყურს სულაც არ ხვდება, წერილობით კონტექსტში სხვაგვარ კონოტაციას იძენს. სწორედ ესაა ქარდავასული გამომსახველობის ერთერთი შტრიხი – ბგერასა და ასოს შორის სხვაობა, ანუ მოსმენილსა და წაკითხულს შორის სხვაობა და მსგავსება მოიხელთოს. ამ ჭრილში ხედვა იქნებ მისმა საქმიანობამაც განაპირობა. ის „რადიო თავისუფლების“ ჟურნალისტია და მისი მასალები ერთდროულად აუდიო და ტექსტურ ფორმატში ქვეყნდება. შესაბამისად, მუდმივად უწევს დაკვირება ამ ორ ფორმაზე.

ამ დატოლება-მოზომვისას, გარდა წმინდა ტექნიკური სულისკვეთებისა, დათო ქარდავას ერთი თვისებაც იკვეთება – ცდილობს, თავი აარიდოს სენტიმენტებს და როგორმე ისე გადმოგცეს ტკივილები, რომ კიდევ გაგელიმოს და განზიდულობის განცდაც გაგიჩინოს...

მის ნოველებში პატარ-პატარა მიგნებებია. იწყებ კითხვას და ჯერ არ იცი, სად საუბრობს სერიოზულად და სად იწყებს თამაშს. დგება ისეთი მომენტებიც, როცა ეს თამაში გალიზიანებს, ავტორს ხანდახან ლალატობს ზომიერების ის განცდა, რომელიც მუდამ, ყველა დროის ნაწარმოებში უმნიშვნელოვანესი იყო და იქნება. თუმცა, თითქოს უკან იხვეს ხოლმე ასეთ დროს, გული რომ მოულობს

მკითხველს, უადრესად სერიოზულად ეუბნება პატარ-პატარა პარადოქსულ და ნაივურ სიბრძნეებს. აი, მაგალითად:

„თუ გნამსო, უცნობმა.

ნიკუშამ კიო, მაგრამ პასუხი დაუგვიანა.

უცნობმა, თუ ჩვენ არ გვნამს, ის მაინც რჩება სარწმუნოდ, რადგან საკუთარ თავს ვერ უარყოფსო („მარტოობის ექვარისტია“).

ვფიქრობ, მეტისმეტად ბანალური ლიტერატურული ხერხია სახელების და გვარების, სახელწოდებების ეტიმოლოგიური თვითშემოქმედება. ატამან კრასნოვ ჭიპხაიხილიძე, ჭუუაძე-ჭუუაძე, თურმანაულის სახელობის, ანუ ლუდუშაურის საავადმყოფო და სხვა.

ადრეც მითქვამს არაერთგზის, ეროტიკული სცენების აღწერის კულტურა კი არა, თარგმნის გამოცდილებასაც ახლავ ვიძენთ. მითუფრო საინტერესოა, ამ ტიპის სცენების ე.წ. მეორადი ემოციით წერა, ანუ პაროდირება. დათო ქარდავა, ამგვარ ნიუანსებს, ვფიქრობ, მშვენივრად ართმევს თავს: „უცნაური რამ ხდებოდა ქონდრისკაცის პატარა, მაგრამ უეცრად დაკუნთულსა და გაძლიერებულ სხეულში. ესავი გრძნობდა, როგორ ებერებოდა ძარღვები, როგორ ეჭიმებოდა კუნთები, როგორ ვერ აუდიოდნენ გახურებული ფილტვები ამოვარდნილი გულის ჟანგბადით მომარაგებას, როგორ ევსებოდა ყოველი უჯრედი უცნაური სახის ენერგიით, რომელიც გამოსავლის ძიებაში რატომღაც ფეხებშუა იყრია თავს, ფეთქავდა და გონებას უბინდავდა. ფეთქავდა ესავის სხეულის შთამბეჭდავი ნაწილი და სხვის სხეულში შესვლას

ლამობდა! ქალმა ძალა მოიკრიბა, სხეულს შეზრდილ არსებასთან ერთად წამოიღო და კრისკენ გაინია. ესავმაც სცნა მდგომარეობა შეცვლა. ნელზე შემოხვია ხელები და ჩაკვდა დაუპირა. წააქცევდა კიდეც, მეტად მიძიმე ყოფილიყო. „დიდი წრე, მცირე წრე! დიდი წრე, მცირე წრე!“ – იატაკზე იჯდა, აქედით ირწეოდა და გაფუჭებულ თოჯინასავით დაუსრულებლად იმეორებდა პირველად უკანასკნელად მოყოლილ გაკვეთილს, როცა ქალის ყვირილზე მოვარდნილმა ფიზიკულ ტურის მასწავლებელმა ხელში აიტაცა და როგორც გამოცდილმა ძალოსანმა თავზე მოშემართული ორფუთიანი გირი, მონყეტილ დასცა იატაკზე“ („ესავის ხელები“).

ამგვარი და კიდევ სხვა საინტერესო მაგალითების მოტანა მრავლად შეიძლება ვფიქრობ, დათო ქარდავა, იგივე ჯიშბურ რეხვიამვილი, ითვალისწინებს რა, ჩვენი საზოგადოების დაძაბულ ემოციურ ყოფას ცდილობს, ნაკლებად დაძაბული გახადოს თავისი ტექსტები და ადამიანებს ასწავლოს სარკასტული ლიმილი, ლიმილი, რომელიც ასე ძალიან გვჭირდება ჩვენ – იუმორდაკარგულ სევდამორეულ, ფანატიზმში ჩაძირულ და გაუგოისტებულ ადამიანებს...





# 6 ახალი თარგმანები



ველიმირ ხლემნიკოვი

## თავისუფლება ყველას

უკვდავი გრიგალით, გრიგალით ერთიანით,  
სადაც თავისუფლებაა, იქითკენ ყველანი.  
გედისფრთებიან ადამიანებს  
მოაქვთ ამაყად შრომის ალამი.  
მწველია თავისუფლების თვალები.  
ცეცხლი – ყინულია, რომ შევადართო მათ.  
დაე, მიწაზე ეყარონ ხატები!  
შიშხილი დანერს უამრავ ხატს...  
ცეცხლოვანი სიმღერებისკენ დავიძრათ ერთად,  
ნინ თავისუფლებისთვის, მარშით!  
თუ გარდავიცვლებით – აღვდგებით მკვდრებით!  
ყველა გაცოცხლდება მაშინ.  
მოჯადოებული წავიდეთ გზებით,  
ვისმინოთ გუგუნის ნაბიჯების ხმათა.  
და თუკი ღმერთებს ადევთ ბორკილები  
გავათავისუფლებთ მათაც...  
1918

## შარი

ჩემთვის გაცილებით სასიამოვნოა  
ვარსკვლავების ცქერა,  
ვიდრე სასიკვდილო განაჩენზე  
ხელის მოწერა.  
ჩემთვის გაცილებით სასიამოვნოა  
მოვუსმინო ყვავილების ხმებს,  
რომ ჩურჩულებენ: „ეს ისაა!“ –  
თავდაზრილი,  
როცა მე გავდივარ ბაღში,  
ვიდრე ვხედავდე გუშაგათა მუქ თოფებს,  
რომელებიც კლავენ მათ,  
ვისაც ჩემი მოკვლა სურს.  
აი, რატომ არასდროს,  
არა, არასდროს ვიქნები მმართველი!  
იანვარი, აპრილი, 1922

\* \* \*

მე ცოტა რამ მჭირდება!  
ნაჭერი პურის  
და წვეთი რძის.  
და ეს ცა,  
და ღრუბლები ამ ცის.

1912, 1922

\* \* \*

ტომრიდან იატაკზე  
დაიყარა ნივთები.  
და მე ვფიქრობ,  
რომ სამყარო  
მხოლოდ დამცინავი ღიმილია,  
რომ ჩათბილულა  
ჩამომხრჩვალის ბაგეებზე.

1908

\* \* \*

ცხენები როცა კვებიან – სუნთქავენ,  
მცენარეები როცა კვებიან – ხმებიან,  
მზეები როცა კვებიან – ისინი ქრებიან,  
ადამიანები როცა კვებიან – მღერიან სიმღერებს.

1912

\* \* \*

გოგონები, რომ დააბიჯებენ  
შავი თვალების ჩექმებით  
ჩემი გულის ყვავილებზე.  
გოგონები, შუბებჩამონეულნი  
თავის ნამწამთა ტბაზე.  
გოგონები, ფეხებს რომ იბანენ  
ჩემი სიტყვების ტბაში.

1921

\* \* \*

მე არ ვიცი, ბრუნავს თუ არა დედამინა,  
ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ ჩაისმება სიტრიქონში სიტყვა.  
მე არ ვიცი, იყვნენ თუ არა ბებიაჩემი და ბაბუაჩემი მაიმუნები,  
რადგან მე არ ვიცი, მინდა თუ არა ტკბილი ან მჟავე.  
მაგრამ მე ვიცი, რომ მინდა ვდულდე და მინდა, რომ მზეს  
და ჩემი ხელის ძარღვს აერთიანებდეს საერთო ყრყოლა.  
მაგრამ მე მინდა, რომ ვარსკვლავის სხივი კოცნიდეს ჩემი თვალის სხივს,  
*როგორც ირემი ირემს (ო, მათი მშვენიერი თვალები!).*

*მაგრამ მე მინდა, რომ, როდესაც ვერთი, საერთო თრთოლამ აიტანოს სამყარო და*  
მე მინდა მჯეროდეს, რომ არის რაღაც, რაც რჩება,  
როდესაც საყვარელი გოგოს ნაწნავს შეცვლი, მაგალითად, დროით.  
მე მინდა გავიტანო საერთო მამრავლი ფრჩხილებს გარეთ,  
რომელიც მაერთიანებს მე,  
მზე, ცა და მარგალიტების მტვერი.

1909

\* \* \*

სპილოები ისე იბრძოდნენ ეშვებით,  
რომ გეგონებოდათ თეთრი ქვა  
მოქანდაკის ხელში!  
ირმები ისე იბლანდებოდნენ რქებით,  
რომ გეგონებოდათ, მათ აერთიანებდა ძველისძველი კავშირი  
ურთიერთგატაცებებით და ურთიერთარაერთგულეობით.  
მდინარეები ისე ჩაედინებოდნენ ზღვაში,  
რომ გეგონებოდა:  
ერთის ხელი ახრჩობს მეორის კისერს.

1910-1911

\* \* \*

კიდევ ერთხელ, კიდევ ერთხელ,  
მე ვარ ვარსკვლავი  
თქვენთვის,  
ვაი, მეზღვაურს, რომელმაც აიღო  
არასწორი კუთხე თავისი ნავის  
და ვარსკვლავის:  
ის დაიმსხვრევა ქვებზე,  
წყალქვეშა მეჩეჩებზე.  
და ვაი, თქვენც, რომლებმაც აიღეთ  
გულის არასწორი კუთხე ჩემი მიმართულებით:  
თქვენ დაიმსხვრევით ქვებზე  
და ქვები დაგცინებენ,  
როგორც თქვენ  
დამცინოდით მე.



1922

რუსულიდან თარგმნა ნორიკ ბალოიანმა

## იტალო კალვინო

ნაკადულის ნაპირი მსუბუქი და გამჭვირვალე ჭავლების ბაღეს ჰვავდა, შუაში კი დინება უფრო სწრაფი იყო. ხანდახან წყლის ზედაპირს თითქოს ვერცხლის ფრთები ეხებოდა: კალმახის ზურგი გაკრთებოდა და ზიგზაგისებური მოძრაობით ისევ ჩაეშვებოდა სიღრმეში.

- საესეა კალმახით. - თქვა ერთ-ერთმა კაცმა.

- თუ წყალში ყუმბარას ჩავაგდებთ, ყველა ამოტრიალდება და მუცლით წყლის ზედაპირზე ამოვა. - თქვა მეორემ. ჭამრიდან ხელყუმბარა მოიხსნა და ხუფის მოხრახვნა დაიწყო.

მთელი ბიჭი, ვაშლივით მრგვალი სახით, რომელიც იქვე იდგა და მათ შეჰყურებდა, წინ გამოვიდა.

- კარგი რა. - თქვა და ერთ-ერთი კაცის თოფი აიღო.

- ამას რაღა უნდა? - თქვა იმ კაცმა და მოინდომა, ბიჭისთვის თოფი წაერთმია. მაგრამ ბიჭი თოფს წყალს უმიზნებდა, თითქოს სამიზნეს ეძებდა.

- თუ წყალში ისვრი, თევზებს დააფრთხო, სხვა არაფერი. - უნდოდა ეთქვა კაცს, მაგრამ ვერ მოასწრო. წყლის ზედაპირზე სხმარტალით გამოჩნდა კალმახი; ბიჭმა ესროლა, თითქოს ზუსტად ამას ელოდებოდა. ახლა კალმახი თეთრი მუცლით წყალზე ტივტივებდა.


- ჯანდაბა. - თქვეს კაცებმა.

ბიჭმა იარაღი გადატენა, შემობრუნდა და თოფი გარშემო მიმოაგრა. ჰაერი გამჭვირვალე და სუფთა იყო. მეორე ნაპირზე, ფიჭვების წინებებს და ნაკადულის წყლის ჭავლებიან ბაღეს ადვილად გაარჩევდა კაცი. წყლის ზედაპირზე კიდევ ერთი კალმახი გამოჩნდა. ბიჭმა ესროლა. მკვდარი კალმახი წყალზე ატივტივდა. კაცები ხან კალმახს უყურებდნენ, ხან ბიჭს.

- კარგად ისვრის. - გადაულაპარაკეს ერთმანეთს.

ბიჭი ლულას ისევ იქით-აქეთ ატრიალებდა. თუ დაუფიქრდებოდი, მიხვდებოდი, რა უცნაური იყო ყველაფერი: ჰაერით გარემოცულებს, ისევ ჰაერის რამდენიმე მეტრი აცალკევებდათ მოშორებული საგნებისგან, ხოლო თუ თოფს რაიმეს დაუმიზნებდი, ჰაერი ერთი სწორი და უზილავი ხაზი ხდებოდა, რომელიც ლულის პირიდან სამიზნემდე - შევარდენამდე იყო გაშლილი, ცაში თითქოს უმოძრაო ფრთებით ირავს რომ ჰკრავდა. ჩახმახის გამოკერისას ჰაერი ისევ ისეთი გამჭვირვალე და ცარიელი იყო, მაგრამ ზემოთ, ხაზის მეორე ბოლოს, შევარდენმა ფრთები ჩამოყარა და ძირს ქვასავით დაენარცხა. გადახსნილი იარაღიდან დენთის სასიამოვნო სუნი ამოვიდა.

ბიჭმა კიდევ რამდენიმე ტყვია ითხოვა. ახლა მას სხვებიც ბევრნი უყურებდნენ, მის ზურგს უკან მდგომნი, მდინარის ნაპირზე. მეორე ნაპირზე კი, ხის კენწეროზე გირჩები მოჩანდა. რატომ არ შეიძლებოდა მათი შეხება? რატომ იყო



მასა და იმ გირჩებს შორის ცარიელი მანძილი? რატომ ხდებოდა, რომ გირჩები, მისი თვალით დანახული, სულ სხვა იყო, არადა, ის გირჩები ხომ შორს იყო, იქითა ნაპირზე? მაგრამ თუ ამ შორეულ სიცარიელეს თოფს დაუმიზნებდა, გასაგები ხდებოდა, რომ ესეც ფანდი იყო. ჩახმახს თითს გამოჰკრავდა და იმავე წუთს გირჩა ძირს ვარდებოდა, ყუნწმონწყვეტილი. სიცარიელის ეს შეგრძნება ალერსისმაგვარი იყო: ეს სიცარიელე, დაწყებული თოფის ლულიდან, ჰაერში გრძელდებოდა და გასროლასთან ერთად ივსებოდა, როცა იქით, ქვემოთ - გირჩას, ციყვს, თეთრ ქვას ან ყაყაჩოს მისწვდებოდა.

- ერთიც არ აუცილებელია. - ერთმანეთს ეუბნებოდნენ მამაკაცები, იმდენი გამბედაობა არავის ჰქონდა, რომ გაეცინა.

- შენ ჩვენთან ერთად მოდიხარ. - უთხრა მეთაურმა.

- თოფი მომეცით. - უპასუხა ბიჭმა.

- ჰო, აბა რა.

ბიჭი მათთან ერთად წავიდა. თან ზურგჩანთა წაიღო, ვაშლებით და ორი თავი ყველით

სავსე. ველის სიღრმეში სოფელი შიფერების, ჩალისა და ნეხვის ლაქად მოჩანდა. აქედან ნასვლა მართლაც ბედნიერება იყო, რადგან ყოველ მოსახვევში ჩანდა ახალ-ახალი სახლები, გირჩებიანი ფიჭვები, ჩიტები, რომლებიც ცოტებიდან აფრთხილდებოდნენ და მიფრინავდნენ, ქვებზე დაკრული ლიქენები - ყველაფერი რაღაც ყალბი მანძილის რადიუსში, მანძილის, რომელსაც გასროლის ხმა ავსებდა, რადგან შუაში არსებულ ჰაერს შთანთქავდა.

თუმცა უთხრეს, რომ აქ სროლა არ შეიძლებოდა: ეს ადგილები შეუმჩნევლად და ჩუმად უნდა გაევილით, ხოლო ტყვიები ომისთვის იყო საჭირო. მაგრამ მოულოდნელად ნაბიჯების ხმით შეშინებულმა ბოცვერმა ბილიკი გადაჭრა მებრძოლთა საერთო ყვირილსა და იარაღის ჟღარუნში. ის-ის იყო **ბუჩქებში უნდა გაუჩინარებულყო, რომ ბიჭის გასროლამ შეაჩერა.**

- კარგი ნასროლია, - თქვა მეთაურმა. - მაგრამ აქ სანადიროდ არ ვართ. ხოხობიც რომ დაინახო, არ ესროლო.

საათსაც არ გაევილო, რომ რიგად მიმავლებს ისევ სროლის ხმა შემოევსათ. - ისევ ის ბიჭია! - მეთაური გაბრაზდა და წავიდა, რომ ბიჭს წამოწოდა. ბიჭი კი იცინოდა, თავისი ვაშლივით მრგვალი, წითელი და თეთრი სახით.

- აქ გნოლებია - თქვა ბიჭმა.

- გნოლებია თუ ჭრიჭინები, უკვე გააფრთხილე. თოფი მომეცი. თუ ისევ გამაბრაზებ, სოფელში დაბრუნდები.

ბიჭს სახეზე უკმაყოფილება აღებუქდა. აბა, უთოფოდ სიარულს რა გემო ჰქონდა, მაგრამ ვიდრე მათთან იყო, იმედი კიდევ ჰქონდა, რომ თოფს დაიბრუნებდა.

ღამით მწყემსების ქოხში დარჩნენ. როგორც კი ირიურაჟა, ბიჭს გაეღვიძა. სხვებს ჯერ ისევ ეძინათ. საუკეთესო თოფი აიღო, ზურგჩანთა მჭიდებით გაავსო და გავიდა. ადრინაი დღის სიჩუმე და გამჭვირვალე ჰაერი იდგა. სახლიდან ცოტა მოშორებით თუთის ხე იყო. ამ დროს ხეზე ჯაფარები მოდიოდნენ. აი, ერთ-ერთი: ესროლა, გაიქცა, რომ ჩამოვარდნილი ფრინველი აეღო, ზურგჩანთაში ჩადო. სხვა სამიზნის ძებნა დაიწყო, ისე, რომ იმ ადგილს არ მოშორებია, საიდანაც მკვდარი ფრინველი აიღო. ძიღგუდა! გასროლის ხმით შეშინებული, გარბოდა, რომ ნაბლის ხის კენწეროსთვის შეეფარებინა თავი. მკვდარი ძიღ-

გუდა მოზრდილ თავს ჰგავდა, დიდი, რუხი კუდით, მუცელზე ბენვი რომ ბლუჯად სცივია. ნაბლის ქვემიდან, ცოტა უფრო დაბალ მდელოზე სოკო დაინახა, წითელი, თეთრი დაწინკლული, შხამიანი სოკო. ერთი გასროლით ნამოვებდა აქცია. წავიდა, რომ ენახა, ტყვია მოახვედრა თუ არა. რა კარგი თამაში იყო ერთი სამიზნიდან მეორესთან მისვლა ასე მთელი მსოფლიოს მოვლაც შეეძლო. ქვაზე მოზრდილი ლოკოკინა დაინახა, ნიჟარას დაუმიზნა და როცა ადგილი მივიდა, ატყევილი ქვა დახვდა და ზედ ცოტაოდენი, ცისა ტყელის ფერებდა დაღვრილი ლორწო. ქოხს საკმაოდ იმეორებული, უკვე ქვემოთ მიდიოდა, უცნობ მდელოზე, ეს ასთან რომ იდგა, კედელზე ხვლიკს მოჰკრა თვალი, კედლიდან - გუბეს და ბაყაყს, გუბიდან - სანიშნეს გზაზე, ეს ხო ადვილი სამიზნე იყო. ამ ნიშნიდან გზა მოჩანდა, რომელიც ზიგზაგისებურად ქვემოთ მიდიოდა. იქ სამხედრო ფორმა გამოწყობილი მამაკაცები მიაბიჯებდნენ, იარაღსაბნელებს თოფიანი, მოლიმარი, ვაშლივით მრგვალი, თეთრი და წითელი მათგანის მკერდზე. ამ ღილს დაუმიზნა და ესროლა.

კაცების ყვირილი გაიგონა, მიჯრით და ცალკე-ცალკე გასროლილმა ტყვიებმა თავზე ზუილით გადაუარა; უკვე მინაზე იყო გართხმული გზის განაპირას დახვავებულ ქვებთან, სადაც ტყვია ვერ მისწვდებოდა. მოძრაობაც კი შეეძლო, რადგან ქვები სიგრძეზე დაეხვავებინათ, შეეძლო, სრულიად მოულოდნელი ადგილიდან გამოეყო თავი, ჯარისკაცების თოფების ლულისპირების გაეღვებაც დაენახა, მათი მუნდრების რუხი ფერი და სილაპლაპე შეემჩნია, მიზანში ამოღულ ჯარისკაცების მათარები, მუნდრის საყელოზე მიკერებულ საწილებები, შემდეგ კი მინაზე განალილიყო და მარადე გდადსულიყო მეორე მხარეს, რათა ცეცხლი გაეხსნა. ცოტა ხანს არ გაევილო, რომ ზურგს უკან მიჯრით გასროლის ხმა მოეხმა, ტყვიებმა თავზე გადაუფრინეს და ჯარისკაცები დაჭრეს მისი ამხანაგები მოსულიყვნენ ტყვიამფრქვევებით, რათა მისთვის ზურგი გაემარებინათ. - ბიჭს რომ სროლით გავევლიძებიინეთო... - ამბობდნენ.

ახლა ბიჭს, რომელსაც ამხანაგები ზურგს უმაგრებდნენ, შეეძლო, უკეთ დაემიზნებინა. მოულოდნელად, ტყვია ლოყაზე შეეხო. შემობრუნდა, დაინახა, რომ ერთ-ერთი ჯარისკაცი გზაზე იდგა, მის ზემოთ. გზის გასწვრივ, წყალსადენ არხში ჩახტა, რომ თავი შეეფარებინა, ამასობაში გასროლა მოასწრო, მაგრამ ჯარისკაცს კი არ მოარტყა, არამედ ტყვია ოდნავ შეეხო თოფის სავანზე კოლოფს. ჯარისკაცი თოფის გადატენა ვერ მოახერხა და იარაღი მინაზე დააგდო. მაშინ ბიჭი სამალავიდან გამოვიდა. ჯარისკაცს ესროლა რომელმაც გაქცევა დააპირა, და სამხრეული ააძრო.

ჯარისკაცს დაედევნა. ჯარისკაცი ხან ტყეში უჩინარდებოდა, ხანაც ისევ გამოჩნდებოდა მიზანშიამოსაღებ მანძილზე. ჩაფხუტის წვეტი მოუწევა, შემდეგ კი ქამრის შესაკრავი. ამ დევნასა და სირბილში უცნობ და მოტიტვლებულ ვე-

მიღწეის, სადაც ბრძოლის ხმა აღარ ისმოდა. ჯარისკაცმა დაინახა, რომ მის წინ ტყე კი აღარ იყო, არამედ ველი, კიდეზე ხშირი ბუჩქნარით ამოვსებული ხრამებით. ბიჭი სადაცაა ტყიდან გამოვიდოდა. ველის შუაგულში ქვის ლოდი ეგდო. ჯარისკაცმა ძლივს მოასწრო, რომ ლოდს ამოფარებოდა. მოიკუნტა და თავი მუხლებს შუა ჩარგო.

იქ ჯერჯერობით უსაფრთხოდ გრძნობდა თავს. ხელყუმბარები თან ჰქონდა, ასე რომ, ბიჭი ვერ მიუახლოვდებოდა, მხოლოდ დასამინებელი მანძილიდან შეეძლო ეთვალთვალა, რომ ჯარისკაცი არ გაპარულიყო. შესაძლებელი რომ ყოფილიყო, ერთი ნახტომით ბუჩქნართან აღმოჩნდებოდა. თავს, რაღა თქმა უნდა, უსაფრთხოდ იგრძნობდა, თუ ხშირი ბუჩქნარით დაფარულ ხრამში ჩაცურდებოდა. მაგრამ ის მოშიშვლებული მონაკვეთი უნდა გადაეჭრა: ბიჭი კიდეც რადენ ხანს დარჩებოდა იქ? დამიზნებულ თოფს აღარასოდეს მოაშორებდა? ჯარისკაცმა გადაწყვიტა, რაღაც ეცადა: ხიმტზე ჩაფხუტი წამოაცვა და ქვის უკნიდან „თავი გააყოფინა“. ერთი გასროლა და გახვრეტილი ჩაფხუტი მიწაზე გაგორდა.

ჯარისკაცი არ შეშინებულა. რა თქმა უნდა, ქვასთან ახლოს მიზანში ამოღება ძალიან ადვილი იყო, მაგრამ თუ სწრაფად იმოძრაებდა, მაშინ მისი დაჭრა შეუძლებელი იქნებოდა. ამ დროს ცაზე სწრაფად გადაიფრინა ჩიტმა, ალბათ ოფოფი თუ იყო. ერთი გასროლა და ფრინველი ძირს დაეცა. ჯარისკაცმა კისრიდან ოფლი მოიწმინდა. კიდეც ერთმა ჩიტმა ჩამოიფრინა – ჩხართვამა. ისიც მიწაზე დაეცა. ჯარისკაცმა ნერწყვი გადაყლაპა. ალბათ იქ ფრინველების გადაფრენის ადგილი იყო: ფრინველები კი ისევ მოფრინავდნენ, სულ სხვადასხვანაირი ჩიტები, ბიჭი კი ისროდა და ფრინველებს ძირს აგდებდა. ჯარისკაცს თავში აზრმა გაუელვა: „თუ მთელი ყურადღება ჩიტებისკენ აქვს, ესე იგი, მე ყურადღებას არ მაქცევს. როგორც კი გაისვრის, მაშინვე გადავხტები“. მაგრამ ჯერ მაინც ცდის ჩატარება სჯობდა. ჩაფხუტი აიღო და ხიმტის წვერზე ჩამოცმული გაამზადა. ორმა ჩიტმა ერთად გადაიფრინა. ამჯერად ჩიბუხა ჩიტები იყვნენ. ჯარისკაცს გული სწყედებოდა, რომ ასეთ მშვენიერ შესაძლებლობას ტყუილბურალოდ კარგავდა. მაგრამ კიდეც ერთხელ ველარ გარისკავდა. ბიჭმა ჩიბუხას ესროლა თუ არა, ჯარისკაც-


მა ჩაფხუტი გამოყო, გასროლის ხმა გაიგონა და დაინახა, როგორ ახტა ჩაფხუტი მაღლა. ამჯერად ჯარისკაცს პირში ტყვიის გემო გაუჩნდა. მაშინლა მიხვდა, რომ კიდეც ერთ გასროლაზე მეორე ჩიტი ჩამოვარდა მიწაზე. მაინც არ უნდა აჩქარებულიყო: იქ, ქვის უკან და ხელყუმბარებით ხელში, თავს უსაფრთხოდ გრძნობდა. რატომ არ ცდილობდა ბიჭისკენ ყუმბარა გადაეგდო, თუნდაც დამალულს? ზურგით მიწაზე განვა, ხელი უკან წაიღო, შეეცადა, შეუმჩნეველი დარჩენილიყო, ძალა მოიკრიბა და ხელყუმბარა ისროლა. მშვენიერი ნასროლი იყო, შეიძლება, შორსაც დავარდნილიყო, მაგრამ ვარდნის ნახევარგზაზე ერთმა გასროლამ ყუმბარა ჰაერში ააფეთქა. ჯარისკაცმა თავი მიწაში ჩარგო, რომ ნასხვრევები არ მოხვედროდა.

როდესაც თავი ასწია, დაინახა, რომ ყორანი მოსულიყო. ცაში, მის თავს ზემოთ, შავი ფრინველი – ალბათ ყორანი, ნელა დაფრინავდა. ბიჭი, რა თქმა უნდა, ესროდა, მაგრამ გასროლის ხმა არა და არ ისმოდა. იქნებ ყორანი ძალზედ მაღლა იყო? ამაზე უფრო მაღლა და სწრაფად მონავარდე ჩიტებისთვისაც უსვრია. და ბოლოს, გასროლის ხმა! ახლა ყორანი ძირს დაენარცხებოდა, მაგრამ არა, ის ისევ ფრენდა, ნელა, აუჩქარებლად. მის მაგივრად, იქვე, ფიჭვიდან გირჩა ჩამოვარდა. ახლა ერთიმეორის მიყოლებით ესროდა გირჩებს, რომლებიც ძირს ცვიოდნენ.

ყოველ გასროლაზე ჯარისკაცი ყორანს ახედავდა, ხომ არ ჩამოვარდაო. არა. შავი ფრინველი სულ უფრო და უფრო მეტად ეშვებოდა ქვემოთ, მის თავზე. ნუთუ შეიძლებოდა, რომ ბიჭს ის ვერ დაენახა? იქნებ ყორანი არც არსებობდა და ეს მოჩვენება იყო? იქნებ ის, ვინც კვდება, ხედავს, როგორ დაფრინავენ ჩიტები. და როცა ყორანს დაინახავს, ეს ნიშნავს, რომ მისი დრო მოვიდა. საჭირო იყო, ბიჭი გაეფრთხილებინა, გირჩებს რომ ესროდა. ჯარისკაცი ფეხზე წამოიმართა, შავი ფრინველისკენ თითი გაიშვირა და თავის ენაზე დაიყვირა: „იქ ყორანია!“... ტყვია მის ქურთუკს ზუსტად იმ ადგილას მოხვდა, სადაც ფრთადაშვებული არნივი ამოექარგათ.

ყორანი ნელა ეშვებოდა დაბლა, წრიული ფრენით.

*იტალიურიდან თარგმნა თამარ ყელენტმა*





# ლექსები

## შალვაში

1. ამ ზარებივით ჩემთან ერთად დადუმდეს ყველა!

რაც შიშის შემდეგ იბადება, მშვიერი ბრბოა,  
საზრდოდ მხოლოდ ახალ ხორცს ითხოვს.  
წითელ პარასკევს გამოკვეთავს ცის გუმბათს ხელი,  
მას სამი თითით უპყრია ზეცა,  
მაგრამ თავს ვერ დებს, რომ რაც იყო,  
ის ყველაფერი, სინამდვილეში არ ყოფილა  
და არც იქნება. მენამულ ბინდში იკარგება,  
უსხლტება მკვლელებს,  
მიაბიჯებს თავისუფალი.

დადგება ღამე დედამიწაზე,  
ყველა სარკმელს ჩამოგლეჯს ფარდას,  
რათა სწეულთა საიდუმლო გააცხადოს  
ტკივილებით – კანს რომ ბერავენ, მრავლებიან  
უსასრულო სურვილების გამოსაკვებად.

ყასაბი იცვამს ხელთათმანს და  
განწირულთა სუნთქვას აკავებს.  
მთვარე იატაკს ენაცხება გაღებულ კართან.  
ხელი არ ახლო ნამსხვრევებს, არც რკალს...

ყველაფერი მიმართული იყო ზეთის კურთხევიდან  
(საიდუმლო ვერ აღსრულდება.)

2. რა ამაოა ყოველივე.  
გადაგრაგნე მთელი ქალაქი,  
აღმოცენდი ქალაქის მტვრიდან,  
შენი ხვედრია  
ითვალთმაქცო იმთა წინაშე,  
სანამ ისინი განგძარცვავენ შენი თავიდან.

აუსრულე, რასაც დაჰპირდი  
დაბურულ სარკეს ჰაერში და  
ქარიშხალში დარაზულ კარებს.

მიუვალთა ციცაბო გზა სამოთხისაკენ.

3. შოი, თვალეზო, ამომწვარნო მზით გადამხმარ  
დედამიწაზე

დაბინდულნი ყველა თვალის ნაწვიმარით,  
ანმყოს მწუხარე ობობების  
უჩინარ ქსელში  
გადახლართულნი...

4. ჩემი დუმილის სამარეში  
ჩაფალი სიტყვა,  
და ზეალმართე ტყეები ორმხრივ,  
რომ ბაგე ჩემი  
სამუდამოდ დაფაროს ჩრდილმა.

### რა უნდა დავიძრა?

ხან ხე ვიყავი მიწას მიბმული,  
მერე ამოვსხლტი ზეცისკენ ჩიტად,  
სადაც ჭუჭყიანი ორმო ვიგულე  
კვერცხი გაზარული დავტოვე იქვე.

რომელი ერთი ვარ? ვერ ვიხსენებ,  
საიდან მოვდივარ ან წინ რას ველი,  
ჩემში იმდენი სახე განისვენებს,  
ხან მავთულხლართი ვარ, ხან შველი.

დღეს თუ ნეკერჩხლის ტოტზე ვზივარ,  
ხვალ ვიქცევი ალესილ ცულად.  
შეიკრა ცოდვები მაშველი რგოლივით,  
რომლითაც თესლიდან თესლისკენ ვცურავ.

მაგრამ ჯერ მღერის ჩემში დასაწყისი –  
თუ ბოლო – რაც გაქცევას აფერხებს.  
მინდა, ავაცილო ისარი შეცდომას,  
ჩიტში და ნამცეცში რომ დამეძებს.

იქნებ კიდევ ვიცნო ჩემი თავი –  
მტრედში, ნასროლ ქვაში ერთხელაც,  
რა უნდა დავიძრა, თუ სიტყვები  
ენაში მუ არ დამემთხვევა.

ხეებში ხეებს ველარ ვხედავ.  
 ტოტებს აღარ აქვთ ის ფოთლები, ქარში რომ ჰქონდათ.  
 ნაყოფი არის ტკბილი, მაგრამ უსიყვარულო,  
 ველარ განაყრებს.  
 რალა მოხდება?  
 ტყე ჩემ თვალნი იპარება,  
 ჩემს ყურთან წყვეტს სიმღერას ჩიტი,  
 ჩემთვის მინდორი აღარ არის სანოლად.  
 გამაძლარი ვარ დროით,  
 მაგრამ ისევ დროის შიმშილს განვიცდი.  
 რალა მოხდება?

ღამამობით დაენტება მთებზე კოცონი.  
 ისევ გადაფხნა ჩემი თავი? ისევ ყველაფერს მივუახლოვდე?

ვერცერთ გზაში გზას ველარ ვხედავ.

**გადავადებული დრო**

უფრო რთული დღეები მოდიან.  
 პორიზონტზე იკვეთება  
 გაუქმებამდე გადავადებული დრო.  
 შალე თასმა უნდა შეიკრა  
 და ძაღლები უკან, ჭაობისკენ დაგეშო.  
 რადგან ქარმა გააცია  
 თევზის მიგანი.  
 თერმიები ციალებენ.  
 ნისლში არჩევს შენი მზერა:  
 პორიზონტზე იკვეთება  
 გაუქმებამდე გადავადებული დრო.

იქით სილაში იძირება ვინც გიყვარს,  
 სილა უფარავს ტალღოვან თმას,  
 სილა სიტყვებში უცვივდება,  
 გაჩუმებას უბრძანებს,  
 იცის, რომ ის მოკვდავია  
 და ხელის ყველა მოხვევისას  
 განმორება სურს.

არ მიიხედო უკან.  
 შეიკარი ფეხსაცმელი.  
 ძაღლები დაგეშე.  
 თევზები ზღვაში გადაყარე.  
 თერმიები ჩააქრე!

უფრო რთული დღეები მოდიან.

**რაც ნამდვილია**

რაც ნამდვილია, არ შეგაყრის თვლებში სილას.  
 რაც ნამდვილია, ის სიკვდილით შეგთხოვს განაჩენს,  
 მას, ტკივილისგან გადაქანცულს, შენს ხორცში სძინავს,  
 რაც ნამდვილია, საფლავის ქვას შენსას გადასწევს.

რაც ნამდვილია, თუნდაც ჩაქრეს, მაინც გასხლტება  
 მწვანე ბალახში, ამოხეთქავს მდუმარე ბაგეს  
 და წლები გავლენ, წლების მერე ცხადი გახდება –  
 რაც ნამდვილია, დროს კი არ ქმნის, ის დროა თავად.

რაც ნამდვილია, ხელით მინის თხემი უჭირავს,  
 ჩამოუვარცხნის სიზმრებს, გვირგვინს, დათესილ ველებს  
 მინაში ურევს, გადაპენტილ ნაყოფში ზილავს,  
 შენში თქვიფავს და ერთიანად გაცარიელებს.

რაც ნამდვილია, ის არ მალავს ძარცვისას სახეს,  
 თუმცა, შენ ამ დროს რაც გიყვარდა, ყველაფერს კარგავ.  
 მისი ნადავლი თავად შენ ხარ. ჭრილობას გახევეს  
 და შენში ისე შემოაღწევს, ვინც გიღალატა.

მოდის მთვარე და შხამით სავსე დოქი შემოაქვს,  
 უნდა დალიო შენი წილი. დროა მწარე ჩამოწვეს ღამე,  
 მტრედის ბუმბული ნაფლეთებად გვათოვს ზემოდან,  
 ყლორტსაც კი ველარ გადაარჩენს ახლა ვერავინ.

სამყაროს ეკერი, გასუსტებენ მძიმე ჯაჭვები,  
 მაგრამ ის, რაც ნამდვილია, კედელს ეხლება.  
 იზრდება, უკუნ სიბნელებაში იქით აწყდება,  
 საითაც კარი მღვრიე ბინდში არ ირეკლება.

**ყოველღა**



*ომი აღარ გამოცხადდება,*  
ის გაგრძელდება. შემზარავი ამბები ყოველდღიურობად იქცა. გირი ბრძოლისგან გაუცხოვდა. სისუსტემ ცეცხლის ხაზს მიაღწია. დღემ მუნდირად მოთმინება ჩაიცვა და გულზე ჯილდოდ დაიბნია იმედის უბადრუკი ვარსკვლავი.

ამ ჯილდოს მაშინ გასცემენ ხოლმე, როცა აღარაფერი ხდება. როცა დაფდაფების ცეცხლი ჩაცხრება, როცა მტერი აღარსად ჩანს, როცა მარადიული ჯავშნის ჩრდილი დაფარავს ზეცას.

ამ ჯილდოს იმას გადასცემენ, ვინც დროშას აგდებს და გაიქცევა ვინც მეგობარს ეჯობრება მამაცობაში, ვინც გასცემს მზაკვრულ საიდუმლოს და არანაირ ბრძანებას არ ემორჩილება.

**ერთგვარი დანაკლისი**

ერთად ნახმარი: ნელინადის დროები, წიგნები, მუსიკა. გასაღები, ჩაის ფინჯნები, საპურე, ზენრები და სანოლი. ნამზითევი სიტყვები, ჟესტები, მოტანილი, გამოყენებული, გაცვეთილი. სახლში წესრიგის დამყარება. თქმა. კეთება. ხელის განვდენა.

ზამთარში ვენის სეპტეტი და ზაფხულში შემიყვარდა. რუკებში, მთის ქოხში, სანაპიროებზე, სანოლში. თარიღების გაფეტიშება, დაპირებები, რომლებიც, შეიძლებოდა, არ შესრულებულიყო, გაღმერთება და რწმენის შექმნა არაფრისგან

(– დაკეცილი გაზეთისგან, გაციებული ფერფლისგან, ჩანანერების ფურცლისგან) რელიგიაში შიშის გარეშე, რადგან ეკლესია იყო სანოლი.

ზღვის ხედიდან მოდიოდა ჩემი დაუშრეტელი მხატვრობა. აივნიდან ვესალმებოდით ხალხებს – მეზობლებს. ბუხრის ცეცხლთან, უსაფრთხოდ, ჩემს თმას ჰქონდა თავისი ფერი. კარზე ზარის ხმა სიგნალი იყო ჩემი სიხარულისთვის.

შენ არა, არამედ  
სამყარო დავკარგე.





ესეც მოხდება: დამსხვრეული სამყარო  
ისევ მწუხრში შთაინთქმება,  
ძილის ელექსირს მოუმზადებენ ტყეები,  
მცველები კოშკს მიატოვებენ,  
ბუები მშვიდად განაგრძობენ კოშკიდან მზერას.

ესეც მოხდება: ჩემო ჩიტო, შენ იცი  
შენი დრო. საბურველში გახვეული  
ნისლებს ჩემკენ გამოჰყვები.

წყვიდადის ველზე დავისადგურებთ, ავაზაკებით დასახლებულზე.  
ხელს რომ დაგიქნევ, ზეაიჭრები  
დაბზრიალდება შენი ფრთა და ბენვი -

ჩემი შევერცხლილი მხარსაბურავი, ჩემი იარაღი!  
ბუმბულებით მორთული, ერთადერთი იარაღი!  
ერთადერთი სამკაული: შენი ფრთა და საბურველი.

მაშინაც, როცა ხის ჩრდილის ქვეშ ნემსებზე ვცეკვავ  
და კანი მეწვის  
და ბუჩქები სურნელოვანი  
ბარძაყებზე მელამუნება,  
იკლანება ჩემი კულული,  
ირწევა და ნესტი აშრება,  
სწორედ ამ დროს, ზეცა ვარსკვლავების ნამსხვრევს  
ზედ თმებზე მაყრის.

როცა კვამლში გახვეულმა  
ვიცი, რაც მოხდა,  
ჩემო ჩიტო, ჩემო ნუგეშო ამ ღამეში,  
როცა ვანთივარ ამ ღამეში,  
უღრანი ტყიდან როცა ისმის ტკაცუნნი,  
და სხეულიდან ნაპერწკლებს ვისვრი.

როცა ვრჩები ანთებული  
ცეცხლია ჩემზე შეყვარებული,  
ღეროებიდან წვეთავს ფისი,  
ელვინთება ჭრილობებზე,  
და ნართს ართავს დედამინის ცხელ ზედაპირზე,  
(თუ შენ ამ ღამეს ჩემს გულს მოსტაცებ,  
ფრინველო ჩემი ერთგულების და ჩემი რწმენის!)  
განათდება ის კოშკურაც  
რომელსაც შენ, დამაშვრალი,  
ღვთაებრივი სიმშვიდით სავსე  
გადაუფრენ -  
ესეც მოხდება.

**ჭეშმარიტად**

ანა ახმატოვას

ვისთვისაც სიტყვას არასოდეს უღალატია,  
მე გეუბნებით,  
ვინც თავის თავს  
კურნავს სიტყვებით -

ის ვერასდროს განიკურნება.  
მოკლე გზით, ვერა.  
და ვერც გრძელი გზით.

ერთი მყარი წინადადება,  
სიტყვების გუგუნს გადარჩენილი.

ვერავენ შეძლებს მის დაწერას,  
ვინც სისხლით არ წერს.

**გერმანულიდან თარგმნა მაია ლიპარტელიანმა**

## 2015



გერმანულენოვანი ლიტერატურით დაინტერესებული საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ ყოველ ზაფხულს ავსტრიის ქალაქ **კლაგენფურტში** ლიტერატურული ფესტივალი იმართება – გერმანულენოვან სივრცეში წლის უმნიშვნელოვანესი ლიტერატურული მოვლენა: **ინგებორო ბახმანის (1926-1973 წწ.) სახელობის ლიტერატურული პრემიის** გადაცემის ცერემონიალი (კლაგენფურტი მწერლის მშობლიური ქალაქია, ფონდი მწერლის გარდაცვალების შემდეგ დაარსდა, პრემია 1977 წლიდან გაიცემა).

თუმცა, პრემიის მოპოვება უნდა და კონკურსის წესების მიხედვით, ფესტივალის დღეებში კომპეტენტური, შვიდკაციანი ჟიურის მიერ რამდენიმე თვით ადრე შერჩეული და მოწვეული 14 ავტორი საკუთარ, ძირითადად ამ კონკურსისთვის შექმნილ მხოლოდ ერთ ნაწარმოებს საჯაროდ – ჟიურისა და დამსწრე საზოგადოების წინაშე – მყუდრო გარემოში კითხულობს.

ამისათვის თითოეულ მათგანს, დაახლოებით 25 წუთი აქვს გამოყოფილი და ტექსტის ხმამაღლა წაკითხვა, როგორც წესი, სამ დღეზეა გათვლილი. კონკურსის პირობა ასეთია: პროზაული ტექსტი არ უნდა იყოს მანამდე გამოქვეყნებული, დაწერილი უნდა იყოს გერმანულ ენაზე და კითხვის დროს ავტორმა ტექსტის ლირსებებში უნდა დაარწმუნოს როგორც დამსწრე საზოგადოება, ისე პროფესიონალებსა და კრიტიკოსებს, ავტორები, ლიტერატურის დარგში მოღვაწე მეცნიერები, ხელოვნების სფეროში მოღვაწე ჟურნალისტები და ა.შ.) შეკრებილი ჟიური.

მოკლედ, კონკურსი გამჭვირვალეა და ჟიურის წევრებს საშუალება ეძლევათ, დისკუსიის ნაწილში – ცალკეული ნაწარმოების მოსმენის შემდეგ – საკუთარი აზრი ასევე ხმამაღლა და თავისუფლად გამოთქვან; ავტორი იქვე ზის და გარეგნულად მშვიდად, ყველა შემთხვევაში ზედმიტევს ექსცესების გარეშე ისმენს შენიშვნებს, კეთილ მითხრობას და არც თუ იშვიათად დაუნდობლად, თუმცა ობიექტურ, დასაბუთებულ კრიტიკას. მეხუთე დღეს ოფიციალურად ცხადდება გამარჯვებული და მას საკმაოდ სოლიდური საპრიზო თანხა – 25 000 ევრო გადაეცემა.

წელს კონკურსი 1-დან 5 ივლისის ჩათვლით გაიმართა და ინგებორო ბახმანის პრემიის 39-ე მფლობელი ახალგაზრდა ავტორი **ნორა გომრინგერი (Nora Gomringer)** გახდა ტექსტისთვის „გამოძიება“ („Recherche“).

მამით შვიცარიელი და დედით გერმანელი, 1980 წელს დაბადებული ავტორი თითქმის ყველა ინტერვიუში აღნიშნავს, რომ მას 7 ნახევარძმა ჰყავს და ამით ძალიან ამაყობს. სკოლა პენსილვანიაში დაამთავრა, უმაღლესი განათლება ბამბერგის უნივერსიტეტში მიიღო, სწავლობდა გერმანისტიკასა და ხელოვნების ისტორიას. ამჟამად ბამბერგში ცხოვრობს და 2010 წლიდან საერთაშორისო ხელოვნების სახლს – „ვილა კონკორდიას“ ხელმძღვანელობს.

გერმანულენოვანი სამყაროს ლიტერატურულ სცენაზე **ნორა გომრინგერი** ცნობილია, როგორც ლირიკოსი პოეტი. 2006 წლიდან მას გამოცემული აქვს ლექსების ექვსი და ესეების ერთი კრებული.

კონკურსზე გამარჯვებული „გამოძიება“ რამდენიმე ხმაში მოგვითხრობს 13 წლის ბიჭუნას ტრაგიკულ ისტორიას. როგორც ავტორი ამბობს, ნაწარმოების შექმნის მოტივაცია სამუშაო მაგიდის უჯრაში საგულდაგულოდ გადანახული, გაზეთიდან ამოჭრილი პატარა ინფორმაცია გამხდარა. ჟიური აშკარად მოიხიბლა ნორა გომრინგერის თხრობის სტილით. მომხდარის პრეზენტაციის ხარისხით, ტექსტში დასმული პრობლემის აქტუალურობითა და სინტაქსურ-ლექსიკური ფანდების ოსტატური გამოყენებით.

დაბოლოს: **ინგებორო ბახმანის პრემიის** დაარსებიდან თითქმის 40 წელია გასული. როგორი კომპეტენტურიც არ უნდა იყოს ჟიური, კონკურსი მაინც თუ შეიძლება ასე ითქვას, დროით-სივრცითი პარამეტრებით გაპირობებული სუბიექტური ფიქციაა პრემიის 38 მფლობელთა შორის მხოლოდ რამდენიმე სახელი აკაპკაშდა, ან საერთოდ შემორჩა ლიტერატურულ ასპარეზს; დანარჩენები კი კონკურსების ისტორიაში შევიდნენ უბრალოდ, როგორც გამარჯვებულები, რაც თავის მხრივ არანაკლებ სასიამოვნო მოგონებაა.



ნორა გომრინგენი

მიკროფონი მუშაობს? ვამონწმებ, ვამონწმებ.  
მიკროფონი მუშაობს? Ok. ფეიქრობ, ასე კარგია.  
მოგესალმებით, მოგესალმებით. დღე პირველი.  
მე გახლავართ ნორა ბოსონი<sup>1</sup>, ტექსტს ვწერ,  
უფრო სწორად, **Shit**.  
მე გახლავართ ნორა ბოსონი, ვაგროვებ მასალებს ტექს-  
ტისთვის: „დაკარგულთა ღმერთი“. Ok.

დღე პირველი.  
ცოტა გადავახვიოთ. Ok. ჩამწერი ჩართულია და მუშა-  
ობს. Ok.

სტუმრად ვარ ტერაპიების ოჯახში. ქალბატონი ტერაპი-  
ცხოვრობს ქალიშვილთან, ეველინთან ერთად მეხუთე სარ-  
თულზე, გონერშტრასე 18-ში.

წითელი ლაბადა აცვია და ჩვენს კარზე რეკავს. ისეთი  
თხელია, წითელი პირი გახეული კონვერტის ფართო ნაპრალ-  
ივით მოუჩანს სახეზე. ასე ოცდაათს გადაცილებული უნდა  
იყოს, 12-ს გადაცილებულს კი ჰგავს. **დედი!** ვყვირი, მაგრამ  
სახეში შევყურებ. როგორც ფსიქოტრილერებში მინახავს,  
თავს ოდნავ გვერდულად ვხრი და შევყურებ. ინტენსიურად  
იზუშავეთ, ინტენსიურები იყავით. ბატონი მაკი ყოველთვის  
ამას გვეუბნება. ახლა კი, შემიძლია, ვივარჯიშო. **დედი!**

<sup>1</sup> ნორა ბოსონი (Nora Bossong) რეალური პიროვნებაა, ახალგაზრდა გერ-  
მანელი პოეტი. ეს სახელი და გვარი ავტორმა მასთან შეთანხმებით გამოი-  
ყენა ტექსტში, თუმცა, ამ ამბავთან მას პიროვნულად არანაირი შეხება  
არ ჰქონია.

ევე, არ არის აუცილებელი, იყვირო, ან  
ასე იღრიალო. უკვე აქ ვარ. გამარჯობა, შე-  
მობრძანდით, ქალბატონო ბოსონ. ევე, გაიწიე  
და შემოუშვი ქალბატონი ბოსონი. აქეთ მო-  
ბრძანდით, ფეხსაცმელს ნუ გაიხდით, მე დამ-  
ლაგებელი ქალი მყავს აყვანილი, კვირაში  
ერთხელ მოდის, ამიტომაც შეგვიძლია ფეხ-  
საცმელი დავიტოვოთ. ყველაფერი რიგზეა.

ქალბატონო ტერაპი, დიდი მადლობა, ბინაში  
რომ შემომიპატიეთ. ეველინთან, მის ქალიშ-  
ვილთან ერთად, დივანზე ვსხდებით და გარეთ  
ქალაქის სახურავებს ზემოთ მონმენდილი ცის  
დანახვაც კი შეგვიძლია. აპარატი ჩართულია.  
ახლა ყველაფერს ჩავინწერ, რასაც მიამბობთ.  
მითხარით, სად იყო მისი ოთახი?

ევე, ნუ დაიზარებ, ერთხელ კიდევ  
გაიქეცი და ყავისთვის ნაღები მოგვიტანე,  
ქურასთან დევს, მარჯვნივ. – ერთი წუთით,  
გეთაყვა! დაინახე? პატარა ტოლჩით წამოიღე,  
სარძევე ტოლჩით. ჰო, მაგით. წამოიღე.

ნელა ვმოძრაობ, მინდა, ამ ქალბატონმა  
ბოსონმა იგრძნოს, რომ ჩემი გამოცნობა არც  
ისე ადვილია. რომ მე უფრო მეტი ვარ, ვიდრე  
ჩემი 22-წლიანი გარეგნობა. მაგრამ შეძლებს  
კი, დაინახოს, რომ არ ვიცი, როგორ აკმაყო-  
ფილებენ მამაკაცს ორალურად? არა, თეო-  
რიას რაც შეხება, ვიცი, მაგრამ აი, პრაქტი-  
კულად ვიგულისხმე. ნეტა თუ გრძნობს, რომ  
მეც ვარ სულ ოდნავ დამნაშავე, მხოლოდ  
სულ ოდნავ? სხვებთან შედარებით, რა თქმა  
უნდა. ნეტა, იმ საფრთხეს თუ ხედავს, რაშიც  
აქ თავი გაყო?

მომიტყვეთ, რა მკითხეთ?

მისი ოთახი ვიკითხე.

აჰ, დიახ! აი, ნაღები.

და ვიდრე სამიდან ორი ქალი ნაღვლიან,

უცნაურ ამბავს იწერს პატარა აპარატში, შენობის წინ შემორჩენილი ყვავილების თაიგულები გააქვთ. ერთი-ორი დათუნიანი წვიმისგან შელახული ბენვით ჯერ კიდევ დევს აქეთ-იქით. მურყნის სიახლოვეს თევზისკობილებიანი კაცი დგას და ლაყუჩებს ბერავს, ის ხმელეთზე ისევე სუნთქავს, როგორც წყალში, მას არავინ იცნობს, უყურებენ, მაგრამ ყველას არ შეუძლია მისი დანახვა. მას ბევრი დრო აქვს და უსაზღვრო დროის წყალობით დგას და ადამიანებს აკვირდება. ზოგჯერ ყლაპავს კიდევ მათ.

ქალბატონ ტერბთან საუბარმა დამაბნია. მოფიქრებულ გეგმას მაინც მივყვები და სართულ-სართულ გამოკითხვას ვაგრძელებ. ინტერვიუს ვიღებ იმ ადამიანებისგან, ვინც კარს მიღებს. იქნებ ბოლოს კიდევ ერთხელ მივსულიყავი ტერბთან და ზოგიერთი საკითხი დამეზუსტებინა. რატომ იმავე შენობაში, უდედო ოჯახი, რატომ აქ, არავინ ჰყავს? ამგვარი შეკითხვები.

გამარჯობა, ქალბატონო ბოსონ, თქვენი ბოლო წიგნი საკმაოდ შთამბეჭდავი იყო. ავტოგრაფს ხომ არ დამიტოვებდით?

ოოო, ამას ნამდვილად არ მოველოდი. ამგვარ შეხვედრას აქ. რა თქმა უნდა, სიამოვნებით. - აი, ინებეთ. შეიძლება, ამ შენობაში მომხდარ ინციდენტებთან დაკავშირებით და 23 თებერვლის ამბებზე რამდენიმე შეკითხვა დაგისვათ?

არა.

იცით, ვიფიქრე, თუ შიშობთ, რომ მე. იმ-აზე. მე. ყველაფერს, რასაც მეტყვით, ანონიმურად შევიტან ჩემს ტექსტში და ვერავინ მიხვდება, ვინ...

კარგად ბრძანდებოდეთ, ქალბატონო ბოსონ.

რა თქმა უნდა, კარს ვხურავ. ამ პატარასახიან არსებას ცხვირწინ ვუჯახუნებ კარს და ჩემი ავტოგრაფიანი წიგნით საძინებელში გავდივარ. ლამაზი კალიგრაფია ჰქონია პატარა ქალს. რაღაცნაირად ხელნაწერ რეცეპტს მაგონებს, ძლივს რომ იკითხება. ვინ იყო ის ავტორი, ბოლოს ავტოგრაფი რომ ვთხოვე?

აჰ, გრუნბანი? ისიც ლირიკოსი. აქ კი ბოსონს ოჯახური რომანი დაუწერია. საინტერესოა, უდავოდ ჭკვიანი. ასე გამოიყურება. ნეტა ახლა როგორი სახე აქვს, შინ რომ არ შემოვივუში. ტერბებმა თუ შეუშვეს? ბებერი ტერბი ამკარავს გაულებდა კარს. მისი სასაცილო ქალიშვილი მითუხრებდა მსახიობობას სწავლობს კერძოდ. იყურება ისე, თითქოს დაწინიო" მყავდეს. ამკარავს დარწმუნებულები არიან, რომ მე მაგ ამბების არაფერი ვიცი, რადგან, სადარბაზოში რომ გავდივარ, არავის ველაპარაკები. მაგრამ მე ვკითხულობ. და შემდეგ ვფიქრობ კიდევ. და მე კარგი სმენაც მაქვს. ასე ერთი სასწრაფოდ ნამოდექი. არა, მართლა. წარმოუდგენელი ბებერი გამოტოვე. და მე არ შემიძლია, ორივეს მაგივრად კარგად ვიცხოვრო, შენთვისაც ვიცხოვრო, ესე იგი. სად წაიღო ახლა ეს ბოსონი? მარჯვენა მუხლისთავზე თხელი ვერფელი გადევს. ესეც ასეთივე ავტოგრაფიანი გამოცემაა. ფრანგ ვერფელი<sup>2</sup>, ვენა. წელი არ აწერია. როდის იყო ვერფელი ვენაში? შეკითხვა. გერმანიისტიბი რომ იხოცებინა, გაცილებით მეტ შეკითხვას ტოვებენ, ვიდრე სხვა პროფესიის ადამიანები მოდი, ბოსონსაც მუხლზე დაგადებ ვერფელის თავზე. რაღა აზრი აქვს ჩვენს თანაცხოვრებას? საწოლის ერთ მხარეს წევხარ წიგნებითა და ნაწერებით დაფარული. მე კი სრულიად ცარიელი - საწოლის მეორე მხარეს. საესეა დღეები გოდებით. ეჰ, არავინ კითხულობს, სად ხარ. ექვსი თვეა, არავის გახსენებინარ. მხოლოდ ქალბატონი ბოსონი მოდის და სახლზე ბარათს აწებებს. თურმე ყველა ჩვენგანის გამოკითხვად მომბიბა. დიდი ქალბატონი ბოსონი ჩვენს კართან. პოო დადგა ისევ ის დღეები, 3 sat<sup>3</sup>-ზე კონკურსს რომ უჩვენებდნენ მალევიარასაც კი მაგ დროზე ვაყენებ, დღისით, მზისით.

და ვუყურებ ხოლმე, როგორ ამუშავებენ ახალგაზრდა ნაკლებად ახალგაზრდა და ასაკოვან ავტორებს ნაწილ-ნაწილ კბილებით გლეჯენ მათ ჯდომისგან დარბილებულ ხორცს. ასე ჩვენც გვითამაშია ცოტ-ცოტა ყოველთვის. ჩვენ ორი რადგან ყელს ვერ ვივსებდით განსწავლულობით, ერთმანეთს ტექსტებით ვკვებავდით. არ დადგა დრო, გავაგრძელოთ? ან თუ გამოვიცნობთ? ბახმანმა გადაგვრია. მალინა<sup>4</sup> და წერილები<sup>5</sup>. ეს ყველაფერი ხელახლა უნდა გადავალაგო. დაბნელებათ ბევრს ვმოძრაობ? შენ კი საერთოდ არ იხმრევი.

აი, ასეთია წყნარი გერმანისტი ქალი, ოდესღაც ბერნი

<sup>2</sup> დ. გრუნბანი, თანამერდროვე გერმანელი ლირიკოსი, ესეისტი და მთარგმნელი.

<sup>3</sup> ფრანც ვერფელი (1890-1945 წწ.) - ებრაული წარმომავლობის ავსტრიული მწერალი.

<sup>4</sup> 3 sat - რეკლამებისაგან თავისუფალი გერმანულენოვანი სატელევიზიო არხი.

<sup>5</sup> "მალინა" - იგულისხმება ინგებორგ ბახმანის ამავე სახელწოდების რომანი.

<sup>6</sup> იგულისხმება ინგებორგ ბახმანის წიგნად გამოცემული წერილების რამდენიმე ცნობილი კრებული, მათ შორის, მიმოწერა პაულ ცელანთან სხვ.



უნივერსიტეტის პროფესორი, პარტინორს ლოგინის ფორ-  
მადაკარგულ, ჩაღრმავებულ ნაწილს უსწორებს – ახალი  
ნაწილებით უფსებს, აწესრიგებს. იშვიათად გამოუტირებიათ  
ეინმე გონერშტრასე 18-ში ასეთი სიზუსტით. 17 საათზე ახ-  
ალგაზრდა კაცი მოდის, საკმაოდ პატარა, საკმაოდ გულმო-  
დგინე და პროფესორს ტაფტის დიდებული ლურჯი ლენტით  
სულ რამდენიმე წამით – თვითონ პროფესორმა მოითხოვა –  
ყელიდან ამოსულ ჰაერს უხშობს. ეს რიტუალია და კვირაში  
ორჯერ სრულდება, უმეტესწილად ფეისბუქის ჩატში თანხმ-  
დებიან შეხვედრაზე და პროფესორს ისევ უბრუნდება მცირე  
ხნით სიცოცხლის სურვილი. მხოლოდ ასე შეუძლია გარკვეუ-  
ლი დროით ისევ გაძლება. „როდის მოხვალ?“ ეკითხება ახალ-  
გაზრდა კაცს, ისიც დღესა და კიდევ საათს უსახელებს, მერე  
კუპიურას უდებს და უშვებს. იმანაც ხომ უნდა, იხეიროს,  
ქალს სიკვდილი დაანახა რამდენიმე წამით და არსებობის  
სურვილი დაუბრუნა.

გამარჯობა! კიდევ ერთხელ ვაკაკუნებ. ეს რა უბედურე-  
ბაა. გამარჯობა! ბატონო თომას – რა კარგია, შინ რომ ბრ-  
ძანდებით. მე ნორა ბოსონი ვარ. უკვე რამდენიმე დღეა,  
ვცდილობ, აქ, ამ შენობაში მონაცემები და ინფორმაცია მივი-  
ლო ამა წლის 23 თებერვლის ამბებთან დაკავშირებით. ალბათ,  
თქვენც ნახავდით სახლის კარზე ბარათს, მე მწერალი ვარ.

გაუმარჯოს!

გამარჯობა, ბატონო თომას. მომცემთ ნებას, რამდენიმე  
შეკითხვა დაგისვათ? დიდხანს არ შეგაწუნებთ.

დიას.

შემიძლია, შემოვიდე?

დიას.

ბატონ თომასთან ყველაფერი თვდაყიო-  
დგას, თავად ბატონი თომასის ჩათვლით.  
დღის მონაკვეთები, წელიწადის დროები, მათ-  
თან დაკავშირებული კონკრეტული საგნების  
ჭეშმარიტი სახელებიც კი. ბატონი თომასი  
ბიქსელის<sup>7</sup> მოთხრობის ერთ გმირს მაგონებს,  
რომელიც ფინჯანს მაგიდას ეძახის, ქალს –  
დანას. როცა ლაპარაკს იწყებს, გადარეულ  
მექუდეს<sup>8</sup> ემსგავსება:

შინ შემოდით. შემოფრინდით. წამოჯე-  
ქით. ყავა მიირთვით. წვენი გამოწურეთ.  
კვერცხი მოვხარშოთ. დანა გავლესოთ. დაბრ-  
ძანდით. აქ. რატომაც არა? წამოვხტეთ. დიას,  
თქვით? თვალები გაუფართოვდა, მოკლე  
კაბა, ლურჯი პალტო, პალტო სინამდვილეში  
წითელია. აქ, დიას. გსურდათ, გნებავდათ აქ?  
მე არ ვარ ჩიტი.

ბატონო თომას, მინდოდა მეკითხა, ტო-  
ბიასზე რა იცით? ბიჭუნაზე, ტერაზებთან რომ  
ცხოვრობდა და ბოლოს აქ, ამ შენობაში...

ტან-ტანი, ო-ორმო, რაე-რაში, ტან-ტანი,  
ინ-ია. ტობიასი. მე არაფერიც არ ვიცი. ჰმ,  
ჰმ. მე მარტო ვარ. დიას. თქვენ კი ახლა აქ  
ხართ. დიას. უმეტესწილად. ანი-დან ჰოე-მდე  
და შენ ხარ ენი. ზემოთ არიან კროიცერები,  
მათ ზემოთ ტერაპეები და ზეცა. ვინც სახურ-  
ავზე ავა, ცას დანახავს. გონერშტრასე ისე-  
თივე გამოგონებაა, როგორც დრო.

მეგობარი მყავს, ლურჯი მელია, წვი-  
მასავით ფერწასულია.

ბატონო თომას, შეგიძლიათ, ტობიასზე  
მიამბოთ? იქნებ ამიხსნათ, როგორ იმოქმედა  
თქვენზე?

ისე, რომ ისევ აქ დავბრუნდი. აქ, დაკარ-  
გულების ტერიტორიაზე.

რას გულისხმობთ, რატომ დაკარგულბის?

<sup>7</sup> პეტერ ბიქსელი, თანამედროვე შვეიცარიელი მწერალი.

<sup>8</sup> ბიქსელის მოთხრობის გმირი.

მე აქ ვარ, თქვენც აქ ხართ, ყველა და ყველაფერი დანარჩენი შორსაა. ახლა დავიჭერ ლამას და თქვენ მოგიმზადებთ ყავას.

ენამახვილი ბრძანდებით, ბატონო თომას, პროფესია ენასთან გაკავშირებთ?

მე პენსიონერი ვარ, ნაადრევად პენსიაზე გასული. როზმარინი აივანზე, ცერეცო და ფორთოხლის ხე. ადრე ცხოველებთან მქონდა საქმე. არ ვიტყვი, რა, მე მათ მხოლოდ ვჭამდი.


როგორ ფიქრობთ, ამ ტრაგედიამ მთელ კორპუსზე იმოქმედა?

მე აქ ვარ, თქვენ აქ ხართ, დანარჩენები შორს არიან.

ასე და ამგვარად, ავტორი ბოსონი ტოვებს მესამე სართულს მართლაც გზაბნეულ ნივთებიანად და ჰაერში მოფარფატე კითხვითი ნაწილაკებით, ტოვებს ბატონი თომასის მზით დატბორილ სადგომს, სადაც იძულების წესით, სრულიად მოუხერხებლად იჯდა სანოლის კიდებზე, რადგან ყველა დანარჩენ ადგილებს ალუმინის ფოლგა ჰქონდა გადაფარებული, ყველა ლაქას კი რაიმე ნივთი ფარავდა. როგორც ჩანს, ბატონი თომასი ჭანჭიკების მიმართ დიდი სიმპათიით გამოირჩეოდა. ჭანჭიკები ეწყო ირგვლივ ყველგან. მიხვედრა შეუძლებელი იყო, რა რომელი ინსტრუმენტის ნაწილი უნდა ყოფილიყო.

ყველა შემთხვევაში აშკარად რაიმე დროშომის კუთვნილებას წარმოადგენდნენ. ავტორი ბოსონი ქანცვანყვეტილია. მისი საველე კვლევების – ახალი ტექსტისთვის მასალების შეკრების – მესამე დღეს. ის სადარბაზოში კიბის საფეხურზე ჯდება, ჩანანერს აჩერებს, რომელსაც სამუშაო ატმოსფეროს შესაქმნელად ბოლომდე ჩართულს ტოვებს ხოლმე, რადგან ხანდახან კარის დაკეტვისას გაგონილი ჩურჩული გაცილებით საინტერესოა, ვიდრე ორსაათიანი საუბარი ყავის სმით.

სწორედ ახლა დაამთავრა და ზის სადარბაზოში მესამე და მეოთხე სართულებს შორის, გონერშტრასე 18-ში და ისვენებს. ჯერ ჩანანერს ამოწმებს. ზის და უეცრად ღრიალი უნდება. მაგრამ იმის ნაცვლად, რომ



უკანასკნელ დღეებში მიღებული დაძაბულობისგან განსხვავებით, ტვის მიზნით იტიროს, საკუთარ თავს ეკითხება: ფარისებრი ჯირკვალზე ხომ არ მაქვს პრობლემები? მალე თვიური ციკლი დამწყდება, ხდება კიდევ რაიმე, გარდა ამ ჭორბორბორი მუშაობისა? მწერალი ვარ, თუ ომის რეპორტიორი? მჯერა რასაც მიყვებიან? რა მოუვიდა ბიჭს? ტობიას გერმანული 13 წლის, გარდაიცვალა მეხუთე სართულიდან გადმოვარდნის შედეგად, ტერაპების ოჯახის აივანიდან გადმოხტა. დღეს ტერაპი და მისი ქალიშვილი ეველინი იმ დღეს საყიდლებზე იყვნენ, კონსერვებისა და ქუინოას ფირმის მარცვლულ პროდუქტების თაროებს შორის, შერიის, სიმინდის ფეკიის სხვა დანარჩენი სახეობის ფეკილებისა და ზეთების რიგში მიიღეს პოლიციიდან მობილურზე მზრუნველობამოკლებულ ნაშვილების დალუპვის შესახებ შეტყობინება. პოლიციამ ნომერი იმ დროიდან ჰქონდა, ეველინის წინააღმდეგ სასაქონლო ვარი რომ შევიდა საზოგადოებრივი ალმუფოთების გამოწვევით გამო, როცა მან პატარა გოგონა კარშტატის<sup>9</sup> გასახდელს ჩაკეტა და აღარ უშვებდა. „ინტენსიურობა“ – თავს იმართლებდა ეველინი და ამტკიცებდა, რომ ეს იყო საშიშროება, თუ კარგი მსახიობი უნდოდა გამხდარიყო. მეტოქე სართულიდან, პირით მიწისკენ, მაშინვე აღესრულა, მასობრივ დანარცხება, სათუთი ბიჭუნა. ფიქრებში ჩაფლულ ავტორს ესმის, როგორ იღება სადღაც სახლის კარი. მეტი არაფერი უნდა. გარედან გაიღო, თუ შიგნიდან? ეს სახლი უფრო მეტად აკონსერვებულია. აშკარად ყველაზე ჭკვიანს მისი შინ უნდა ვეება არ სურს. მეოთხე სართულზე. პროფესორ ქალს, ქვეყნის უნდა იყოს. ნორა ბოსონი მას სიამოვნებით გაესაუბრებოდა მაგრამ ვისაც არ სურს, არც ღირს მისი განამება. ეს დღეს უფრო ტური თემაა. ისინი პოლიციამ უკვე ისედაც დაკითხა. მკვლელებს კი ვენეულ ადგილზე ნიხლის დაჭერა არაა აუცილებელი. ნი

<sup>9</sup> Karstadt - სავაჭრო სახლების სისტემა გერმანიაში.

იმ ჩხირებზე შემორჩენილი ცომის გაცლას ჰგავს, რომლითაც მანამდე ბისკვიტი შეამონწმეს. ბევრი რამ წერისას ამაზრზე-ნია. რადგან ის ვუალს იფარებს და უგულოა. ლირიკა თუ პროზა, სულერთია, ამბობს ავტორი ბოსონი და ჩანთიდან – ყავისფერია, ტყავისაა, გადასაკიდი აქვს და სასკოლო ჩანთას ჰგავს – იღებს ბლოკნოტსა და ფანქარს. და ყველაფერი მაშინვე კლიმედ იქცევა. ამით მას შეუძლია იცხოვროს, მაგრამ პირველ რიგში გასათვალისწინებელია გარემო, რადგან იქ ის ავტორები ხდებიან პოპულარულები, რომლებიც ისევე მოქმედებენ, როგორც ვილაცებები, ძირითადად გასული ასწლეულ-იდან. ავტორი ჩანანერს აკეთებს:

და ეს უსაზღვროდ ნაღვლიანი მეორე პილოტი მშვიდად სუნთქავდა, როდესაც თვითმფრინავი დაშვებას იწყებდა და უკანასკნელ ადგილამდე გადაჭედვით საჰაერო ხომალდში მყოფი სულელები, ინკლუზიურად თავისი საკუთარიც, მიჰყავდა; არავინ გამოჩენილა მრევლში ისეთი, ვინც მისთვის ლოც-ვას აღავლენდა; მრევლში, რომელიც მოყვასის სიყვარულის პროპაგანდას ეწეოდა და პალტოებითა და პლედეებით სავსე სატვირთოს საკუთარი ძალებით უკრაინისკენ მიერეკებოდა. ეს კაცი იყო ეშმა ეშმათა შორის. ის ერთ-ერთი ჩვენგანი იყო.

შემდეგ კი ჩანერა:

მსოფლიოში უდიდესი ქალი ზის აქ.

ის არის გაკეთებულის, ნათქვამისა და გამოყენებულის კრეატურა. მას აფასებენ და ზომავენ, მას ბევრი აქვს და კარ-გად არის გამოკვებილი, ის ბევრს იწონის, რადგან კარგად არის გამოკვებილი. ეს ქალი საკვირველი იარაღია. ის არის კანონზომიერება და იარაღი. ეს ამბავი მასზე მოგვითხრობს. ქალი ცისფერი, ქალი წითელი. ამ ქალს აქვს მხედველობის ნაკლი და ცარიელი საშვილოსნო.

ასე იქცევა ძალიან სულელი ქალი.

და

და როცა კაცი იხდიდა, ის ჰგავდა თეთრ თავს და დიდი გე-ლის წინაშე.

კაცი იყო პატარა და საქმიანი. როცა ქალს მასთან ეძინა, ქალისგან აღარაფერი რჩებოდა. იყო და არა იყო რა. ეს იყო განასაკუთრებული. კაცი ყველაფერს ჭამდა, ყველაფერი თან მიჰქონდა, მარაგს არ ტოვებდა. არაფერი იზოგებოდა. ისე გადიოდა ღამეები, როგორც ტრანსაქციები ძლევაშოსილ ბანკებში, სადაც მილიონები და მილიარდები მისრიალებენ ერთ ღამეში სანოლიდან სანოლზე. მხოლოდ ცოტა მწკარტე გემო დაჰკრავდა ამ ყველაფერს, ხელოვნური.

კითხვის ნიშანი

პატარა კაცი, მიუხედავად იმისა, რომ ის ასეთი პატარაა, მისი გადაყლაპვა, მთლიანად მიღება, ჰო, მიღებაც შესაძლე-

ბელია, კარგადაც კი მოქმედებს და შესაძლე-ბელია, ის იყოს მარტოობის სამკურნალო აბი.

ავტორი ამ ყველაფერს იწერს და აბსო-ლუტურად მცდარი იქნება იმის წარმოდგენა, რომ ავტორები უწყინარ რალაცებს, მშვენიერს, მშვიდ რადიადეს უმღერიან. ისინი იმას უმღერიან, სიცილი მათ იზიდავთ: მთლიანობის საპირისპიროს. და რადგან აზრები თავისუფალნი არიან, მათ დიდი დრო სჭირდებათ იმ-ისთვის, რომ ხეტიალი გადაწყვიტონ. ასეთი ჩაფიქრებული ზის ავტორი შავ ფორეჯებიან ქვის იატაკზე და უკვე მერამდენედ საკუთარი შარდის ბუშტის გამო შიშს შეუპყრია, მაგრამ ეს განცდა მისთვის ნაცნობია, ეს მისი საკუთარი სავარჯიშოა დედის გაფრთხილებები-სგან თავის დასაცავად საკუთარ თავში. ჯან-მრთელობას ინადგურებ, ნორა. ცხოვრებას მინგრევ, დედა.

Tobias is really sweet. ძალიან ნაზი, ოდ-ნავ მოგვირისტებული წარწერა იკითხება კე-დელზე მიუხედავად მსხვილწვერიანი მარკ-ერისა, შემოსასვლელიდან მარჯვნივ, შიგნით. ლურჯი ფლომასტერია, საკმაოდ იშვითი და კიდეც ეს „really“.

ვილაცას ძალიან სერიოზულად უფიქრია. მას შემდეგ, რაც ბიჭი 23 თებერვალს აივ-ნიდან გადმოვარდა, ვილაცას წარწერა წითე-ლი სანთლის ცვილით დაუფარავს, აკანკალე-ბული ხელით.

ბოსონი წამოდგომას აპირებს, ცივი გავით. ხელში ისევ ხმის ჩამწერი მოწყობი-ლობა უჭირავს, მხარზე იკიდებს ჩანთას და გზას აგრძელებს.

მეორე სართული, ლოიების ოჯახი: ტყუ-პები ფილიპი და თომასი, ცოლ-ქმარი ჰერმანი და სასკია ლოიები. ჩანანერისთვის ზარის ხმის იმიტაციას გავაკეთებ: წერრრრრრ, ვაი. გა-მარჯობა, მე მქვია ნორა ბოსონი. ჩემი გამოძ-იების გამოსაცხადებლად ბარათი ჩამოვიკიდე სადარბაზოში, შემოსასვლელში.

დიახ, მართალია, დიახ. გამარჯობა! შემო-ბრძანდით. ეს-ესაა ვისადილეთ. ახლა ბიჭებმა საშინაო დავალებები უნდა მოამზადონ. გიმ-ნაზიაში გადასასვლელ კლასში არიან. ჩვენ ამ ყველაფერს დიდი სერიოზულობით ვეკიდებ-

ით. აჰ, რა საშინელება მოხდა. რაც იმ ბიჭს დაემართა. თავაზიანი ბავშვი იყო. დიახ, დიახ, ბევრიც არაფერია მოსაყოლი. ერთ დღესაც ბიჭები ეზოდან შინ შემობრუნდნენ, თქვეს, ახალი ბიჭი გადმოვიდა ჩვენს ეზოშიო. მეც ხანდახან ვუყურებდი ფანჯრიდან: ეზოში იდგა ხოლმე, ხან იქვე იჯდა და კითხულობდა. საკუთარ თავში იყო ჩაკეტილი, ასე მეჩვენებოდა.

და ბიჭები, თქვენი ბიჭები, თამაშობდნენ მასთან?

აჰ, მე მგონი, იშვიათად. აქ ასეთი წესია. აქ ბავშვებს საკმაოდ მყარი დაჯგუფებები აქვთ. თქვენ ალბათ შეძლებთ წარმოიდგინოთ, როგორ ხდება ეს. ახალი ბიჭი ყველას თვალში მოხვდა, რადგან ის მშვიდი, თვინიერი იყო. მე ის ფერდინანდს<sup>10</sup> მაგონებდა, კუროს იმ მულტიფილმიდან. ყვავილებს რომ ყნოსავს, როცა სხვები საძოვარზე ყირაზე გადადიან. ფილიპი და თომასი ცელქები არიან, ტობიასი კი. ეს იყო შოკი. ალბათ უკვე ყველასგან გაიგეთ კიდეც. ასე შეიძლება უკეთესიც იყო.

რა ბრძანეთ?

ეჰ, არ არის ადვილი ასეთი ბიჭებისთვის ცხოვრება, ისინი ხომ სხვანაირები არიან. ისინი ასეთები რჩებიან სიცოცხლის ბოლომდე.

ხომ ვერ განმიმარტავდით უფრო გასაგებად? მგონი, ვერ გაგიგეთ, რისი თქმა გსურთ.

<sup>10</sup> იგულისმება ამერიკელი ავტორის Munro Leaf-ის (1905-1976) საბავშვო წიგნის - „ფერდინანდი კურო“ - გმირი და წიგნის მიხედვით შექმნილი პოპულარული მულტიმედიკაციური ფილმი.



რა არის გაუგებარი, პედერასტი. ვფიქრობ, ტობიასს ბიჭები მოსწონდა. ამიტომაც ზოგიერთები დისტანციას იცავდნენ ასეთ დროს, ან არადა, უხეშად იქცევიან.

ქალბატონი ლოის სპეკულაციები გაუგონარია და ამავდროულად მართალი. ავტორისთვის მთელი მისი გამოკითხვების განმავლობაში სწორედ აქ, ამ ადგილზე ნათელი ხდება, რომ ეს ერთი შეხედვით პატარა ბიჭი შემთხვევით კი არ ნარცხებია მიწას, არამედ გონერმეტრასემ ბავშვის თვითონვე ლეულახას მიადნია. მისთვის გასაგები გახდა, რომ ეს უცნაური, მკაცრი ჭეშმარიტება მისი აზრების დაფანტულობის მიზეზი იყო, ამ მისამართზე მას აღარაფერი ესაქმება.

ეს ყველაფერი, რაც ახლა მიამბეთ, ასევე მოახსენეთ პოლიციას?


არა, ამბობს ძუ ლომი. მხოლოდ ახლახან დავინყე ამას ვფიქრი. საქმის წარმოება უკვე დახურულია, რატომ გავაფიქროთ მძინარე ძალებში...

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც ავტორს პირდაპირ ბულს ტოვებს. მისი დაკარგულთა ღმერთი ამჟამად არ ეხმარება სიტყვების მოძიებაში. თავს რალაცნაირად ამარტავს რზენად გრძნობს, როცა ამ ქალს, სიცოცხლით საცხად ბიჭების დედას უსმენს. კიდევ იმიტომ, რომ ეჩვენება თითქოს კედლები ეჩურჩულებიან, თითქოს სურთ, უამბონ ცემა-ტყევის, თავდასხმების, დამცირებების შესახებ. რისი ატანაც ტობიასს უნევდა, ვიდრე გადანყევტდა ამდგარიყო, რათა დანარცხებულყო. ამგვარი ამბების მიმართ ავტორებს სენსორები აქვთ გააქტიურებული. ამგვარს ცოტა ამაზრზენის მიმართ.

ჩვენ სულაც არ ვართ სულელები. ის ქალი მოდის. ჩვენ X-ბოქსით ვართ დაკავებული, დაანებე მაგას თავი, გაიგე ბიჭო, ეეე, კიდევ ერთი ხელი ვითამაშოთ. ეს ქალი დედასთან რჩება და პედერასტებზე ლაპარაკობენ. აღარ ვიზამ, მე ამას აღარ გავაკეთებ. როგორ დავაფრთხეთ. საოცრად მაგარ სირბილი კი იცოდა. ნამდვილი ბაჭია იყო, ჯოხებივით ფეხები ჰქონდა. ზოგჯერ მგონია, რომ მოსწონდა. როცა ვაბადით? როცა მარკუსი იმ რალაცას, თვითონ რომ გააკეთა ისე უტრიალებდა, თითქოს შარვლიდან პირდაპირ ტრაკო უშვრებო. ჰა-ჰა-ჰა, ეგ მართლა ძალიან მაგარი იყო. მაქალმა თავისი მობილური, თუ რალაც, გამორთოს და მოუსვას აქედან, გამორთოს და მოუსვას.

ეს ორი ძმა - ფილიპი და თომასი - განსაკუთრებულ ცხოველები არიან. მოგვიანებით ისინი, ორივე, კოსტუმბს ჩაიცვამენ, ყველაფერს წაეპოტინებიან, რალაცას შეძლებდა და დაეუფლებიან, რალაც ხელიდან გაუსხლტებათ, მაგრამ





მინც ვერ მიხვდებიან, რომ გონერშტრასზე ჯერ კიდევ მაშინ ყველაფერი წააგეს. სამყაროს მოთმინების ფილა აევსო და ისინი ყელში ამოუვიდა.

Shit. გარეთ ვდგავარ, ლოიების ბინის კარი გამოვიკეტე. რალაცნაირად თავზარდაცემული ვარ. ენაჩავარდნილი. გამოფიტული. ორივე ეს ბიჭი ნამდვილი ველურია, დედისგან, დაახლოებით 40-ს იქნება გადაცილებული, ნაბლისფერი თმა აქვთ, ცოტა არ იყოს არასასიამოვნო ქალია, წელში საკმაოდ გამართული, ყურადღებიანი, მაგრამ რალაცნაირად უსიამოვნო ტიპი, საქმეში ჩახედული, ტობიას გერლინგი პედერასტი იყო და საკუთარ თავს თვითონვე გამოუტანა განაჩენიო. 13 წლის, დგება აივანზე, ხტება. კედელზე ფლომასტერით გაკეთებული წარწერა. დანერილი არ გამქრალი. დაკარგულთა ღმერთი უნდა გამოვიძახო ამ ბიჭისთვის. იქნებ კიდევ ერთხელ ავსულიყავი ზემოთ, ტერპებთან. ღმერთო, სუფთა ჰაერის მჭირდება, სწორედ ახლა.

კვლავ გააჩერა ნორა ბოსონმა ჩანანერი და პირველად, მთელი ამ დღეების მანძილზე მოეჩვენა, თითქოს გარეთ უნდოდა გასვლა. გარეთ ყველაფერი ჯერ კიდევ ადგილზე იყო: აღმართებული ბავშვი, პოლიციის მიერ გაბმული ლენტი, პირდაღებული და გამტერეული ადამიანები, რომლებიც წელწელა სახლებისკენ მიდიოდნენ. ქალბატონ ბოსონს პოსიედონი, ტყის მეფე უთვალთვალებს, მარცხენა საქანელაზე ზის და ფეხები გაუჩანავს, რაც შეიძლება მაღლა რომ აქანდეს. ის, რომ სახლებში შესვლა არ შეუძლია, სულაც არ ადარდებს. რადგან ისინი, ყველანი, როცა გარეთ გამოდიან, დამარცხებულები გამოიყურებიან, სრულიად ნირნამხდრები. მაგრამ როცა შემგროვებელი ხდები, თავს ამის უფლებას ვერ მისცემ. ნეტა, იცის თუ არა ამ ქალმა უკვე: პატარა ისე ბრდღვილებდა, რომ აუცილებელი გახდა მისი ჩაქრობა. პატარა ანთებული ადამიანი, ნორჩი და ნაზი, სიყვარულით სავეს სხვა დანარჩენი ბიჭების თვალში. ის, ვინც შენობების წინ დგას, მის ფიქრებს კითხულობს. მის და სხვა დანარჩენებისას შიგნით. და როცა ვინმე ხტება, ის მათ აქ ელოდება, პირისახე ფიჭვების ანჯამებზე აქვს ჩამოდებული.

დაკარგულთა ღმერთი. ჯერ კიდევ მჯერა, რომ ეს კარგი სათურია. გავლა უნდა, ახალი ლექტორია. შენ ვინ ხარ?

და აი, სწორედ ახლა აღესრულა ის, რაც ჩანანერში ადგილს ვერ ჰპოვებს, მაგრამ ყველაფერს კი საფუძვლიანად შეცვლის. ნორა ბოსონს პატარა გოგონა ესება. ზოგადად ეს სრულიად უცნაური შეხვედრაა, რადგან ესენი არიან გარდაცვლილი ბიჭუნას მამა და მისი პატარა დაიკო, რომელთაც ავტორი ბოსონი ამ სამყაროში მოვლენათა განვითარების სრულიად ჩვეულებრივ ტემპში ხვდება. მშობელ მამას ხელთ უჭირავს საყვარელი ბავშვი, საიმედოდ იკრავს გულში, ზრუნ-


ვით უჭერს ხელსა<sup>11</sup>. ბოსონს ამ კაცის სურათი ნანახი აქვს. ქალბატონმა ტერპმა უჩვენა სამი დღის წინ.

მამა, დიახ. მამა პატარა დაიკოსთან ერთად იმავე სახლის პირველ სართულზე ცხოვრობს. „ესეც უცნაური იშვიათობაა, არა?“ ნამოყვანტალა ქალბატონმა ტერპმა. ბოსონს კი ახალი თავსატეხი გამოუჩნდა. ქალბატონი ტერპის მეურვეობა მის გადარეულ ქალიშვილთან ერთად, ცოტა არ იყოს, ბოროტებად მოეჩვენა.

ავტორი თანმიმდევრობით იმასხოვრებს საუბარს მამა-შვილთან:

*ტობიასი  
დიახ, ტობიასი  
იყო ტობიასი  
ტობიასი ციდან ჩამოვარდა  
მინაზე  
ჰო, ასე იყო  
იყო ტობიასი  
რატომ ყველა  
რისთვის  
რატომ ვინ ვარდება მესუთე სართულიდან  
ჰო, უბედულება მოხდა  
პატარა დაიკო ვერ გამოთქვამს რ-ს  
უბედულება, ლოგოლი უბედულება  
ეს ნიშნავს  
ბიჭი იმასავით  
ფრინველივით  
ლოგოლც ჩი-ჩი-ჩი  
ლოგოლც ჩი-ჩი-ჩი  
მესმის, ამბობს პოლიციიდან მოსული კაცი  
რომელიც პოლიციელი კი არ არის. არამედ  
ფსიქ, ფსიქ  
ხომ გესმის შე-შე-შენ  
ჩიტი იგულისხმე  
ჰო, პატარა დაიკო არ არის დიდი ექსპერტი  
პატარა დაიკო უბრალოდ პატარა დაიკოა  
და ტობიასი რატომ  
თქვენც ხომ უკვე იცით  
რა უნდა ვიცოდე  
ის ხომ ბოლოს და ბოლოს თქვენი შვილი  
თქვენი 13 წლის ბიჭუნა  
სკოლაში ამბობენ, რომ კარგი,*

<sup>11</sup> სტრიქონები იოჰან ვოლფგანგ გოეთეს ბალადიდან „ტყის მეფე“. გამოყენებულია აკაკი გელოვანის თარგმანი კრებულიდან: გერმანული ბალადები, „საბჭოთა მწერალი“, თბ. 1961 წ., გვ. 120



არაჩვეულებრივი, მოკრძალებული იყო  
 და და ეს ამოუთქმელობა  
 თქვენ ხომ უკვე იცით  
 ბიჭი 13 წლის იყო და  
 თქვენ ხომ უკვე იცით  
 პე, პე,  
 პატარა დაიკო სიბრძნის წყაროა  
 წყალოა  
 არა, ბიჭუნა შეუძლებელია ყოფილიყო  
 პედერასტი ასეთი პატარა, ასე ნაადრევად  
 სკოლაში  
 სკოლაში ისინი ამბობენ  
 რას ამბობენ ისინი იქ  
 რომ მას ერთი ბიჭი  
 რა  
 ერთი ბიჭი უკვარდა  
 ამბობს დაიკო  
 ისე ჩვეულებრივ სრულიად ჩვეულებრივ  
 ამ ასაკის ადამიანისთვის  
 პატარა დაიკო  
 13 წლისას ჯერ არ შეუძლია სიყვარული  
 არც ტვინი, არც გული  
 არ არის ჩამოყალიბებული  
 რა  
 ჰო  
 თქვენც ხომ უკვე იცით  
 მხოლოდ ამაზე რატომ  
 ირგვლივ ყველა  
 რადგან სწორედაც  
 ჰო  
 ჰო  
 სულერთია  
 მთავარია ტობასი  
 ეს რა უბედურებაა  
 უბედურებაა, ჰო  
 როცა 13 წლის ბიჭუნა  
 ჩიტად გადაიქცევა  
 დანარჩენი ყველანი მხდალები არიან  
 რადგან აქამდე ვერავინ  
 გაბედა  
 რომ  
 ალტელნატივები  
 დიახ, მართალია  
 ვინც დაჟინებით იმეორებს, რომ ცხოვრება  
 ტრაგედიაა, ბნელი ოთახი  
 მერე აღარ უნდა გაოცდეს  
 გაოცებულმა თუკი იარა  
 ამ სიტყვაში იარაა  
 ტობასი ციდან ჩამოვარდა  
 ეს იყო საკვირველება

დღე იყო უსევდიანესი  
 ყველა ტრაგიკულ დღეებს შორის  
 უალტელნატივო  
 ჩვენ ყველამ  
 ის  
 სწორედ ასე  
 გადავიტანეთ

ავტორი ხედავს, როგორ შედის ორივე, მამა და ძალი  
 იშვილი, სახლში, გონერმტრასეზე. ეჩვენება, რომ პროფე  
 სორი ქალი თავის მეოთხე სართულზე ფანჯარას ხურავს.  
 ლოიები თვალებს აცეცებენ ფანჯრის მინებიდან, სამსახიობო  
 კურსების მოსწავლე მესხეთე სართულიდან აჩვენებს მოღუ  
 რებულ ყელს, გაჭიმული დგას აივანზე და ცაბი იყურება  
 ბატონი მაკის, სამსახიობო ხელოვნების მასწავლებლის, ინ  
 ტენსიურობის გაკვეთილებს იმეორებს, ახალი დავალებას  
 ყველაფერი-ფეხებს-შორის. შეშლილი ბატონი თომასი და  
 შლიგინებს შენობის შიგნით. ავტორს არაფერი შუცვლია, მან  
 მოუსმინა და ამით მხოლოდ ცოტათი მიიღო მონაწილეობა ამ  
 შეთქმულებაში. „დაკარგულთა ღმერთი“ აღარ დაუმთავრე  
 ბია. ის წარმავალი სიმახინჯისავეთ გამოიყურება, როგორც  
 გერჰარდ რიხტერის<sup>12</sup> ერთი ძველი სურათი. ასე შეიქმნა  
 ჩანანერები ერთი ბიჭუნას გარდაცვალებაზე, ის 13 წლის იყო  
 და უკვე იცოდა, რომ მხოლოდ ქუჩა, სადაც ის ასეთ მოუ  
 ნესრიგებელ ურთიერთობებში ცხოვრობდა, ეძახდა დიდსუ  
 ლოვნად და თავისი მაგნიტური გულით დედამისის ცენტრ  
 დაენარცხა, აბრდღვიალებული. ზოგადად შორსმჭვრეტელი  
 ავტორი ვერ ხედავს, რომ კაცი, რომელიც არავინაა და ამა  
 ვდროულად ყველაფერი, მოულოდნელად საქანელას აჩერებს  
 და ნელა უახლოვდება; ის კი ვერაფერს ამჩნევს, ქარისგან  
 აქანავებული საქანელის გარდა და ეს სურათი მას აბსოლუ  
 ტური დაკარგულობის გააზრებაში ეხმარება. ესეც ძალიან  
 ხანმოკლე გააზრებაა, რასაც მას კოლექციონერი ჩუქნის.

რადგან სწორედ ასე ამთავრებს არსებობას ყველა, ასე  
 მთავრდება ყველაფერი, აგრეთვე დაკვირვება დაკვირვ  
 ბებისა უცხო არსების სველ თვალებში – მეზობელზე კიდევ  
 უფრო უცხოისი, რომელიც დღის შუქზე რიგიანად არც  
 უნახავთ, თუმცა არავითარ შემთხვევაში არ ეთქმის მძღოლ  
 და ერთნი ყველაფერ ამას უწოდებენ ღმერთს, სხვებმა  
 უკეთესად იციან.

**გერმანულიდან თარგმნა ნანა ჭილაძე**

<sup>12</sup> გერჰარდ რიხტერი (დაბ. 1932 წ.), მსოფლიოში აღიარებული თანამედრო  
 გერმანელი მხატვარი და სახვითი ხელოვნების პროფესორი, კამერალ  
 ტური რეალიზმის მიმდინარეობის ერთ-ერთი დამფუძნებელი.

# კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და მწერალთა სახლის ლიტერატურული პრემია



ლიტერატურული პროცესების წახალისებისა და გააქტიურების მიზნით კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და მწერალთა სახლის მიერ დაარსდა ყოველწლიური ლიტერატურული პრემია, რომელიც ხუთ ნომინაციაში გაიცემა:

- წლის საუკეთესო პროზაული ნაწარმოები (კრებული/რომანი)
- წლის საუკეთესო პოეტური კრებული
- წლის საუკეთესო საბავშვო წიგნი
- წლის საუკეთესო წიგნის დიზაინი
- წლის საუკეთესო დებიუტი

თითო ნომინაციაში გამარჯვებულს გადაეცემა ფულადი პრემია 4000 ლარის ოდენობით. ლიტერატურული პრემიის საკონკურსოდ განიხილება 2015 წელს წიგნად/ელექტრონულ წიგნად გამოცემული ორიგინალური ლიტერატურული ნაწარმოები;

პრემიაზე წარდგენილი წიგნი უნდა იყოს ტექსტის პირველი გამოცემა; წიგნის კონკურსზე წარდგენა შესაძლებელია მხოლოდ გამომცემლის მიერ; გამომცემლობებმა თითოეულ ნომინაციაში შეიძლება წარადგინონ არაუმეტეს ხუთი წიგნისა.

კონკურსის შედეგებს აფასებს მწერალთა სახლის მიერ შერჩეული კონფიდენციალური ჟიური, რომელიც 5 წევრისგან შედგება; ჟიურის შემადგენლობა ყოველწლიურად შეიცვლება და მასში შევლენ ის მწერლები და ლიტერატორები, რომელთა ნაწარმოებიც ამ წელს საკონკურსოდ არ განიხილება; გამარჯვებულის გამოვლენა მოხდება ფარული კენჭისყრით.

განაცხადის შემოტანის ბოლო ვადაა 2015 წლის 25 დეკემბერი. მოკლე სიახ ჟიური 2016 წლის მარტის ბოლოს წარადგენს.

კონკურსის გამარჯვებულები კი 2016 წლის მაისში, საზეიმო დაჯილდოების ცერემონიაზე გამოვლინდებიან.

გამომცემლობებმა კონკურსში მონაწილეობისთვის მწერალთა სახლის მისამართზე (მაჩაბლის ქ. 13) უნდა წარმოადგინონ:

- განაცხადი საკონტაქტო ინფორმაციის მითითებით, მწერალთა სახლის დირექტორის, ნატალია ლომოურის სახელზე;

- საკონკურსოდ შერჩეული წიგნები (3 ეგზემპლარად);

ელექტრონული წიგნების წარსადგენად განცხადება, ინფორმაცია და წიგნის ბმული მოგვანოდეთ ელ. ფოსტაზე [info@writershouse.ge](mailto:info@writershouse.ge);

დამატებითი შეკითხვებისთვის დაგვიკავშირდით [info@writershouse.ge](mailto:info@writershouse.ge)

ტელ.: +99532 297 41 01; 297 41 02

## ჟურნალი „ახალი საუწყე“ 2015 წლის ზოლომდე შეხიპლიათ გამოიწეროთ ელვა.GE-ზე

თითო ნომრის ფასი - 2 ლარი

მის.: ქ.თბილისი, იოსებოძლის ქ.49

[elva@elva.ge](mailto:elva@elva.ge)

ტელ.: (+995 55 32) 2-38-26-74; 2-38-26-73;

2-38-26-76; (+995 55 32) 38-08-774



ქართული  
ბიბლიოთეკა

179 / 104

საქართველო  
საქართველო

ISSN 0134-9848

9 770134 984002